



№ 4 // 2019

ლიცენზირებული –  
საზღვარგარეშედი აქტინალი

მთავარი რედაქტორი  
ამირან გომარტელი

პასუხისმგებელი რედაქტორი  
თამარ გელიტაშვილი

რედაქტორ-სტილისტი  
ქეთევან მერკვილაძე

კომპიუტერული გრაფიკა  
და დიზაინი  
ქეთი გომარტელი

**სარედაქციო კოლეგია**

ანდრო ბელუპაძე  
თავმჯდომარე

როინ აბუსელიძე  
გიორგი ალიზბაშვილი  
ივანე ამირხანაშვილი  
ბალათერ არაბული  
ლავა ბაქრაძე  
ნაირა ბევიძე  
ლევან ბრეგაძე  
გენრი ლოლიძე  
გურამ დოჩანაშვილი  
ზვიად კვარაცხელია  
ლანა მანველი  
გაბა ნახუცრიშვილი  
გიორგი სოსიაშვილი  
მია ტურაბელიძე

---

აქტინალი გამდის  
საქართველოს განათლების,  
მცენიერების, კულტურისა და სპორტის  
სამინისტროსა და ქართული  
ლიცენზირების ერთგულული ფონდის  
მხატდაჭებით

მისამართი: თბილისი, ხიდის ქ.№1  
ciskari1852@gmail.com  
<https://www.facebook.com/ciskari1852>



ქართული  
ლიტერატურის  
ეროვნული  
ფონდი



# სარჩევი

პოეზია		ახალი თარგმანები	
ლევან ლელაძე	3	შირლი ჯექსონი	49
ლექსები		მოთხრობები	
ქეთი ჯოლბორდი	7	ინგლისურიდან თარგმნა	
ლექსები		მარიამ მერკვილაძემ	
ლაშა გვასალია	12	ელზა მორანტი	58
ლექსები		მოთხრობები	
პროზა		იტალიურიდან თარგმნა	
არდაშელ თაქთირიძე	17	მაია ტურაბელიძემ	
ნოველები			
გურო დავითიძე	33	არბრევიუ	
ნოველები		დავით ანდრიაძე	67
ვაითხულობთ ალასიას		ალექსანდრე ბაჟბეუკ-	
მანანა ყიფიანი	41	მელიქოვი – ნატურიდან	
„ჩუმი სასწაული“		ზენატურამდე	
(კიდევ ერთი შეხვედრა			
ნიკოლოზ ბარათაშვილთან)			

გარეკანზე – ალექსანდრე ბაჟბეუკ-მელიქოვის ფერწერა

**ავტორთა საყურადღებოდ!**

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ;  
გთხოვთ, მასალების ელვერსია გადმოგზავნოთ ვორდის ფაილით;  
ჟურნალის ყოველი ნომრის ელვერსია მომდევნო ნომრის გამოსვლისთანავე  
განთავსდება ჩვენს ფეისბუქგვერდზე: <https://www.facebook.com/ciskari1852>

## ლევან ლელაძე



●  
 ღამე – თავისი სიჩუმით და შენი ხმის ექო,  
 მინაზე ლანდად დარჩენილი გაშლილი თმები,  
 ვამბობ, რომ მე აქ სიკვდილიც კი ერთხელ არ მეყო  
 და როცა არ ხარ, სულ ყველა დღე ხელახლა ვკვდები.  
 წვიმაა ახლა ჩემს ქუჩაზე, წვეთების ვალსი,  
 გზებზე სიმშრალის მაგივრადაც სისველე ყრია,  
 იცი?! არასდროს არ ყოფილხარ, შენ, ღმერთის მსგავსი  
 და მაინც ჩემში, ღმერთზე დიდი სახელი გქვია...

●  
 ტაძარში ვარ და ხატების წინ ვლოცულობ შენთვის,  
 ყველა კანდელში შენს სახელზე ვანთებ კელაპტრებს,  
 ვდგავარ ტაძარში, ვლოცულობ და მრცხვენია ღმერთის,  
 მრცხვენია, რადგან მასზე უფრო შენ მომენატრე.

ვიცი, არა აქვს აზრი ახლა შენთვის ამ სიტყვებს,  
 თუმცა იცოდე, ყველაფერი აქ არ მთავრდება  
 და როცა ყველა მიგატოვებს, არ გაგიკვირდეს,  
 თუ ანგელოზად მოვალ შენთან, როს დაღამდება.

არ გაგიკვირდეს, თუ გავწვიმდი და დაგასველე,  
 როცა ქარები დაუბერავს, გაიგებ ექოს,

არ შეგეშინდეს ამ ქარების და არც ამ ხმების,  
ეს იმას ნიშნავს, რომ მიყვარხარ და აქ არ მეყო

შენი თვალები, ხელები და შენი ტუჩები,  
უბრალოდ ახლა მე ღმერთთან ვარ, შენ კი მანდ დარჩი  
და როცა მოვა დრო, დათვალო შენი წუთები,  
იცოდე, გიცდი, მე აქ გიცდი, ჩვენს ნამდვილ სახლში.

ჩვენს ნამდვილ სახლში, ანუ ღმერთთან, სადღაც,  
ღრუბლებში,  
ავაგე ჩვენთვის ცის კიდეში პატარა ქოხი,  
პატარა ქოხი, რომლის უფრო მცირე კუთხეში,  
ვზივართ მე და შენ უთქმელად და ერთუერთი გვყოფნის.




ყველას თავის გზა აქვს, მეგობარო,  
ყველა თავის თავში მართალია,  
ისევ ღამეს უნდა შეეფარო,  
ჩვენთვის სხვას არავის არ სცალია.  
თავის ტკივილი აქვთ მისახედი,  
არც მათ არ აკლიათ სადარდელი,  
გული ნუ დაგწყდებათ, ვინც ნახვედით,  
მართლა არ დაკარგეთ არაფერი.  
მე ხომ ერთ პატარა ადგილს გთხოვდით,  
გულში სულ მცირედით დაგეტიეთ,  
ადრე ბავშვებივით ვხალისობდით,  
ახლა დრო გავიდა... გავიზარდეთ...  
იმას, რაც ოდესღაც ასე გვწამდა,  
გვწამდა ერთმანეთის ჩახუტება,  
ახლა აღარ გვიყვარს, რაც გვიყვარდა,  
რადგან ჩვენს დიდობას არ უხდება.  
ისევ სეირნობა ცივ ქალაქში,  
ბავშვის იერით და სიცანცარით,  
ისევ ვიმოსებით ცივ საბანში,  
ნერვებს აყოლილი და კანკალით  
ჩვენს ტკბილ მოგონებებს გავცქერივართ,  
წარსულს, ოთხ კედელზე სურათებით,  
ვჯავრობთ, ყველა რატომ გაგვერიდა,  
და ჩვენს მარტოობას ვუმკლავდებით.  
თეთრი ღამეების ფიქრებით და,  
ნერვებს აყოლილი ხველებებით.  
ადრე ერთმანეთზე რომ გვეჭიდა,  
ახლა სულ სხვისია ის ხელებიც,  
რადგან ასე არის, მეგობარო,  
კი არ ვუყვარდებით, გვეჩვევიან.

ანდა როგორ უნდა შეგვიყვარონ,  
როცა რწმენაც აღარ შერჩენიათ,  
ჩვენი საფასურიც ვერცხლი არის,  
უფრო მეტი ვღირვართ, ვიდრე ქრისტი,  
აქაც ვერ გავხდებით მისი მსგავსი,  
რადგან უფრო მეტჯერ გავიყიდეთ,  
ხედავ, მეგობარო?..

ჩვენ რა ვიყავით და რად ვიქეცით,  
ველარ შეგვეჩვივნენ უფრო მეტად,  
ყველა სხვადასხვა გზით გავიქეცით.  
ახლაც ვერ ვისწავლით ჭკუას, ვიცი,  
ვერც შენ შეეღევი დედამინას,  
აღბათ, ერთადერთი დიდი შიშით,  
იქაც ვერაფერ რომ ვერ აგვიტანს.



დრო იყო, როცა ჩემს ფანჯრებთან ყველა გაზაფხულს,  
სხვა ხიბლი ჰქონდა წვიმებით და თავის სურნელით,  
ახლა... უბრალოდ ამ ფანჯრებთან მისვლა აღარ მსურს,  
რადგან არც შენ ხარ, არც წვიმა და აღარც ღრუბლები.



დრო იყო, როცა შენს სახელზე ვწერდი ათას ლექსს,  
 როცა მეგონა, რომ ღმერთი და მეტი იყავი,  
 ახლა კი უკვე რეალობას ვხედავ, ვაფასებ,  
 რომ შენ ხარ თითქოს მოყოლილი რაღაც იგავი.  
 დრო იყო, როცა ყველა ვარსკვლავს, ცაზე მონყვეტილს,  
 ჩემში ოცნებად შემორჩენილ ამბებს ვუმხელდი,  
 და, რაც ნახვედი, გეფიცები, თავსაც არ ვწევდი,  
 მაღლა ცაში და არც ერთ ვარსკვლავს აღარ ვუმზერდი.  
 დრო იყო, როცა შენ იყავი სუყველა სუნთქვა,  
 და ჩემს თვალეებში ჩაძირული ყველა სიზმარი,  
 დრო იყო, როცა მე მიგიშვი საკუთარ სულთან,  
 მაინც ვერაფრით დაგანახე, როგორ მიყვარდი.



ერთი შეხედვით, ყველაფერი ძალიან რთულად,  
 ყველა გრძნობები, რაც გაგვანდა, ქარს გავატანეთ.  
 პირობითად გვყავს დღეს გულეებში უფალი  
 რჯულად, სინამდვილეში,  
 დიდი ხნის წინ დავასაფლავეთ.

ჩვენთვის უცხოა მცნება

– იყო ადამიანი –

რადგან ამისთვის მიზეზებიც საკმაო არის,  
 შემოგვრჩა მხოლოდ ოთახები სურათიანი  
 და შორეული მღელვარება მზიანი ღამის.  
 ათას გზაზე ვართ დაცემული და გვიჭირს  
 დგომა, ათას მეერთედ დავეცემით იქ,  
 სადაც ნავალთ, ყალბი ღიმილით გვიყვარს  
 ყველა და –

გარეგნობა –

(ადამიანებს მხოლოდ ამით ჯერ კიდევ ვგავართ).

ახლა რუტინას შეჩვეული დღეებით ვცხოვრობთ,  
 აღარ ამოგვდის აღარც ყელში  
 ერთფეროვნება,  
 ჩვენი წარსულის თითოეულ დღეს ისე  
 ვგლოვობთ, თითქოს ბავშვობაც აღარ დაგვრჩა  
 მოგონებებად.

## ქეთი ჯოლბორდი



●  
 უემოციო სახეს რომ უმზერ,  
 შენ ყოველ ღამე პოულობ იერს  
 და წარმოსახვა იშლება უცებ... იმპულსის მიერ...

როდესაც წყვილად სინათლეს უსევ,  
 ხელშეუხებლად სხეული იღებს  
 და გრძნობის აშლას უპულსაციოდ  
 ბაგეზე ირგებ...

მერე ბაასობს მთვარე სარკმელში,  
 ჩვენზე ანიშნებს ხეების წყება  
 და წყვილია მხოლოდ ფარეში,  
 მინებზე წყება...

რომ არ გაცხადდეს ეს გალაქტიკა  
 და სიახლოვის ელფერით მწვავდე,  
 სამყაროს მითქმა-მოთქმა ასტკივა,  
 ფერებით მწვავე...

და მაინც ვნებით ღავინ არეში,  
 შენ ყოველ ღამე მიზოგავ დღემდე,  
 მერე დრო გვიცდის ამ ვრცელ ღამეში...  
 და ასე შემდეგ...

## ბრძოლის სინაზე

ხან ინსტიტუტები  
 მინაცვლებენ საგრძნობ დეტალებს...  
 გამბედაობით  
 ბრძოლას ვინყებ  
 ცეკვით მინაზე...  
 ხანაც დავეძებ ჩემზე უფრო გამძლე საგნებს და  
 ფერთა სინაზეს...

და როცა რწმენა შემოიცვამს ფიქრის მეტალებს,  
 ბრძოლაში ნდობა აზრს დაკარგავს შენგან  
 შორს დებით,  
 ისევ მოვძებნი წრფელ გრძნობებს და შენი პოლუსით...  
 მაინც ვშორდებით....

არსებობით რომ სულზე მანყოფს  
 სიტბოს მეტადრე...  
 ღანვზე სიფითრეს გადამიშლის  
 ფენა პასტელის,  
 ხანაც ჩამონვიმს და  
 მემატები ისე... ჩემთვის...  
 როგორც ცას ტენი...

სულ ჭრელი ქვების აღმართებსაც  
 ვბედავ მე...  
 დღე იშვიათი ოპტიმიზმის  
 გზასაც აივლის...  
 ხანაც ჩამონვიმს...  
 მემართები მეც და ხანდახან –  
 ცასაც ვანილის...



ერთხელ სამყაროს სითეთრეზე მეტად შევშურდით  
 და იცი? ისე არასოდეს აღარ ითოვებს...  
 დასანანია გაზაფხულის ფიფქით შებურვა,  
 როცა ამინდთან არსებობაც გამივითომე.  
 წყალობაც არის და წყალობაც, ღრუბლების თასმა,  
 მხოლოდ წვიმები გაიმეტა, სევდის სისველე,  
 თოვლი კი ზამთარს დაუნესა, იქ მოათავსა,  
 იქ თეთრ პლედების გარემოცვით მშვიდად ასვენებს...  
 პროტესტის ნიშნად გავასახლე დღე უარაფრო,  
 წვიმას შუბლს ვუშვერ, ისე ვიშლი ყოფილ მიმიკას,  
 განწყობას სურნელს გამოვტაცებ, რომ თავი ვანდო,  
 ნუგემის ფურცლებს და სხეულზე შვებად მივიკრავ.



დასანანია გაზაფხულის ფიფქით შებურვა,  
როცა ამინდთან არსებობა გამივითომე,  
მაშინ სამყაროს ჩვენი ყოფნა ისე შეშურდა,  
ისე არასდროს,  
ალარასდროს აღარ ითოვებს...

### ოთახი #... „მარტი“

წვენი ანანასის,  
ამინდი სველი,  
სოული...  
მომენტი, როდესაც მოგონებებს გემო, სურნელი,  
შეგრძნება და ლოკაცია აქვთ.  
ფიქრობ... როგორმე თავსაც მოუვლი და ნებისყოფას  
იზოგავ...  
– დიას!  
ბარგი ნომერში,  
მარტის ნომერში.  
(ჩაიჩურჩულებ – ყოფილ განცდებს რომ ფარდაგზე  
სძინავთ და ოთახი კი შარშანდელი  
ჰაერით სუნთქავს).  
მერე ნიავი სარკიდან იღებს  
ნაცნობ ილეთებს,  
დანყვილებული სილუეტების  
და ფარდასთან ცეკვავს.  
სანოლს ცარიელ მხარეს, ბალიშით ავსებ და  
საზღვრებს უწესებ,  
ლამე კი ფიქრებს სიზმრებში მიაქვთ.  
სიზმრებში, სადაც ზმნის წარსულ ფორმით,  
ერთადერთი დრო  
და არჩევანი გამოისახა.  
მოქმედებებით შედეგს ამონმებ  
და ანანასის წვენის გემოთი, ყველა შეგრძნების  
გემოს ინახავ.

### გზობლიური ბირთვი

ვინტაჟის ფონზე ზრუნავს ჟასმინი.  
კიბის უმაღლესი საფეხურიდან,  
სულ სხვანაირი მოსჩანს ეზო,  
განწყობა – საშიში.  
საკუთარ თავს ვიკრებ გარშემო  
და ვცდილობ შვილის თვალებით მზერას,  
როდესაც ვაკეთებ კიბეზე უამრავ სვლას,  
თეძოზე ბავშვშემოსმული.

რუტინის იმ ნამცეცებით გამოკვება,  
 ნათურაზე მიშენებული ჩიტების ბუდიდან რომ იპნევა,  
 ეზოს მშობლიურ ბირთვის კრავს და  
 ორგანოზომილებაში კიბის თვლა,  
 მიმყარებს მდგომარეობასთან მდებარეობას – რომ აქ,  
 მამაჩემის სახურავქვეშ ერთდროულად უნდა ვიყო  
 დედაც და ბავშვიც.  
 და ყოველ დილით ეზოს დატოვებისას,  
 მშობლის შეგონება ისე ღვრის მზეს ცის გუგებზე,  
 გეგონება, მზრუნველობას ასაკი ჰქონდეს...  
 და რა უნდა მოხდეს, რომ არსებობისთვის,  
 წლიდან წლამდე, მაღლიერებას არ ვატარებდე,  
 თმაში ჩანწული ბავშვური დიდობით,  
 რა უნდა მოხდეს...

### ბატონობის წესი

ყოველ საღამოს,  
 თითქოს გართობად მექცა ეს წესი,  
 როცა შვილთან ერთად ვინცე მოხატვას,  
 ძველი რვეულის შეუვსები ბოლო ფურცლების,  
 მაშინ ფიქრები აბსურდულად იწყებენ დართვას,  
 კალამს აყოლილი ნერვიული მანევრირებით.  
 ეს რასაკვირველია, არ უნდა შენიშნოს ბავშვმა  
 და ვუხვევ ღიმილით თვალებს,  
 მელნით კი დახატულ საჭეს სასურველი მიმართულებით.  
 მერე ავტოს რომ მოვარგოთ ახალი ბორბალი,  
 ვხატავთ ან უფრო ვხაზავთ  
 წრენიერებს, წრეებს  
 და თუ გაერევა სადმე ოვალი,  
 მაშინვე სახეს მივამგვანებთ, მელნის წვერებით...  
 და ასე ყოველ საღამოს,  
 წესად მექცა,  
 ბავშვს რომ უნდა გავაცნო კაცი, ფურცლიდან  
 ხატვა – ხაზვით,  
 ანუ მისი მამა და ანუ ჩემი ქმარი.

### ხველი იასამანი

ვფიქრობდი, გადავარჩენდი.  
 წყურვილს ვუკლავდი,  
 გაბურდულ აზრებს ვარჩევდი, ეჭვებს ვაჭრიდი...  
 ქარის მიმართულებით რომ მოიხარა,  
 ფესვებზე დაიდო მკლავი, ვერ გაიხარა...  
 და ამეტყველდა ფულურო –

დასანანია ზრუნვა ამდენი...  
 მერე მოვიდნენ ხერხიანი კაცები  
 და ხელსახოცებზე დავიწყე ქარგვა იასამნების...



ყველა რომ იძინებს  
 მაშინ ვხსნი ქისას...  
 ამოვალაგებ ქისიდან ქისებს,  
 მოგონებებით დათარიღებულს...  
 მერე ყველასთან სათითაოდ ვხარხარებ...  
 და თან ღირებულს  
 უკან ვაბრუნებ...  
 ვატან, სადაც ხარ, ქარებს...  
 და უნუგეშო სტატუსს  
 გარგუნებ...  
 ვახარისხებ ისევ და  
 ისევ ვინახავ ქისებს ქისაში...  
 დილით მთქნარებით დავიგრძელებ თვალის უპეებს  
 და ვითომ კითხვაში...  
 მოსიარულე უძილობა რომ არ შემნიშნონ...  
 ყავით ვისწორებ განწყობის კუთხეებს...  
 ვითომც არაფერი...



სახლი იწყება უბრალოდ გასაღებით.  
 საკიდებიდან ჩამოცვენილი ტანსაცმელი,  
 დაცემამდე ჰაერს ათბობს,  
 იმაზე მეტად, ვიდრე სულზე მორგებული ატმოსფერო.  
 ხანდახან სიცრუის თმენასაც ერგევი და  
 სარკმელები თავს რაზავენ, როდესაც აკუსტიკა  
 ყოფნას ცდილობს...  
 როდესაც ჩვენ შორის დაკარგული ხმის მუსიკას  
 აგროვებ და  
 უსმენ შერჩევით...  
 ითვლი ასამდე.  
 უძილობის დოზით მძაფრდება  
 კარადის თავზე შემოდებული არსებობის სირთულე.  
 იქ იყოს...  
 ნუ ჩამოიღებ,  
 ნუ მოირგებ და  
 ნუ გართულდები...  
 ნუ ააჟღერებ, ჟანრის სიმძიმეს...  
 ყველა მიზეზი რომ უალოდ იწვის,  
 წყვდიადში ძილს ეძებ ხელისცეცებით და  
 ერთი ნაბიჯი რჩება სინათლემდე,  
 სახლი ხომ იღება უბრალოდ გასაღებით...



## ლაშა გვასალია

### ჰარიდა

ჰარიდა, სიმღერის ღმერთო, –  
 უთქვამთ ძველ კოლხებს.  
 ჰარიდა ფრთებით დაჰხაროდა  
 გულზე დიაოხებს...

ზეცას ჩამოჰქონდა გაზაფხული  
 ანგელოზების გემოვნებად,  
 სიო რიტმულად ნანაობდა  
 სულის ღვთივსაუფლო შეყოვნებად...

მითაჟამინდელი ზღვანათება  
 გალობას დღესაც გვიადვილებს,  
 როგორც სიზმრიდან გაქცეული  
 თვალეგახელილი სინამდვილე...

მივდივართ, ვეფლობით საცისკრეთში  
 უძღებ სიყვარულით ანათროლონი,  
 უსასრულობას ვუერთდებით  
 ასე ცაუძირო ცისფერბროლით...

ვმღერით და ჰაერი დაგვცახცახებს  
 ჟინით და უფლისად მონუგეშე,  
 ისევ ვუტოლდებით გახარებას,  
 ვიბუდებთ ტოროლების უბეში და...

მალღდება ჩემი ოდოია  
 ძველი პანთეონის დიდებად,  
 მოჭქრის გალობად სიცახცახე  
 და ახლით საბათი ბრწყინდება...

## ვერლიბრული შეღამებით

შემოგვიტიეს ხელოვნურმა  
 გაზაფხულებმა,  
 შემოდგომური გვაკლია სევდა,  
 ნრფელი ცრემლივით  
 დიადი და არამღვრეული,  
 მართალი ცამდე,  
 სულივით შემძლე აღმაფრენების...  
 სიყვარულად და გახარებად  
 შემოფარგლული,  
 მოსავალივით დიადი და  
 მსუყე მზესავით...  
 თუნდაც დაღლილი, მუხლმოკვეთილ  
 მწველი სხივივით,  
 მკვიდრად გადასული უსასრულო  
 ქიმზე სევდების...

შემოგვიტიეს ხელოვნურმა  
 გაზაფხულებმა, შემოგვიტიეს!..

## გარდაუვალი მოლოდინი

კვლავ ვერლიბრივით ურითმოა  
 ჩემი ცხოვრება,  
 ქარიან ამინდს უიმედო  
 მოუჩანს პირი,  
 სულში ფრიალი წამოიწყეს  
 თეთრმა ყორნებმა,  
 დღეები ასე უსასობით  
 გამოდგა მწირი...  
 ეს გახარებაც თავს საჩემოდ  
 ველარ იმეტებს,  
 ზეცამ თალხისად ჩამოღრუბლა  
 ბოლო სონეტი,  
 ახლა ჯვარს ვაკრავ ჩემს უსახო  
 ბოლო იმედებს,  
 იმ ჯვარზე, სადაც გაკვრას ელის  
 ყველა პოეტი!..

## უსათაუროდ

შენი ცრემლები დასაბამიდან  
 შემონალველდა გრძნობაშემლილი,  
 ცა მოწვეთავდა უფლის მარნიდან,  
 სდიოდა სისხლი ოჯალეშივით...  
 გიკანკალეზდნენ სანთლის ხელები,  
 იგერიებდი უხმოდ კორიდებს  
 და პოეტური პარალელებით  
 თუ გინდ სურვილი ესე მოვიდეს,  
 გადაგარჩენდა ნდომის ბეგთარი,  
 სასიყვარულო კრთომა – მისნობა  
 და გამოხედვა ნაზი, ფერმკრთალი  
 ჩაგელვრებოდა მარადისობად...

ცრემლი წვეთავდა უფლის მარნიდან  
 სდიოდა სისხლი ოჯალეშივით,  
 შენი წუხილი დასაბამიდან  
 მონალველობდა გრძნობა-შემლილი!..

## ღუმილი

ღუმლის მესმის,  
 ღუმლისვე მაფიქრებს ძალა,  
 ხშირად თავს მესხმის –  
 უმონყალოდ სიჩუმე მძალავს...  
 იცის, როგორი სისათუთით  
 გაშალოს ფრთები,  
 როგორ დაანთოს სითამამე  
 კერაზე გზნებით...  
 ხშირად თავს მესხმის,  
 უმონყალოდ სიჩუმე მძალავს,  
 ღუმლის მესმის  
 და მისივე მაოცებს ძალა!..

●  
 სარეცხის თოკზე გამოფენილ  
 კაბათა რიგში  
 შენი სხეულის ვნებასავსე  
 ლანდები თრთიან,  
 როგორც ზონარი  
 კითხვისაგან გაცვეთილ წიგნში,  
 ისე ოცნება ჩაბნევიან  
 სურვილის ცრიატს...  
 მარტობს მარტი და  
 მწვანე მოლზე ხავერდის ქსოვით

თავს იწონებენ ოქროსფერი  
 სხარტი სხივები,  
 ტყემლის ტოტიდან  
 თეთრფანტელა ნაკადულები  
 მოთეთრაობენ, მომზეობენ,  
 როგორც წყვილები –  
 ჯვარდასანერად მიმავალნი  
 ბებერ ტაძრისკენ.  
 ცას ეკიდება ჩამავალი მზე  
 საცეცხლურივით,  
 იგვიანებდა მივიწყებულ  
 დღეთა გენია,  
 როგორ ვიარო  
 აუწონავ ტკივილთა წყლულით,  
 ჩემს არსებობას  
 ფოთლებივით ზედ დაჰფენია.  
 სარეცხის თოკზე გამოფენილ  
 კაბათა რიგში  
 შენი სხეულის ვნებასავსე  
 ლანდები თრთიან...

## გაკრულა ცაზე მიწით...

ოც წელზე მეტი წლის წინათ ნავი-  
 კითხე და დღემდე არ მავიწყდება  
 იოსიფ ბროდსკის ერთი გამონათქ-  
 ვამი: „პოეტს არავითარი როლი არ  
 აკისრია, გარდა ერთისა – წეროს კარ-  
 გად“...

ამგვარად შეიძლება ფიქრობდეს მს-  
 ოლოდ ის პოეტი, ვისაც, საბოლოოდ,  
 ასე გამოეთხოვებინან: „ნიუ იორკში  
 გარდაიცვალა ნობელის პრემიის ლაუ-  
 რეატი იოსიფ ბროდსკი – დიდი რუსი  
 პოეტი, ამასთანავე, ამერიკელიც“.

სინამდვილეში, არც რუსი იყო და  
 არც ამერიკელი.

ქართველი პოეტი ასე ვერასოდეს  
 იფიქრებს, რადგან მარადჟამს ახსოვს  
 ილიასეული განსაზღვრება მგოს-  
 ნის მოვალეობისა, რომ ის ქვეყნად  
 მოვლინებულია „არა მარტო ტკბილ  
 ხმებისთვის...“

ლაშა გვასალია ილიას ნაანდერძე-  
 ვის ერთგულია.

ამას მისი ბიოგრაფიის რამდენიმე  
 შტრიხიც დაგვიდასტურებს:

დაიბადა ხობში; დაამთავრა თბილი-  
 სის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
 ფილოლოგიის ფაკულტეტი;

სტუდენტობისას, თანამოაზრეებთან  
 ერთად, დააარსა ლიტერატურული ჟუ-  
 რნალი „მაფშალია“, რომელსაც თავად  
 რედაქტორობდა;

თანამშრომლობდა ეროვნული მოძ-  
 რაობის მხარდამჭერ გამოცემებში  
 („საქართველოს სამრეკლო“, „იბერია –  
 სპექტრი“, „გზა ხსნისა“...);

ბოლოს გადაწყვიტა, რომ რეგიონში  
 უფრო საჭირო იყო.

დღეს მისი საქმიანობის ასპარეზი  
 ზუგდიდი და მთელი სამეგრელო-ზემო  
 სვანეთია.

სამი შვილის მამა იქ გვეგულება  
 ქართული საქმისა და ეროვნული  
 ცნობიერების შეუპოვარ მცველად და  
 მეციხოვნედ.

დროდადრო იქიდან გვიგზავნის ლექსებს – სიტყვათქმნადობის, ახალ პოეტურ ფერთა და ხმათა მოძიების იშვიათ ნიმუშებს:

*შემოსხვილდნენ მარადის მნათედ  
ცაჩაუქრობი უფლის თვალები...*



*და ლურჯი ია განებივრებით  
ცას ნისლმანდილად რომ  
დაიბურებს...*



*ემალეებიან სამყაროს  
ღრუბელნაკრული შუბლით...  
(სვანეთის მთები)*



იბრძვის ლექსით;  
იბრძვის პრაქტიკული საქმიანობით;  
იბრძვის სოციალურ ქსელში;  
ყველგან ისმის მისი ხმა, ეროვნული სულისკვეთების გამომხატველი;  
ესაა ქართველი პოეტის დანიშნულება (რა თქმა უნდა, კარგად წერა თავისთავად იგულისხმება):

სამშობლო მისთვის მთავარი თემაა, რაც შესაბამის ინტონაციას მოითხოვს – ამალღებულს, ოღონდ არახელოვნურს, მაგრამ ამ (არ მოვერიდები გაცვეთილ შედარებას) მთასავით კაცს, უფაქიზესი ინტიმური ლირიკაც ბუნებრივად ეწერება.

გულწრფელი და ბუნებრივია, როცა სამშობლოზე წერს, თანაც ისე, რომ მარადიული თემის ახლებურად გამოხატვას ახერხებს:

*რა ცოტანიო?!  
ბევრნი ვართ სხვაზე,  
სუნთქვაც კი გვესმის უფლისა და  
მზისგან ვინყებით...*

აქ კიდევ შეიძლება, რაღაც ნაცნობი მოგველანდოს, მაგრამ ამ სტრიქონს კი ნამდვილად ვერავინ შეეცილება:

„გაკრულა ცაზე მინით ქართველი“. ლაშა გვასალია თავადაც ასეთი ქართველია.



რაც შეეხება ინტიმურ, ანუ „წმინდა ლირიკას“, მის ლექსებში ამის ნიმუშიც უხვადაა:

*ბაღში ხურმების ოცეული,  
შაშვის უებარი სატყუარა,  
ხეს მზედ შერჩენილი ბროწეული,  
ღიმილით – მომწყვეტ? – კი თუ არა?*



*სარეცხის თოკზე გამოფენილ  
კაბათა რიგში  
შენი სხეულის ვნებასავსე  
ლანდები თრთიან...*

ლაშა გვასალიას ახალ კრებულში, რომელიც მალე გამოვა და ჩემი წინათქმა ახლავს, კიდევ არაერთი ლექსი მოგვგვრით სასიამოვნო ემოციას.



და მაინც... არსებობს უფრო მთავარი მიზეზი, რის გამოც სამეგრელოზემო სვანეთის მხარეში ლაშა გვასალიას არსებობა მახარებს და მაიმედებს. ეს მიზეზი მკაფიოდ მოჩანს მის ერთ-ერთ ლექსში. დააკვირდით:

*გამარჯობაო, – მომამზევა  
სოფლელმა ბიჭმა...  
ამოაყოლა გამარჯობას სული და  
გული...  
მეც მივაგებე სალამი და  
ყოველ ნაბიჯზე  
თავს იწონებდა  
სიყვარულით სავსე ზაფხული.*

აი, რისთვის არსებობს პოეტი, მით უფრო, ქართველი პოეტი!

**იოსებ ჭუმბურიძე**





## არდაშელ თაქთირიძე

მე, არდაშელ თაქთირიძე (გიორგი თაქთაქიშვილი), დავიბადე ქ. თბილისში 1960 წლის 9 მარტს. მყავს მეუღლე – თამარ ჯავახიშვილი, სამი შვილი და ხუთი შვილიშვილი. პროფესიით ინჟინერ-ელექტრომექანიკოსი ვარ. პირველად კალამი ორი წლის წინ ავიღე ხელში, მანამდე სკოლის თემატკი არ მქონდა დანერვილი. თავიდან მეშინოდა, როგორ შემხვდებოდა მკითხველი. ამიტომ ფსევდონიმით ისე შევინიღბე, რომ არდაშელის ნამდვილი ვინაობა ოჯახშიც კი არ ავინ იცოდა. ერთხელ, სამსახურიდან სახლში მისულს, ცოლი გამომეგება

– არდაშელ თაქთირიძე ხომ არ იცი, ვინ არისო? – ეგ ვინლა ოხერია-მეთქი? – გავიკვირვე. – კარგ რაღაცებს წერს, აი, მისმინეო! – ჩემი ნოველა – „ნადარბაზევის ტბა“ წამიკითხა. – სულელია ვილაცაა, შემეშვი, ქალო, საჭმელი მაჭამე-მეთქი! – შენ ლიტერატურის რა გესმის, უხეში სული გაქვსო!

შარშან, ახალ წელს, ჩემი ფოტოსურათი რომ დავდე, გადაირია. აღარ მელაპარაკებოდა. ძლივს შემოვირიგე.

ალბათ, მკითხავთ, ფსევდონიმად არდაშელ თაქთირიძე რატომ ავირჩიე. XVI საუკუნეში სამცხიდან ქართლში გადმოსული თაქთაქ თაქთირიძის შვილები – არდაშელი და ელიზბარი ორი გვართ ინერებოდნენ – თაქთირიძე-თაქთაქისშვილებად. არდაშელი იყო პირველი თაქთაქიშვილი – ჩემი შორეული წინაპარი.

მართალია, ნოველებიდან რამდენიმე განსაკუთრებით მიყვარს, მაგრამ ყველა ჩემი სულის ნაწილია, ჩემთან ერთად ცოცხლობს და ვისურვებდი, როცა მოვკვდებო, ჩემთან ერთად არ დაიმარხონ.

ხშირად გამიგია, ადამიანს ბედნიერებამდე ყოველთვის ერთი ნაბიჯი აშორებსო. არაფერიც, ბედნიერი ვარ! ბედნიერი ვარ, რომ დავიბადე საქართველოში! ბედნიერი ვარ, რომ გვერდით მიდგანან ცოლი, შვილები, რომ მახვევია შვილიშვილები! ბედნიერი ვარ, რომ მყავხართ თქვენ – ჩემი მკითხველი!

## ტირორისტი

„ღმერთი შენთანაა, შენ მისი რჩეული ხარ, დღეს, მზის ჩასვლისას, წარსდგები ალაჰის წინაშე, როგორც მუჰამედის არმიის მხედარი!“ – მიანიშნებს ზეცისკენ აღმართული საჩვენებელი თითების ტყე.



მიქრის ავტომანქანა, სულ ცოტა დარჩა მიზნამდე. ხალხში შევარდება და ის გმირია...

ბავშვობა გაახსენდა – აული, ფეხშიშველა რომ დარბოდა თანატოლებთან ერთად. ყველასგან გამორჩეული – უფრო ქვიანი და დაფიქრებული. ამიტომაც შეიყვანეს მედრესეში – მეჩეთთან არსებულ სკოლაში. ზეპირად ისწავლა 114-ვე სურა ყურანიდან, საიდანაც ყველაზე მეტად, 49-ე სურას მე-13 მუხლი უყვარდა – ადამიანთა წარმომავლობის, ეროვნებისა და კანის ფერის მიხედვით განსხვავება რომ არის უარყოფილი.

– ჩემი ბიჭი მუფთი იქნებაო! – მისით ამაყობდა მამა. – ყადი ნური, თავისი სამარლიანობით, მთელ რაიონში რომ ჰქონდა სახელი განთქმული. მეზობელი აულებიდანაც ხალხი მასთან მოდიოდა სამართლის საპოვნელად. დედა – ნაზმი – გულჩვილი, მოსიყვარულე, ერთგული და თავმდაბალი ქალი, მუდამ მოყვასის სიყვარულს, ჩაგრულთა სიბრალულს და მოძალადის მიტევებას ასწავლიდა.



მიქრის ავტომანქანა, სულ ცოტა დარჩა მიზნამდე. ხალხში შევარდება და ის გმირია...

გაახსენდა, აულში ყველას, მაჰმადიანობისთვის მებრძოლის, ალ მუსტაფას სახელი რომ ეკერა პირზე. ამბობდნენ, პირდაპირ სირიიდან არის ჩამოსულიო. მერე, მეზობლების ბიჭებმა დაიწყეს

სირბილი და ახლგაზრდების შეგროვება. ახსოვს, მამამ რომ უთხრა: „იმათთან არ დაგინახოო!“ – როგორ გაუკვირდა. რა, თვითონ ვერ გაარჩევდა კარგს და ცუდს? – იმიტომაც მივიდა შეკრებაზე.

„მაჰმადიანობას ებრძვიან, ჯვაროსნული ომი გამოგვიცხადესო! – სიტყვას წარმოსთქვამდა ალ მუსტაფა. – ერაცს დააბრალებს, ატომურ ბომბს ამზადებსო. შევიდნენ, ააოხრეს, დაარბიეს, სადამ ჰუსეინი ჩამოახრჩვეს. მერე გაირკვა, რომ ერაცში ატომური ბომბი კი არა, ქიმიური იარაღიც კი არ ჰქონდათ. ან კიდევ, ლიბია, რა უქნეს გადაფს – რევოლუცია მოუწყვეს. კაცს თავისი საკუთარი არაფერი გააჩნდა, კარავში ცხოვრობდა, ცოლ-შვილებიანად ამოხოცეს. მაგათ ჰუსეინი, კადაფი და თუნდაც ბინ ლადენი კი არა, არაბული ქვეყნების კუთვნილი ნავთობის კონტროლი უნდათ, ამისთვის იბრძვიან, ამისთვის გამოგვიცხადეს ომი. ჩვენთვის, მაჰმადიანებისთვის, ეს საღვთო ომია! ტერორიზმს რომ ებრძვიან, სხვა საშუალება დაგვიტოვებს? რით განსხვავდება ტერორიზმი პარტიზანული ომისგან? მხოლოდ იმით, რომ, თუ ისინი აწარმოებენ, პარტიზანული ომია, თუ ჩვენ – ტერორიზმიო! – კიდევ ბევრი ილაპარაკა ალ მუსტაფამ საღვთო ომის აუცილებლობასა და მტრის ორმაგ სტანდარტებზე. უსმინა და ბოლოს, ერთ-ერთი პირველი ჩაენერა სიაში. ორ დღეში კი, ოჯახის გაუფრთხილებლად, ალ მუსტაფას გაჰყვა სირიაში.



მიქრის ავტომანქანა, სულ ცოტა დარჩა მიზნამდე. ხალხში შევარდება და ის გმირია...

სირიაში ჩამოსვლისთანავე ბაზაზე წაიყვანეს და სროლაში ავარჯიშეს. ორ თვეში უკვე სრულყოფილი სამხედრო დადგა, ნებისმიერ დავალებაზე შეეძლო წასვლა, მაგრამ მას ტერორისტული აქ-

ტი იზიდავდა – საკუთარი სიცოცხლის ფასად, მტრის ათას სიცოცხლეს რომ შეინირავდა. ეს დღეც მალე დადგა. ასაფეთქებელი ნივთიერებით დატვირთული ავტომანქანის საჭესთან ზის, მთელი არმია მას აცილებს: „ღმერთი შენთანაა, შენ, მისი რჩეული ხარ. დღეს, მზის ჩასვლისას წარსდგები ალაჰის წინაშე, როგორც მუჰამედის არმიის მხედარიო, – მიანიშნებს ზეცისკენ აღმართული საჩვენებელი თითების ტყე.

● მიქრის ავტომანქანა, სულ ცოტა დარჩა მიზნამდე. ხალხში შევარდება და ის გმირია...

ეზმანა, სოფლის ცენტრში თვითონ ასვენია. თავთან ალ მუსტაფა დგას და მისი გმირობის შესახებ უყვება გარს შემოკრებილ მეზობლებს. აგერ მამა, განმარტოებით დგას, სიმწრით წვერს იწინკნის, თავი ჩაულუნია, ხმას არ იღებს, იმის მაგივრად, რომ იამაყოს, თითქოს მეზობლების რცხვენიაო.

– ეს რა ქენი, შვილო, მე ასე არ გამიზრდისხარ! – ჩურჩულით მოთქვამს დედა.

მიქრის ავტომანქანა...

– საით გაგინევია? – ჩაესმა ფიქრებში წასულს. გვერდით გაიხედა – მგზავრის სკამზე თეთრებში ჩაცმული წვერიანი მამაკაცი იჯდა.

– შენი გზით მივდივარ, მტერი უნდა გავანადგუროო!

– უდანაშაულო ხალხის ხოცვა ჩემი გზა არ არის, ჩემი გზა, მიტევებისა და სიყვარულის გზაა! – უპასუხა მგზავრმა...

● ასაფეთქებელი ნივთიერებით დატვირთული მანქანა, რომელსაც თვითმკვლელი ტერორისტი მართავდა, გაურკვეველი მიზეზით, ქალაქიდან მოშორებით, უკაცრიელ ხევში აფეთქდაო! – გადმოსცეს ტელევიზიით.

● სალამოს, მწუხრზე, მუჰამედის არმიის რიგებს ერთი მხედარი შეემატა.

## ბაბირი

თვალეები დახუჭა და მარჯვენა ფეხი ბაგირზე შედგა. მკლავები გაშალა, სიმძიმე მარჯვენა ფეხზე გადაიტანა, ცოტა ხანს შეყოვნდა, თითქოს ბაგირის სიმტკიცეს ამოწმებო. მარცხენა ფეხი მარჯვენის წინ გადააცურა. ბაგირი შეტორტიმანდა. მკლავების მოძრაობით წონასწორობა შეინარჩუნა. თავდაჯერება იგრძნო, გული საგულეს ჩადგა.

● ბიჭის შეძენას თვითმფრინავში შეხვდა, მოსკოვიდან მოფრინავდა. სამსახურიდან გაუშვეს მივლინებით. ყოველდღე რეკავდა და რომ გაიგო, ცოლი სამშობიაროში წაიყვანესო, თბილისის ბილეთი აიღო, რომელიც, ბედად, ვილაც მგზავრს დაებრუნებინა და დილით გამოფრინდა. სამშობიაროში რომ მივიდა, ნიკა უკვე დაბადებული იყო.

სამსახურიდან როგორი დაღლილი და გაბრაზებულიც არ უნდა მისულიყო, ბავშვს რომ მოეფერებოდა, დაღლაც ავიწყდებოდა და გაბრაზებაც. კვირას ოჯახი ქალაქგარეთ გადიოდა სასეირნოდ. მცხეთა, დუშეთი, საგარეჯო, ბოლნისი, თეთრიწყარო... ნიკა მამას სულ უკან დასდევდა და კითხვები არ ელეოდა:

– მა, მთვარე რატომ არის ხან მრგვალი და ხან წვეტიანი? – ესეც უხსნიდა, რატომ იყო მთვარე ხან მრგვალი და ხან წვეტიანი.

– მა, მზე იქიდან რომ ამოდის და იქ ჩადის, მერე ისევ იქიდან როგორ ამოდის? – ჯორდანო ბრუნოს სიჯიუტით ეკითხებოდა პატარა...

პირველ კლასში 31-ე სკოლაში შეიყ-

ვანა. უნდოდა, ბავშვს იმ სკოლაში ესწავლა, რომელიც თვითონ დაამთავრა. დილით სკოლაში მიჰყავდა, შუადღით, სკოლიდან პაპას ან ბებიას გამოჰყავდა და საღამომდე იქვე, ბოჭორიძის ქუჩაზე, თავისთან ამყოფებდნენ. საღამოს მშობლებს გაუვლიდა და ბავშვი სახლში მიჰყავდა. მალალ კლასებში რეპეტიტორები აუყვანა, საღამოობით მათთან მიაცილებდა და თვითონ მანქანაში ელოდებოდა.

ნიკას მამა განსაკუთრებით უყვარდა. მართალია, მოფერებით ვერ გამოხატავდა, მაგრამ მამას რომ დაინახავდა, სახე უბრწყინდებოდა.

ბიჭი უნივერსიტეტში რომ მოეწყო, დიდი ქეიფი გადაიხადა. ნათესავები, მეგობრები, მეზობლები... კარგად იქეიფეს. მაშინ ნიკამ ისეთი სამადლობელი სადღეგრძელო თქვა, მიხვდა, რომ მისი შვილი უკვე დაკაცებულიყო.



უცებ მობილურმა გაიწკრიალა. ინსტინქტურად, ხელი ჯიბისკენ წაიღო, მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა. ბაგირმა ეს მცირე მოძრაობაც კი იგრძნო და კარგა დიდზე გაქანდა. მკლავების მოძრაობა ბაგირის რხევას ააყოლა. ნელ-ნელა ქანაობა მიხელდა.



– ბიჭები სამეცადინოდ კურსელთან ვიკრიბებით, დღეს წყნეთში უნდა ავიდეთ! – კვირას, დილით გამოუცხადა შვილმა. მანქანით თვითონ აიყვანა. ოთხნი შეკრებილიყვნენ. ერთი ბიჭი მანქანით იყო მისული. ოჯახში უფროსი არავინ ჩანდა. მიხვდა, რომ მეცადინეობა მიზეზი იყო და უნდა ექეიფათ.

– რომ მორჩებით, დამირეკე, მოვალ და თბილისში ჩაგიყვანო! – დაუბარა შვილს, თვითონ კი, წყნეთელ ძმაკაცს გაუარა.

გაიხარა ძმაკაცმა, სუფრა გაშალა.

არ დაუღევიათ, მაგრამ კარგად იმხიარულეს. დრო ისე გაეპარა, ვერ გაიგო. უკვე მოსალამოვებული იყო, შვილს რომ დაურეკა. ზარი გავიდა, მაგრამ არავინ უპასუხა. იმ სახლში მივიდა,

– ბიჭები თბილისში მანქანით წავიდნენ! – დაიბლუყუნა მთვრალმა სახლის პატრონმა. გულმა რეჩხი უყო, წყნეთიდან დაეშვა. „კაკლებთან“, „ბმვ“ მოსახვევში გზიდან გადასულიყო და ხეს შესჯახებოდა. დაშავებულები სასწრაფოს უკვე გადაეყვანა საავადმყოფოში.

საავადმყოფოში მიაკვლია. ორი გარდაცვლილი ბიჭი მორგში გადაეყვანათ. ნიკა, თავის ტვინის მრავლობითი ტრამვებითა და ფილტვში შერჭობილი გატეხილი ნეკნით, საოპერაციოში იყო შეყვანილი.

ადგილს ვერ პოულობდა, კორიდორის სიგრძეზე ბოლთას სცემდა. გვერდით მდგომი სჭირდებოდა, სახლში დარეკა. ცოლი მალე მოქანდა, მაგრამ ისეთი ისტერიკა ატეხა, ცალკე ის გაუხნდა მისახედი. ოპერაცია ექვს საათს გაგრძელდა. ქირურგებმა თავისი საქმე გააკეთეს – ფილტვიდან ნეკნი ამოიღეს, თავის ქალა ახადეს და ჩამტვრეული ძვლები ამოკრიფეს, მაგრამ სანუგეშო ვერაფერი თქვეს...

აგერ, უკვე 4 თვე გავიდა, უკეთესობა კი არ იყო. ხელოვნური სუნთქვის აპარატზე მიერთებულ ბიჭს ძალით აცოცხლებდნენ. თავს დამნაშავედ მიიჩნევდა – როგორ მოუვიდა, რომ დრო გაეპარა და ყურადღება ვერ მიაქცია? წყნეთში, სახლის წინ უნდა დალოდებოდა, ძმაკაცთან კი არ უნდა გაქცეულიყო!

დილით საავადმყოფოდან დაურეკეს, მისვლა სთხოვეს.

– შანსი ნულის ტოლია, ვანვალებთო! – მოახსენეს ექიმებმა საერთო აზრი. არა, ამას ვერ გააკეთებს, საკუთარი შვილის სიკვდილს ხელს ვერ მოაწერს, მაგრამ მართლები რომ არი-

ან, ამასაც კარგად ხვდება. მისი ბიჭი, მისი საყვარელი შვილი! რა ქნას? თვითმკვლელობა! არის კი გამოსავალი? ამით შვილს რა მოემატება? მაგრამ აპარატიდან გამორთვას ხომ აღარ მოაწერს ხელს! არა, თვითმკვლელობა არ ივარგებს, ბიჭს იმქვეყნად ცოდვად დაანგება და დაამძიმებს. უმჯობესია, სიცოცხლე ღმერთს მიანდოს, დაე, მან გადანყვიტოს! – უგონოდ დათვრება და მანქანით გავა ტრასაზე, კარგი აზრია!

ბუფეტთან მივიდა და ვისკი გამოიღო. ეზოში ჩავიდა, მანქანაში ჩაჯდა, ბოთლს სახურავი მოხსნა და პირთან მიიტანა, მაგრამ, ასე ხომ შეიძლება სხვას დაეჯახოს და იმსხვერპლოს? არა, არ ვარგა, სხვა რამ უნდა მოიფიქროს. ზეცას ახედა, ცამდე აზიდული, ორი, ერთმანეთისგან 20-30 მეტრით დაცილებული, თექვსმეტსართულიანი კორპუსი მოხვდა თვალში. გონება გაუნათდა, მანქანა დაქოქა და ელიავას ბაზრობაზე მივიდა... სახლში რომ დაბრუნდა, თავისი კორპუსის სახურავიდან თოკი ჩაუშვა, შემდეგ, მეზობელი კორპუსის მე-16 სართულზე ავიდა, არავინ შეხვედრია. სახურავზე აძვრა, ბაგირი სავენტილაციო მილს ორჯერ შემოახვია და ბოლო იქვე ამოშვერილ არმატურას გამოსდო. ბაგირის მეორე ბოლო პარაპეტს გადაატარა და ძირს, ეზოში ჩაუშვა. ქვევით ჩავიდა, ბაგირს თოკის ბოლო მოაბა, თავისი კორპუსის სახურავზე ავიდა და ბაგირი თოკით აათრია. პარაპეტს გადაატარა, სავენტილაციო მილს შემოახვია, დამჭიმი მექანიზმი ჩაუდგა, სახელური რამდენჯერმე წინ და უკან გადასწია და ბაგირი დაჭიმა.

●  
ბოლო რამდენიმე ნაბიჯის გადადგმისას ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს აღმართში ადისო. თვალები გაახილა – მოპირდაპირე კორპუსს მისდგო-

მოდა. ისკუპა და კორპუსის სახურავზე გადახტა. ფეხები უკანკალებდა. პარაპეტზე ხელებით დაეყრდნო, ქვევით ჩაიხედა. ეზოში ხალხი შეგროვილიყო და ზევით იყურებოდა. ჯიბიდან მობილური ამოიღო, ეკრანზე გამოსულ მესიჯს დახედა – „ნიკა გონს მოვიდა!“ – სწერდა ცოლი.

## პირველი თოვლი

ერთი, ორი, სამი, ჭრაჭ-ჭრუჭ, ჭრაჭ-ჭრუჭ, ფეხქვეშ პირველი თოვლი ჭრაჭუნებს. ექვსი, შვიდი, რვა... დედას ახალ წელს მიულოცავს, ჩაეხუტება, ხელებს შემოხვევს, მკერდზე თავს მიადებს. ის კი თავს გადაუნწევს და თვალებში ჩახედავს, როგორც იცოდა ხოლმე... ჭრაჭ-ჭრუჭ, თხუთმეტი, თექვსმეტი, ჩვიდმეტი...

●  
კატო რაიონის სამშობიაროში დღენაკლული დაიბადა და ორმოცდარვა წლის დედამისი კინალამ გადაიყოლა. მთელი თვე ინკუბატორში გაატარა. რომ მოშუშდა და გამონერეს, დედამისმა პიელონეფრიტი დაუდგინა, მერე, ბრონქიალური ასთმა, მერე, შუილი, რევმატიზმი, ანემია, ქოლეცისტიტი... არადა, ჯანმრთელი იყო, ყველა ხვდებოდა, დედამისის გარდა. დედა კი შვილის ავადმყოფობას მოიგონებდა, განიცდიდა, მასზე ზრუნავდა და ამით იყო ბედნიერი. შვილსაც დედის გარემე ცხოვრება ვერ წარმოედგინა, ისე იყო მიტმასნილი. სკოლაში რომ შეიყვანეს, გაკვეთილების დროს თვითონ კლასში რომ იჯდა, დედა დერეფანში ელოდებოდა. შესვენებაზე საჭმელს თავის ხელით აჭმევდა, სახლიდან სათადარიგო პალტო მიჰქონდა, გაოფლიანების შემთხვევაში მოსასხმელად. ბანაობის დღეს გარეთ არ უშვებდა, რომ არ გაციებულყო. მაღალ კლასებში ბავშვებმა აითვალწუნეს – დას-

ცინოდნენ, მასთან არ მეგობრობდნენ. დაბადების დღეებზე არ ეპატიუებოდნენ. იცოდნენ, რომ დედამისიც გამოჰყვებოდა და თავისი დიდაქტიკური გამოსვლებით წვეულებას ჩაუშხამებდათ. პირველ მერხთან იჯდა მარტო, უკარება, ქვეყანაზე არავინ უნდოდა, დედის გარდა. კლასში მეორე ბავშვიც იყო განმარტოებული – მათი მეზობელი, დედ-მამით ობოლი მიტო. მეცხრე კლასში გამზრდელი ბებიაც მოუკვდა და დარჩა ღვთისა და ერთი ძროხის ანაბარა. სკოლაში გამოკერებულ შარვლით დადიოდა და მუდამ ბოსლის სუნი ასდიოდა. ამიტომ, კლასში მარტო იჯდა, უკანა მერხთან. ერთხელ, მიტო კატოს გვერდით გადმოჯდა. გააქტიურდა, გაკვეთილზე ხელიც აინია, თითქოს დამეგობრდნენ კიდეც, მაგრამ კატოს დედამ გააპროტესტა:

– მაგ მანანალას ჩემი შვილის გვერდით რა უნდაო?! – ეტყობა, მასწავლებელიც სუნმა შეანუხა, რადგან მიტო ისევ უკანა მერხზე გადასვა.

მეათე კლასში იყო კატო, მამა რომ გარდაეცვალა. ამის მერე დედა-შვილი კიდე უფრო დაუახლოვდა ერთმანეთს. ქალმა რაიონის გამგეობაში დაიწყო კურიერად მუშაობა. სალამოს ზუსტად იცოდა, დედა როდის უნდა დაბრუნებულიყო. სახლიდან გამოდიოდა, თვალებს დახუჭავდა და შესახვედრად, ნაბიჯების თვლით, ჭიშკრისკენ მიდიოდა. მუდამ ერთსა და იმავე ადგილზე ხვდებოდნენ ერთმანეთს – მესამოცე ნაბიჯზე, ნეკერჩხლის ხესთან.

●

ჭრაჭ-ჭრუჭ, ჭრაჭ-ჭრუჭ... ორმოცდაოთხი, ორმოცდახუთი, ორმოცდაექვსი. აქედან ოდნავ მარჯვნივ... ჭრაჭ-ჭრუჭ... ორმოცდაშვიდი, ორმოცდარვა, ორმოცდაცხრა... აგერ, დედაც უახლოვდება, ჭიშკარს მოადგა, სახელური ჩამოსწია, ზღურბლს გადმოაბიჯა, თოვლის ჭრაჭუნის ხმა ისმის მის ფეხებქვეშ...

ის დღე ახსოვს, რაიონის საავადმყოფოს ექიმმა დედა ონკოლოგიურში რომ გაგზავნა.

– შვილო, შენ არ შეგეშინდეს, მე მუდამ შენ გვერდით ვიქნები, – ამშვილებდა დედა. – ძილში სიზმრად მოვალ, გვალვაში – წვიმად, ყინვაში – ცეცხლად, გაჭირვებაში – კეთილ ადამიანად! – არ შეშინებია. სჯეროდა, რომ დედა არ მიატოვებდა. მისი სიკვდილის შემდეგაც სულ გრძნობდა დედის გვერდით დგომას. სამსახურში დედის ადგილზე მიიღეს კურიერად. სალამოს, სახლში დაბრუნებულს, ეზოში შეშა ხვდებოდა დაჩეხილი, ეზო დაგვილი და მონესრიგებული, სახლში – ღუმელი დანთებული. თავიდან გაუკვირდა, მაგრამ მერე შეეჩვია, მიხვდა, რომ დედას არ მიუტოვებია და გვერდით ედგა.

პირველი ახალი წელი მოდის უიმისოდ, რამდენიმე წუთილა დარჩა! ფანჯარაში გაიხედა. პირველი თოვლი მოსულიყო. ციდან წამოსულ უამრავ ფიფქს ქარი ატრიალებდა და უხმაუროდ აფენდა დედამინას. თითქოს შემქმნელმა პალიტრა დაკარგაო, არემარე შავ და თეთრ ფერებად იყო შეღებილი. მხოლოდ ხის ტოტზე მიყრილი თოვლიდან, იმედის ნაპერწკალივით, ეულად შერჩენილი ნეკერჩხლის ფოთოლი ღვიოდა წითლად. გაახსენდა, დედას რომ ხვდებოდა ნეკერჩხლის ხესთან. ახლაც მოვა, მარტოს არ დატოვებს!

შარაზე ვილაც გამოჩნდა. დედა?! ახლავე გაეგებება, ახალ წელს მიულოცავს, ჩაეხუტება, ხელებს შემოხვევს, მკერდზე თავს მიადებს. ის კი თავს გადაუნევეს და თვალებში ჩახედავს, როგორც იცოდა ხოლმე...

●

ჭრაჭჭრუჭ, ჭრაჭჭრუჭ... ორმოცდაჩვიდმეტი, ორმოცდათვრამეტი, ორმოცდაცხრამეტი... დედას ჩაეხვია, ხელები შემოაჭდო, მკერდზე თავი მიადო. რა თბილია, რა მშობლიური! დედამ

თავი გადაუნია. თვალეებში ჩახედა...

– მიტო?! აქ რას აკეთებ? – უკან გადახტა გოგო. ბიჭი, თითქოს დანაშაულზე ნაასწრესო, დარცხვენილი შეტრიალდა და ჩქარი ნაბიჯით გასცილდა იქაურობას. ნეკერჩხლის ხესთან კი მხოლოდ ძირს დაგდებული თოვლის სახვეტი ნიჩაბი დარჩა.

## „ნახევარქათამა“

– კლასში შემოვა, არავის შეხედავს, მისკენ წამოვა, მის გვერდით დაჯდება, თვითონ გადაინევა და ლოყაზე აკოცებს, თან – სიგიჟემდე მომენატრე, მიყვარხარო! – ყურში ჩასჩურჩულებს.



ლილი ახალ კლასში რომ გადავიდა, ისეთი საშინელი შესახედავი იყო, ბავშვებმა ერთხმად „გომბეშო“ დაარქვეს. მასწავლებელმა კი არც აცია, არც აცხელა, პირდაპირ „ნახევარქათამას“ გვერდით, მუდამ ცარიელ ადგილას დასვა და იქით აღარც გაუხედავს. „ნახევარქათამას“ თემოს ეძახდნენ, რადგან პატარა თავით, გაშვერილი, მოკაუჭებული ცხვირითა და ბულულა ქორჩით ქათამს წააგავდა და თან ნახევარი სახე წითლად ჰქონდა ტყლიპით დაფარული, მაგრამ თვალეებგადმოკარკლულ ლილისთან შედარებით ლეონარდო დიკაპრიო გეგონებოდათ. თავიდან „ნახევარქათამაც“ დაფრთხა, გვერდით გაინია, მაგრამ ლილიმ რომ გადაუჩურჩულა: – ნუ გეშინია, ჩიყვი მაქვს, გადამდეები არ არისო! – დაწყნარდა და ბედს შეეგუა. შეეგუა კი არა, ცოტა ხანში განუყრელი მეგობრები გახდნენ. დილით ერთად მიდიოდნენ სკოლაში. საღამოს გოგონას სახლამდე მიაცილებდა და შინ მიდიოდა. უკვე ველარ ამჩნევდა მის გადმოკარკლულ თვალეებს. ის კი არა, ელამაზებოდა კიდეც. თუ ვინმე ლილის „გომბეშოს“ დაუძახებდა, მაშინ უნდა გენახათ „ნახევარქათამას“ გააფ-

თრება – ეს თვინიერი და მორიდებული ბიჭი წამში ააღდებოდა, ძარღვები დაეჭიმებოდა, მებრძოლი მამალივით, კისერს ნაიგრძელებდა და მთქმელს დააცხრებოდა. მართალია, უფრო ხშირად თვითონ იცემებოდა, მაგრამ ლილის დაცინვას არავის პატიობდა.

როგორც ხშირად ხდება მათ ასაკში, ბიჭისა და გოგოს მეგობრობა სიყვარულში გადაიზარდა. თემო ყოველდღე აპირებდა აეხსნა ლილისთვის სიყვარული, მაგრამ ვერ ბედავდა – ეგონა, გოგონა გაუბრაზდებოდა და ხმას აღარ გასცემდა, ამას კი სიკვდილი ერჩია. ამიტომ ყოველ ჯერზე მეორე დღისთვის გადადებდა ხოლმე სათქმელს.

ამასობაში სასწავლო წელიც მიილია, გამოცდები ჩააბარეს და ახალი სასწავლო წლის მოლოდინში, სოფლებში დაიფანტნენ.

მთელი ზაფხულის განმავლობაში ლილიზე ფიქრობდა თემო – ენატრებოდა, დარდობდა. მტკიცედ გადაწყვიტა, სკოლაში მისვლისას, პირველივე დღეს აეხსნა სიყვარული. ოცნებობდა, როგორ შემოვიდოდა ლილი, არავის შეხედავდა, მისკენ წამოვიდოდა, მის გვერდით დაჯდებოდა, თვითონ მისკენ გადაინეოდა და ლოყაზე აკოცებდა. – „სიგიჟემდე მომენატრე, მიყვარხარ!“ – ყურში ჩასჩურჩულებდა.

და აი, როგორც იქნა, მიილია არდადეგები. თემო თავის ადგილას ზის და ლილის შემოსვლას ელოდება. დღეს გადაწყდება მისი ბედი.

მოსწავლეები შემოდიან, ერთმანეთს ესალმებიან, ამბებს უყვებიან. ნელ-ნელა ივსება კლასი. მხოლოდ ლილი არ ჩანს. თემო ზის თავის ადგილას, ლილის ელოდება... ნუთები საათებად იჭიმება... კისრის ძარღვები დაბერვია, ნერვიულობისგან ოდნავ კანკალებს, – რომ გაბრაზდეს, სილა რომ გაარტყას? არა, რაც არ უნდა მოხდეს, ეტყვის! ნაბიჯების ხმა მოესმა – ისაა, იმან იცის ასეთი სიარული... გული ამოვარდნას

ლამობს. კარებს მოადგა, გაალო, შემოვიდა... ვინაა, ეს ლამაზი გოგო? ლამაზი კი არა, ულამაზესი! ტანი ლილისი აქვს, ცხვირიც, პირიც, თმებიც, ნარბეზიც! მხოლოდ თვალები აქვს სხვა – ლამაზი, ნუშიებრი, ოდნავ მინაბული. გულზე დაკიდებული მედალიონი სანახევროდ უფარავს ყელზე მოგრძო ნაიარევს. უღიმის, მისკენ თავისუფლად მოდის – ნელში გამართული, თავდაჯერებული, სხვას არავის უყურებს. გაკვირვებული კლასელები თვალს აყოლებენ. მოვიდა, მის გვერდით დაჯდა, გადმოინია, ლოყაზე აკოცა: – „როგორ მომენატრე!“ – ყურში ჩასჩურჩულა... ბიჭი დაპატარავდა, მიიღია, ჩანთას დასწვდა, აილო და მოკუნტული, ლასლასით, უკან, ცარიელ მერხთან გადაჯდა.

## ნიშანი

– ქრისტე აღსდგა!  
– ჭემმარიტად!  
– გაიგე? ნუხელ ვიღაც მანანნალა შევარდნილა ჩვენს ეკლესიაში. შიშველი ყოფილა, ჯვალო ჰქონია ტანზე შემოცმული. შესასვლელთან დახლი აუყირავებია – აქ რა ვაჭრობა გაგიმართავთ?! მერე ეკლესიაში შესულა, ჯვარცმასთან დამდგარა, დიდხანს უყურა თურმე. დედაო მისულა – დაბალი, მსუქანი ქალი რომ არის, უკითხავს:  
– ქრისტიანი ხარო?  
– არაო! – უპასუხია იმას.  
– მაშინ დატოვე ეკლესიაო! – მოუთხოვია დედაოს.  
– აქედან როგორ მაგდებ, შე სანთლის ქურდოო?! – არ შეპუებია მანანნალა. ხმაურზე დედა ეფემია გამოსულა, ხელი მოუკიდია და ეკლესიიდან გაყვანა მოუნდომებია.  
– ხელი გამიშვი, შენ ის არა ხარ, შემონანირი სახლში რომ მიგაქვსო?! – უთქვამს იმ მანანნალას დედა ეფემიასთვის.

– დედა ეფემიასთვის? იმ სათნო ქალისთვის? რას არ გაიგებ!

მერე, დედა ეფემიას მამაოსთვის დაუძახია. მამა იაკინთე გამოსულა, აი, ჯანიანი მამაო რომ არის, მისულა და უკითხავს:

– ეკლესიაში შიშველი რატომ შემოხვედიო?!

– ტანსაცმელი არ მაქვსო! – უთქვამს მანანნალას.

– მონათლული თუ ხარო?

– კიო!

– ჯვარს თუ ატარებო?

– მე ჯვარი უკვე ვატარეო! მამაოს საკინძე გადაუნეგია მისთვის, ხის თევზი ეკიდა თურმე გულზე.

– სექტანტი ყოფილა!

– ალბათ!

– რა რჯულზე ხარ მონათლულიო? – უკითხავს მამა იაკინთეს.

– მამაჩემის რჯულზეო!

– მამაშენი ვინ არისო?

– ყველაფერიო!

– კი, მაგრამ, სად არის მამაშენიო?

– ყველგანო! – უპასუხია მანანნალას.

– გიჟი ყოფილა!

მამაოს მისი ეკლესიიდან გათრევა მოუნდომებია. ის გასძალიანებია:

– შენ, ის მამაო არა ხარ, მრევლს აღსარების გამჟღავნებით რომ ამანტაჟებო?! – ყვიროდა თურმე მანანნალა.

– როგორ, მამაო განიკითხა იმ საზიზლარმა?!

– აბა, აბა, დიდი ცოდვაა! მერე, ვილაცას პატრული გამოუძახებია და ის მანანნალა წაუყვანიათ.

– კიდევ კარგი, დიდება შენდა, ღმერთო!

## ოთო

– ეს ჩემი ბიჭია, ოთო, თუმცა, რალა ბიჭი, უკვე კაცია. იცით, რა ვაჟკაცია?! ენაცვალოს მამა!



●  
მე და ოთო ბავშვობის მეგობრები ვიყავით, სკოლაში ერთად ვსწავლობდით, ერთ კლასში და ინსტიტუტშიც ერთად მოვეწყეთ. ლექციებზე კი დავდიოდით, მაგრამ მაშინ აფხაზეთის ომი მძვინვარებდა, ვის ეცალა სწავლისთვის?! ლექტორებიან-სტუდენტებიანად ტელევიზორში ნანახს ჩამოსულ თვითმხილველთა მონაცოლით ვავსებდით და საქართველოს მომავალზე ვმსჯელობდით.

ბოლო კურსზე რომ ვიყავით, აფხაზეთში წასვლა გადავწყვიტეთ. ჩემი ოჯახი გაგებით შეხვდა, მომიწონეს კიდევ გადამწყვეტილება, მაგრამ ოთოს მამამ, რომ იტყვიან, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა:

– ერთადერთი შვილი ომში როგორ გაგიშვავო?! – ოთახში გამოკეტა და ფეხსაცმელები დაუმალა.

„იმელთან“ ავტობუსი იყო ჩომომდგარი. ახალგაზრდები მოხალისეებად ეწერებოდნენ და ავტობუსში ადიოდნენ.


დილით გავუარე ოთოს. ქუჩიდან შევძახე. თავისი ოთახის ფანჯრიდან გადმოიხედა:

– მიდი, მე მალე მოვალო! – გამომისტუმრა. მართლაც, ცოტა ხანში მოვიდა. ძველი,

ორი ზომით დიდი „ბათინკები“ ეცვა. საწვინარი მილით ჩამომძვრალა, სარდაფში ვილაცის გადაგდებული „ბათინკები“ უპოვია, ჩაუცვამს და „იმელისკენ“ გამოქცეულა.

ავტობუსში ავედით. ცოტა ხანში აეროპორტისკენ დავიძარით. ავტობუსი გაჭედილი იყო. რამდენიმე სამხედროფორმიან და ავტომატიან მამაკაცს შეამჩნევდით, დანარჩენები, სამოქალაქო ტანსაცმლიანი უიარალო ახალგაზრდები ვიყავით. ფანჯრები კი ჩამონეული იყო, მაგრამ ზეთისა და დენტის სუნი ოფლის სუნს ერეოდა და გულისამრევ, მძალე სუნად ვრცელდებოდა.

– მამაჩემი არ მაპატიებს, მაგრამ საქართველოს ახლა ვჭირდები, სხვანაირ-



რად ვერ მოვიქცეოდი! – მითხრა ოთომ ისე, რომ ჩემკენ არც გამოუხედავს, ჩაფიქრებული იყურებოდა ფანჯრიდან.

აეროპორტში რომ მივედით, სამი თვითმფრინავი იდგა აფრენის ნებართვის მოლოდინში. სოხუმის აეროპორტის დისპეტჩერი არ იძლეოდა რეისების შესრულების ნებას, რადგან ზღვიდან მტრის მიერ თვითმფრინავების ჩამოგდების შესაძლებლობას არ გამოირიცხავდნენ.

ამასობაში, სოხუმიდან რეისი შესრულდა. დაჭრილები და დაღუპულები ჩამოიყვანეს.

– ამან თუ გამოაღწია, მე შევალ! – თქვა ხომალდის კაპიტანმა და ტრაპზე ასვლა გვიბრძანა.

თვითმფრინავში ერთმანეთის გვერდით დავსხედით. ოთო გამხიარულდა, სიკვდილზე არ ვფიქრობდით, ვიცინოდით, ანეკდოტებს ვყვებოდით. სოხუმამდე ისე ვიფრინეთ, ვერ გავიგეთ. თვითმფრინავმა ზღვაზე წრე დაარტყა და დაშვება დაიწყო. ვხედავდით ზღვაზე მცურავი გემებიდან მანათობელ გაელვებებს. უკვე ვსხდებოდით, ხომალდის კორპუსი რომ შეზანზარდა. თვითმფრინავი თითქოს მოწყდაო, დაბლა დაიწყო ვარდნა. უკვე დასაჯდომ ზოლთან ახლოს ვიყავით, კორპუსი მიწას რომ დაენარცხა და გვერდით გადაგორდა. მერე არაფერი მახსოვს. გონს რომ მოვედი, შავი, მახრჩობელა ბოლი იყო ჩამონოლილი, ირგვლივ არაფერი ჩანდა, ოთო სადღაც მიმათრევდა. გაჩერდა. ზევით ავიხედე, ცის ნაგლეჯი დავინახე. ვიხრჩობოდი, ბოლი მგუდავდა. ოთომ ხელი მომიკიდა, ასვლაში დამეხმარა. ხელები კორპუსს რომ მოვკიდე, გავარვარებული იყო, მაგრამ ძალა მოვიკრიბე, იდაყვებს დავეყრდენი და ამოვინიე. სუფთა ჰაერი ხრიალით ჩავიდა ფილტვებში. მუხლებზე დავდექი, ოთოს ხელი ჩავუწოდე, რომ ამოსვლაში დავხმარებოდი, მაგრამ იმან ვილაც ბიჭი ამომანოდა. ქვევით სალონში შავი

ბოლი იდგა, არაფერი ჩანდა. ამოვიყვანე ის ბიჭი. ახლა ვილაც გონდაკარგული გოგო ამომანოდა. ამოვიყვანე ის გოგოც. მუხლები მენვოდა, ველარ ვუძლებდი. ჩავანოდე ოთოს ხელი, მაგრამ ხელი არ მომიკიდა. დავუძახე, ხმა არ გამცა. ჩასვლა დავაპირე, ამ დროს კორპუსიდან ცეცხლის სვეტი ამოვარდა და მიწაზე გადმომისროლა...

2010-ში გადმოასვენეს ოთოს ცხედარი თბილისში. ამოცნობაზე მამამისი არ წამოვიდა, არც გასვენებაში ყოფლა. სამხედრო პატივით დაკრძალეს ოთო დიღმის ძმათა სასფლაოზე.

●

– აი, ეს ჩემი ოთოა, უკვე 45 წლისაა, მაგრამ ბიჭვით გამოიყურება. იცით, რა ვაჟკაცია? ენაცვალოს მამა! – თავისი სადარბაზოს წინ ჩამომჯდარი, ჭაღარა, სიმპათიური მოხუცი, 20-22 წლის მომლიმარი ბიჭის გაცრეცილ ფოტოს უჩვენებს გამვლელ-გამომვლელს.

## ოზლის კვერი

ზოლიან პიჟამაში ჩაცმული მამაკაცი აგურებს ურიკაზე დებს და ეზოს ერთი კუთხიდან მოპირდაპირე კუთხეში გადააქვს. იქ გადმოცლის და მწყობრად ალაგებს კედლის გასწვრივ. დაწყობილ აგურებს სხვა ზოლიანპიჟამიანი მამაკაცი მეორე ურიკაზე ალაგებს და პირველ კუთხეში მიარბენინებს. ორივე ოფლშია გაღვრილი, მთელი დღე დაარბენინებენ ურიკებს.

– ამას ფსიქიატრიული საავადმყოფოს ენაზე „დიდი მშენებლობა“ ჰქვია და ზედმეტად აქტიური პაციენტებისთვისაა ზედგამოჭრილი, – მიხსნის ჩემი გამცილებელი სანიტარი.

●

„ფოსტის გზაზე“ ჯავახელმა სომხებმა „გაზ-51“ რომ ჩამოაყენეს და მო-

სახლეობას ყველი შესთავაზეს, სოფლის მოედანზე რიგი დადგა.

– როგორი ყველია? – იკითხა ერთმა.

– ცხიმინია? – ყველის ნამცეცი თითებით გასრისა მეორემ.

– ბევრი გაქვს, ყველას გვეყოფა? – დაინტერესდა მესამე.

– ღოლი, რა ღოლი, ორფუთანი გარაჯივით ღოლი! – ყველის უნახავს გაგხდის, ისეთი, ორი ფუთი, კარაქივით ყველია! – დაამშვიდა რიგში მდგომები ყველის გამყიდველმა.

კაცს პატარა გოგო ახლდა. ყველის ნაჭრებს ართმევდა და სახელდახელოდ მოწყობილ დახლზე მდგარ გირებიან სასწორზე წონიდა. დაგლეჯილტანსაცმლიან განრიპულ გოგოს, დიდ, შავ თვალეზში სევდა ჩასდგომოდა. დიდი ხნის დაუვარცხნელ, მონითალო თმაში საჩვენებელ თითს მალ-მალე იყოფდა და თავს ისე იქეჩავდა, ჩანდა, ტილების ნაკლებობას არ უჩიოდა.

– ვისია ეს გოგო? – იკითხა ერთმა, სხვებისგან გამორჩეულად რომ ეცვა და, ეტყობოდა, გავლენიანი კაცი უნდა ყოფილიყო, რადგან სოფლელები მონინებით ექცეოდნენ და „მიხაილოვიჩით“ მიმართავდნენ.

– ჩემი ცოლის დისშვილია, ობოლია! – ჩიქორთული ქართულ-სომხურ-რუსულით უპასუხა ყველის გამყიდველმა.

– დამითმობ? ერთ თონე პურს მოგცემ! – ისე შესთავაზა „მიხაილოვიჩმა“, თითქოს რაიმე ნივთზე ევაჭრებოდა. ორ თონეზე, ანუ ოთხმოც პურზე მორიგდნენ. ყველის გამყიდველმა ცარიელ ყველის გუდაში ორი თონე პური ჩაალაგა, სატვირთოს ძარაზე შეხტა და ჯავახეთისკენ ისე გასწია, ცოლის დისშვილისკენ არც გამოუხედავს, „მიხაილოვიჩმა“ კი, ატირებულ გოგოს ხელი ჩასჭიდა და სახლში წაიყვანა.

...დატრიალდა ბედის ბორბალი, დაინყო ობლის კვერმა ცხოება...

ეზოს შუაგულში შუახნის ქალი ცარიელ ტაშტში ჩამჯდარა და, ნეტავ განახათ, რა გულიანად „ბანაობს“.

– დოქსოპულო, დოქსოპულო, დოქსოპულო, – ბოლთას სცემს ერთი.

– ჯამაა! – ღრიალებს მეორე. სანიტარი თავზე ხელებს იფარებს და ისე აგრძელებს სვლას. ეტყობა, უკნიდან მოულოდნელად თავში წამოტყაპუნების ემინია. მეც იმავეს ვიმეორებ.

– წამბაძველი, წამბაძველი, წამბაძველი – ალბათ, მე ვყავარ მხედველობაში, ბოლთისცემას აგრძელებს „დოქსოპულო“.

– მომანევიწე! – „ჯამა“ მომახლოვებია და დაჟინებით მიყურებს. სიგარეტის კოლოფს ვუწვდი. ორ ღერს იღებს, ერთს საფეთქელთან, ყურზე იმაგრებს, მეორეს პირში ირჭობს.

– ცეცხლი! – მიბრძანებს „ჯამა“ და სიბრაზისგან სახე გვერდით აქვს მოქცეული.

– თვალეზში არ შეხედო! – ჩამჩურჩულებს სანიტარი.

თვალეზს ვხრი, ჯიბიდან სანთებელას ვიღებ და ვუწვდი.

– ჯამაა! – დაიყვირა, შეტრიალდა, წავიდა და ჩემი სანთებელაც გაიყოლა. მაგას ვჩივი? შვებით ამოვისუნთქე.



გოგოს შოლაკატი ერქვა და 12 წლის იყო. დაბანეს, დავარცხნეს, სახელი კატოდ გადაუკეთეს, სანოლი სამზარეულოში დაუგეს და ხელსაქმეც გამოუნახეს.

დიდი სახლი ჰქონდა „მიხაილოვიჩს“, ორსართულიანი, მეორე სართულზე დიდი აივნით. დედ-მამასთან, ცოლსა და შვილთან ერთად ცხოვრობდა. ორი უფროსი ბიჭი, რომლებიც პირველი ცოლისგან ჰყავდა, 15 და 16 წლისანი იყვნენ, თბილისში დედასთან ცხოვრობდნენ და მხოლოდ არდადეგებზე ჩამოდიოდნენ მამასთან, სოფელში. უმცროსი ბიჭუნა – 2 წლის სიმონიკა, მოსავლელად კატოს ჩააბარეს.

დილით ადრე დგებოდა კატო. სანამ ბავშვი გაიღვიძებდა, სახლს მიალაგებდა, პატარას საჭმელს გაუკეთებდა, მერე მთელი დღე ათამაშებდა, ასეირნებდა. სალამოს, დაძინებულ ბავშვს დედამისის საწოლში გადააწვენდა, ჭურჭელს დარეცხავდა და გვიან ღამით იძინებდა. ბედს შეეგუა, მალე ქართულად ალაპარაკდა, კითხვაც ისწავლა. მართალია, ოჯახის წევრად მიღებული არ იყო, მაგრამ არავინ ერჩოდა, მხოლოდ „მიხაილოვიჩის“ ემინოდა, თვითონაც არ იცოდა, რატომ.

ამასობაში, ორმა წელმა განვლო. გაიზარდა კატო, დამშვენდა, ქალური ფორმები მიიღო. შუადღით მოჰკიდებდა ბიჭუნას ხელს, გადიოდნენ ბა-

თვითონ უკითხავდა კატოს. არითმეტიკაშიც ოცის ფარგლებში უკვე იცოდა მიმატება და გამოკლება.

კატო და სიმონიკა სულს ლევდნენ ერთმანეთზე, უერთმანეთოდ ცხოვრება ვერ წარმოედგინათ.



კორპუსის კედლები ნახატებითაა მოფენილი. რას არ ნახავთ აქ – ბავშვის ნახატებით დაწყებული, პროფესიონალი მხატვრის მიერ შესრულებული ნახატებით დამთავრებული. ერთ ნახატზე ნაძვია გამოსახული, ქვეშ მინერილი აქვს – „ეს მე ვარ, რადგან ნაძვი ხიდზე ვერ გადის“. მეორე ნახატზე საავადმყოფოს პალატაა, კაცი წევს სა-



ღის ბოლოში, ჩამოსხდებოდნენ კაკლის ჩრდილში, ბავშვს ზღაპრებს უკითხავდა, თან ოცნებობდა, როგორ მოვიდოდა მზეჭაბუკი, როგორ გამოსთხოვდა მის ხელს „მიხაილოვიჩს“, როგორ წაიყვანდა თავის ციხე-კოშკში, ეყოლებოდათ ბევრი შვილი, შვილიშვილი და იცხოვრებდნენ დიდხანს და ბედნიერად.

სიმონიკა ჭკვიანი ბიჭი გამოდგა – 5 წლისამ კითხვა ისწავლა და ზღაპრებს

წოლში. ფეხებიდან გამოსული ფესვები საწოლის რიკულებშია ჩახლართული. შემძრა ამ ნახატმა.

– ეს ქალების კორპუსია, მომყევით, – მესმის სანიტრის ხმა. ნახატების თვალიერებას თავს ვანებებ და მივყვები.

პალატაში შევდივართ. ერთი ავადმყოფი საწოლზე წევს და თვალები ჭერისთვის მიუშტერებია, ეტყობა, დამამშვიდებელი აბები ახალი მიღებული აქვს.

- ხალხი არა ხართ? მაჭამეთ, მშია!
- ჩივის ახალგაზრდა გოგო.
- „ვიიხოდლა ნა ბერეგ კატიუშა...“
- მღერის ზამბარებინ სანოლზე მოხტუნავე ქერათმიანი ქალი.

●

იმ ზაფხულს, ბიჭები მამასთან არდადეგებზე რომ ჩამოვიდნენ, კატომ, ძველებურად, მეგობრული ურთიერთობა დაიჭირა მათთან, ბიჭებმა კი, სარდაფში შეიტყუეს და მასზე ძალა იხმარეს. თან მოკვლით დაემუქრნენ, თუ სიტყვას დაძრავდა. ასე გაგრძელდა მანამ, სანამ „მიხაილოვიჩმა“ ეჭვი არ აიღო, ჩაუსაფრდა და თავზე არ წაადგა. ატყდა აყალმაყალი, ერთმანეთზე გადაბრალება, მაგრამ კატოს სიტყვას რას გავიდოდა შვილების ბრალდების წინააღმდეგ? შედეგად, „მიხაილოვიჩმა“ ავხორცი და ოჯახის შემარცხვენიელი კატო სახლიდან გამოაგდო, აბა, თავის შვილებს ხომ არ გაყრიდა?!

კატო თბილისში ჩამოვიდა, საქსოვ ფაბრიკაში დაიწყო მუშაობა და იქვე, ფაბრიკასთან ახლოს იქირავა ბინა. ოჯახიდან სამარცხვინოდ გამოგდებაზე უფრო სიმონიკასთან განშორება ანაღვლებდა. მუდამ მისი სახე ელანდებოდა, მისი ხმა ჩაესმოდა. დრო გადიოდა, მაგრამ მონატრება კი არ მინელდა, უფრო მძაფრდებოდა.

ერთ კვირა დღეს სოფლელი მეზობელი შეხვდა გზაში. ატამი ჰქონია ჩამოტანილი ბაზარში გასაყიდად. იმ გოგომ მოუყვა სოფლის ამბები: - „მიხაილოვიჩის“ უფროს ბიჭს ცოლი მოეყვანა და ცალკე ცხოვრობდა. სიმონიკა ჩამოეყვანა თბილისში, სკოლაში შეეყვანა და თავისთან აცხოვრებდა. ეს რომ გაიგო, იმავე დღეს, შესვენებაზე, სანახავად გაიქცა. ბედად, სკოლა ფაბრიკასთან ახლოს იყო. ბევრი ძებნა არ დასჭირვებია. ეზოში განმარტოებულად მდგარმა სიმონიკამ კატო რომ დაინახა, გახარებული გაექანა, შეახტა და კისერზე ჩა-

მოეკიდა.

- ჩემო სიმონიკა, ჩემო სიცოცხლე! - ჩურჩულებდა კატო. ორივე ტიროდა და ერთმანეთს ეხვეოდა. ამის შემდეგ ხშირად გადაირბენდა ხოლმე ფაბრიკიდან სკოლაში სიმონიკას სანახავად, ოღონდ, საიდუმლოდ ინახავდნენ ამ შეხვედრების ამბავს, თორემ აუცილებლად აუკრძალავდნენ.

კატო ვიღაც უბნელმა ოთარამ შეირთო ცოლად, ბავშვიც შეეძინათ, მაგრამ ქმარი ჯიბგირი გამოდგა და მალევე დაიჭირეს. გამოვიდა, მერე ძარცვაზე დაიჭირეს და რვა წელი „მთარტყეს“. კატოს, რასაც სამსახურში გამოიმუშავებდა, ქმართან ციხეში, თავანების ჩასაბარებლად მიჰქონდა. რომ გაუჭირდა, ერთდროულად ორ საქსოვ დაზღაზე დაიწყო მუშაობა, მერე სამზე, მერე ოთხზე. ორ ცვლაში მუშაობდა, დილის შვიდ საათზე რომ გადიოდა სახლიდან, ღამის თორმეტ საათზე ბრუნდებოდა. ბავშვის გაზრდაში მეზობლები ეხმარებოდნენ. ღამეში 4-5 საათი ეძინა. გადაიღალა, ფსიქიკა შეერყა. წვრილმანზე ნერვიულობდა, ტიროდა.

სიმონიკა მალალ კლასებში სხვა სკოლაში გადაიყვანეს. ერთი-ორჯერ შეურბინა კატოს ფაბრიკაში, მაგრამ მერე მიივიწყა.

მალე ქმარი ციროზით დაავადდა. ციხიდან გაათავისუფლეს და სიცოცხლის უკანასკნელი დღეები სახლში გაატარა. კატო ქმრის „პერედაჩებისგან“ გათავისუფლდა, სამაგიეროდ, არასრულწლოვანი შვილი ჯგუფურ ყაჩაღობაზე დაიჭირეს და ბავშვთა კოლონიაში გაამწესეს. ახლა, უკვე შვილთან მიჰქონდა „პერედაჩები“ და „თავანის ფულები“.

ბოლო დროს აირია, ყველას უფრთხოდა. ამბობდნენ, ვიღაც კაცი დასდევს და იმას გაურბისო.

●

პალატის კუთხეში, სანოლზე, თავზე

საბანშემოხვეული ქალი ზის.

– კატო, შენ სანახავად მოვიდნენ! – ეუბნება სანიტარი.

კატო საბნის ჭუჭრუტანიდან ცალი თვალით იყურება.

– როგორ ხარ, კატო? – ალერსით ვეკითხები.

– ჩემო სიმონიკა, მოხვედი? რალა როგორ ვარ, ყველა მე მჩაგრავს!

– ვინ გჩაგრავს, კატო?

ამ დროს სანოლზე მოხტუნავე ქერა ქალი იატაკზე ჩამოხტა, მოიბრინა, კატოს თავში უთავაზა, გაიქცა, თავის სანოლზე ახტა და ხტუნაობა გააგრძელა. ეტყობა, „კატიუშას“ სიმღერამ კატოს დაჩაგვრის სურვილი გაუღვიძა.

– გეყოფა, კლარა, ნუ ურტყამ კატოს! – ტუქსავს სანიტარი.

– ხედავ, როგორ მჩაგრავენ?!

– კიდევ ვინ გჩაგრავს, კატო?

– ერთი კაცია, დამდეგს და თავი მოიკალიო, მეუბნება.

– მოჩვენებები აქვს, – მიხსნის სანიტარი.

– ბავშვობიდან ვიჩაგრებოდი, უპატრონო ვიყავი და იმიტომ!

– ნუ გეშინია, კატო, ობლის კვერი ცხვა, ცხვა, გვიან გამოცხვაო, ხომ გაგიგია?!

– გამოცხვა, მაგრამ გული მაინც ცომი დარჩაო! – მიპასუხა კატომ.

## „პრასოტკა“

მოსკოვში მივლინებით ჩასულ დათოს „რეჟანსის“ სასადილოს ავეჯი უყიდია და ნორიოელ „რეისავიკ“ ელგუჯასთვის გამოუტანებია. ელოდა დათო ელგუჯას ზარს და, რომ აღარ დაადგა საშველი, შეგვკრიბა ძმაკაცები: – მე მძლოლად გამამწესა, მამუკა, ყოველი შემთხვევისთვის, დამრტყმელ ძალად, თვითონ მომრიგებელ-მოსამართლედ განმწესდა, რის ვაი-ვაგლახით დავქოქეთ ჩემი „მოსკვიჩი“, ჩავსხედით და გავუდექით ნორიოს გზას.

მიყვარს დათოსთან და მამუკასთან ერთად ყოფნა. ორივეს კარგი ენა აქვს, ამბებს ხომ, თუ ხასიათზე არიან, არაფრიდან ისეთს „მოთხრიან“, სიცილისგან მუცლის კუნთებს აგატკიებენ.

– მოსკოვში რომ ვიყავი, სასტუმრო „როსსიაში“ გავჩერდი, – დაიწყო მოყოლა დათომ. კარგია, ესე იგი „ლადაობის“ ხასიათზეა, ერთმანეთს გადავხედეთ მე და მამუკამ. – ჰოდა, სასტუმროს ჰოლში ვარ და ქართული გინება მესმის. ვილაც კაი ტიპია, ახალგაზრდა, „ჩუჩმეკებს“ რალაცას უხსნის, მაგრამ ვერ აგებინებს. ვხედავ, რუსულში უჭირს. მივედი და დახმარება შევთავაზე. მოკლედ, იმ „ჩუჩმეკებს“ გავაგებინეთ, რაც გვინდოდა და გავისტუმრეთ.

– გია! – გასაცნობად ხელი გამომიწოდა.

– დათო! – ხელი ჩამოვართვი.

– თბილისელი ხარ?

– კი!

– მეც თბილისელი ვარ. რომელი უბნელი ხარ?

– ნახლოვკელი, შენ?

– მე ჩულურეთელი ვარ! – ამაყად მიპასუხა.

– ჩულურეთელ „ჭუტალას“ იცნობ?

– ძმაკაცია, ტო, შენი ვინ არის?

– ერთად ვართ გაზრდილები!

– დათო, ძმაო, ახლა გავრბივარ, სალამოს შევხვდეთ სასტუმროს რესტორანში! – მხარზე ხელი მომარტყა და გაიქცა.

სალამოს რესტორანში რომ შევედი, დარბაზის სიღრმეში იჯდა რუს გოგოსთან ერთად. დამინახა და ხელი დამიქნია, მოდიო.

„გალისეს, გალისეს, დუ ინძ მოტ...“ – მღერის ანსამბლი.

– ჩემი შეკვეთაა, ხომ მოგწონს? – მეკითხება გია. გამიკვირდა, ეს სიმღერა რამ მოაწონა-მეთქი, მაგრამ არაფერი მითქვამს. სიმღერა რომ მორჩა, გია წამოდგა, სცენასთან მივიდა და ახალი შეკვეთა მისცა.

„ოვ, სირუნ, სირუნ, ინჩუ მოტე-ცარ...“ – დაიწყო ანსამბლმა შეკვეთის შესრულება.

– გია, ძმაო, სომეხი ხარ, თუ სომხური სიმღერები გევასება? – ვკითხე გაკვირვებულმა.

– ბიჭო, წელან ეს გოგო ნომერში მყავდა და არაფერი გამომივიდა. ქართველებზე ცუდს ხომ არ ვათქმევინებ?! – პატრიოტული იერით მიპასუხა გიამ.

– მაგაზე გამახსენდა, – დაიწყო მამუკამ ამბის მოყოლა. – იტალიურ ეზოში მეზობლები მყავს – ქართველი შოთა და სომეხი აშოტა. ერთად გაზრდილი ძმაკაცები არიან, შეხუმრებულები. შოთა ინჟინერია, აშოტა – პარიკმახერი. კვირაში ერთხელ შოთა შეუვლის აშოტას საპარიკმახეროში. აშოტა ჩასვამს სავარძელში, თან თმებს უსწორებს, თან ერთმანეთს ეშაყირებიან.

რატომღაც შოთა აღარ გამოჩნდა. რამდენიმე კვირის მერე მივიდა საპარიკმახეროში.

– ვა, შოთაჯან, სად დაიკარგე? – გაუხარდა აშოტას ძმაკაცის ნახვა.

– ბიჭო, აშოტ, ყველაფერზე ბოდიში უნდა მოგიხადო, რასაც გაშაყირებდი! იცი, ერევანში ვიყავი. იქ პატივი მცეს, გადამყვინენ!

– აი, ხომ გეუბნებოდი, სომეხები კარგები ვართ, ეგეთები არ გვეშლება!

– მერე, ეჩმიაძინში წამიყვანეს, ვაზგენ პირველი გამაცნეს. ქართულად დამელაპარაკა, ტო!

– ჰო, მაგან ბევრი ენები იცის. ილია ვტაროიზე მაგარია, ხო იცი!

– ვაზგენი დაჯდა და ჩემი თავი კალთაში ჩაიდო: „იხარე შვილო, იმრავლეო!“ – დამლოცა, თან თავზე ხელს მისვამდა, მერე უცბად მეკითხება: „მოიცა, კისერი ვინ გაგპარსაო?“ „ერთი ძმაკაცი მყავს, აშოტა-მეთქი!“ „მერე, იმ შობელძალმა, კარგად ვერ გაგპარსაო?!“ – მითხრა ვაზგენმა.

– კარგი რა, შოთაჯან, ისევ მაშაყირებ? მეთქი, თვალები აგეხილა!

– მერე მოსკოვიდან რომ ჩამოვედი, ცოლოურში წავედი, სამეგრელოში, – გააგრძელა მოყოლა დათომ, – იქ, ერთი ამბის გარჩევას დავესწარი, გადავირიე: – მეზობელი, ტუტუ ბიძია გარდაცვლილა. დაკრძალვის მერე ცოლს დასიზრებია, ტუტუ ბიძიას უქვამს, – საზაფხულო ფეხსაცმელებში რომ გამომპრანჭეთ, მცივა, ჩემი „ბათინკები“ გამომიგზავნეო! – გადარეულა ცოლი, შეუძრავს ქვეყანა, დაუვლია ხელი „ბათინკებისთვის“, ოთხი სოფლის იქით, ლუბა დეიდას გასვენებაში მისულა და მკვდრისთვის დაუტირებია,

– ჩემო ლუბა, ეს „ბათინკები“ ჩემს ტუტუს გადაეციო! – და დაწყნარებული დაბრუნებულა სახლში.

რამდენიმე დღის მერე სიძეს თავისი „ბათინკები“ მოუკითხავს.

– ტუტუსი იყო და ლუბას გავატანეო! – უთქვამს სიდედრს.

– ჩემი „ბათინკები“ მკვდარს როგორ ჩააყოლებო?! – გადარეულა სიძე. სახლიდან გაქცეულა. – სანამ ჩემს „ბათინკებს“ არ დამიბრუნებთ, სახლში მომსვლელი არ ვარო! – ინგრევა ოჯახი, აღარ იციან, რა ქნან. ადგნენ და ლუბა დეიდას ოჯახში მივიდნენ,

– ასე და ასეა საქმე, ოჯახი ინგრევა, ლუბა ამოვთხაროთ, რომ „ბათინკები“ ამოვიღოთო!

– ლუბას შეურაცხყოფას რატომ აყენებთ? – გადარეულან ლუბას ძირისუფლები – ლუბა ის ქალია, ტუტუსთან „ბათინკები“ გაატანეთ და არ მიუტანდა? ტუტუ ამოთხარეთ, „ბათინკები“ იმას ექნებაო!

ახლა ტუტუს ძირისუფლები გადარეულან: – როგორ, ტუტუ ის კაცია, სხვის „ბათინკებს“ დაიტოვებდა? უკან გაატანდა! ლუბა უნდა ამოვთხაროთო! – სანამ გაარკვევდნენ, რომელი უნდა ამოვთხარათ, სიძეს ცოლად სხვა მოუყვანია. – დაასრულა თხრობა დათომ. ამასობაში, კითხვა-კითხვით, კიდევ მივადექით „რეისავიკ“ ელგუჯას სახლს.

ელგუჯა ახალი ჩამოსული იყო, ჯერ ისევ ჩამოუცლელი „ფურა“ ეზოში ედგა. გაგვიხარდა, რომ არ დაგვჭირვებია მამუკას ძალა და დათოს მომრიგებელ-მოსამართლეობა. უცბად, ეზოში პურმარილი გაშალეს, ჩვენც მიგვინვიეს. ბიჭებმა ცოტა დალიეს.

– ჰოდა, „პერევალზე“ რომ გადმოვდიოდი, – დაიწყო თავგადასავლის მოყოლა ელგუჯამ. – დავინახე, ტრასაზე, „კრასოტკას“ ვიღაც კაცი ახლავს. კარგი, მოსული რამეა, ძუძუები აქვს, გადაგრეხს. რომ შევხედე, ეგრევე ვთქვი, – ეს ჩემი უნდა გახდეს-მეთქი! „ნაგლად“ მივაჭერი იმ კაცთან და ვკითხე,

– რომ დამითმო, რამდენი უნდა

მოგცე-მეთქი?

– ორასი მანეთიო! – მოკლედ, 150 მანეთზე დავითანხმე და წამოვიყვანე. აქეთ, საქართველოში რომ გადმოვდიოდი, გადაირია სიხარულით, ცმუკვა დაიწყო. მოკლედ, ჩამოვიყვანე და სახლში მოვიყვანე.

– მერე, შენმა ცოლმა იცის?


– ვითომ, რატომ არ უნდა იცოდეს? – გაიკვირვა ელგუჯამ.

– გაგვაცანი რა?! – ვთხოვეთ ადგზნებულეზმა.

– იქ არის და გაციანით! – ლობისკენ გაიშვირა ხელი ელგუჯამ.

სამივემ იქით გავიხედეთ.

– მუუუ, – დაიზმუვლა ლობზე მიბმულმა „კრასოტკამ“.





## გურო დავითიძე



### დედა

ფანჯარასთან ნელი ნაბიჯით მივედი. დაორთქლილი მინა ხელისგულით გავნმინდე და დაბლა გადავიხედე. ლამაზად ბარდნიდა. რამდენიმე ბავშვი ერთმანეთს გუნდების სროლით დასდევდა. საოცარი სანახაობა იყო. უცბად მომინდა, მეორეკლასელი ვყოფილიყავი. აი, იმხელა, სკოლაში სიხარულით რომ გავრბოდი ახალი ტანსაცმლის ყიდვის შემდეგ.

დედის ხველება გავიგონე თუ არა, მის სანოლთან მივირბინე.

– ნყალი მინდა, – ძლივს მითხრა დედამ...

სამზარეულოში გავედი, უფრო სწორად გავიქეცი. აქეთ-იქით გაურეცხავი ჭურჭელი ეყარა. ძლივს ვიპოვე სუფთა ჭიქა, ნყლით ავავსე და დედაჩემს მივუტანე. სულ ერთი ყლუპი მოსვა. ჭიქა იქვე, მაგიდაზე დავდგი და სანოლთან ჩამოვჯექი. ალბათ, გარეთ ისევ ლამაზად თოვდა. ოთახის კედლები სხვადასხვა წამლის სუნით იყო გაჟღენთილი.

„ღმერთო სად ხარ?! სად ხარ ღმერთო?!“ – ვიმეორებ გულში და დედას ვუყურებ. ხენემის, ვერ ისვენებს, ოფლი ასხამს. შუბლს ჩემი მაისურით ვუმშრალე.

– გარეთ თოვს, შვილო! – ძლივს ამოთქვა დედაჩემმა.

– ხო დედი, აქ ვარ, ხო დედი!.. – სანოლთან მუხლებზე ვდგები და ხელებს დედას ვკიდებ.

– მეშინია, დე, ძალიან მეშინია, – მეუბნება და ვხედავ, როგორ სდის ცრემლები.

ალბათ, ისევ ბარდნის და ბავშვები თამაშობენ. ხმას ვერ ვიღებ.

– ნუ გეშინია, დე, – ვეუბნები და მისი გაყინული ხელის გათბობას ვცდილობ. არ გამომდის... დედა მიკვდება... კვლავ ფანჯარასთან მივდივარ და დაბლა ვიხედები... აღარავინ აღარაა. აცივდა, ალბათ, გარეთ. მხოლოდ ბავშვების ნაფეხურებილა ეტყობა ეზოს. დედა ისევ ხენემის. ვერ ისვენებს. ღამდება... ვიგრძენი, რომ მომშივდა. ორი დღეა, არაფერი მიჭამია. არც მიძინია.

მაცივარს ვაღებ. სიცარიელე... ძველი პური დევს თაროზე. არ მინდა! დედას გამომცხვარი ნამცხვარი მომენატრა.

უკვე შუალამეა... ღილივით, ისევ ფანჯარას ვარ მიკერებული. ღამპიონები ისე ბჟუტავენ, როგორც დედაჩემის სიცოცხლე. წამლის სუნი მძაფრდება. საცვლების გამოცვლის დროა.

დედას საბანი გადავხადე და ავტირდი. „როგორ გამხდარხარ, დე, როგორ გამხდარხარ!“ – ვიმეორებ გულში და მის საბანს ისე ედება ჩემი ცრემლი, როგორც ნამი ბალახს.

– შვილო! – მეძახის.

– ხო, დე, აქ ვარ, – ვპასუხობ და ხელით სახეზე ვეფერები. მა...მა... მამა მოვიდა?! – მკითხა გაჭირვებით და სუნთქვა აუჩქარდა.

ბოდავს დედაჩემი. „ღმერთო, ნუ გამწირავ ბოლომდე. სად ხარ, ღმერთო, სააად?!“ – მამა გულმა მოკლა. ჩვიდმეტი წლის ვიყავი მაშინ.

გარეთ ძალიან ლამაზად თოვდა და ამ სილამაზეში ებრძოდა დედა სიკვდილს. უფრო სწორად, სიკვდილი ებრძოდა დედაჩემს.

– მამა აღარ გყავს, შვილო! – გაისმა მაშინ დედაჩემის განწირული ხმა ჩვენს ოჯახზე ორჯერ ვიწრო სახლში. – მამა აღარ გყავს, შვილო, აღარ გყავს მამა! – ამას დიდი ხნის განმავლობაში იმეორებდა და თან მამაჩემის ჯერ კიდევ თბილ ხელს ებლაუჭებოდა. სახე მთლიანად წამეშალა, ფეხები ამიკანკალდა, ხელებს ველარ ვამოძრავებდი. ერთ ადგილას ვიდექი და ვტიროდი. ხმამალა ვტიროდი. იქამდე ვერ შევძელი განძრევა, სანამ დედა ცუდად არ გახდა...

– წყალი, წყალი მოიტანე, სწრაფად! – დაიყვირა ჩემმა კარის მეზობელმა და სამზარეულოსკენ მიმითითა. მეც ნახევრამდე ავავსე ჭიქა და დედაჩემთან მივვარდი. ამ მომენტის შემხედვარეს, არ მეგონა, თუ როდესმე რალაცის იმედით შევხედავდი ადამიანს, რომელიც დედაჩემს სახეში ხელს ულანუნებდა.

მამა წვიმიან დღეს დავასაფლავეთ.

ცხოვრება მაშინაა ძნელი, როდესაც არაფრის იმედი აღარ გაქვს. ძნელი არა, უფრო სწორად, მომაკვდინებელი. ღმერთიც საკმარისად შევანუხე... იმ ძალიან ბევრ ოცნებათა შორის, რომელიც ცხოვრებამ ცხედარით ჩამარხა ჩემს გულში, ერთიღა შემომრჩა მხ-

ოლოდ – სახელად დედაჩემი.

– შვილო! – დამიძახა და მეც განადგურებული მივედი სანოლთან. დღითიდღე უფრო ხდებოდა, თვალეზი ჩაუცვივდა. ველარ ვცნობდი გამზრდელს. რამდენიმე დღეა ლუკმა არ ჩაუდია პირში. იბრძვის.

„ღმერთო! დედა გადამირჩინე! – ვფიქრობ გულში და დედის გამხდარ ხელს ვკოცნი. სახლში კი ჭირისუფალივით თავდახრილი სიჩუმე დგას.

ბავშვობაში, როდესაც საჭმლის ფული არ გვქონდა და მშვიერ დღეებს გამხმარი პურივით ვტეხავდით, ყოველთვის მჯეროდა, რომ ადამიანი ძალიან დიდი მონდომებისა და შრომის შემდეგ მიაღწევდა ბედნიერების ზენიტს, საიდანაც უფრო კარგად დაინახავდა ცხოვრების მიხვეულ-მოხვეულ გზებს. ვცდებოდი... ძალიან ვცდებოდი... ხანდახან ადამიანი მხოლოდ უბედურებისთვის ევლინება ქვეყნიერებას და მის მოშავო დღეებში არასდროს იბადება სინათლე, ჩვილი ბავშვივით. განვიღო გზას ვიხსენებ და არგუმენტად ჩემი ცხოვრება მომყავს. ვიხსენებ ჩემი მშობლების ცხოვრებას და მეტირება. ჩვენი ბედნიერება ისე ჩაესვენა, როგორც მონარინჯისფრო მზე ესვენება ლურჯ, მღელვარე ზღვაში.

31 დეკემბერია, 12 საათი. „გამარჯობა, ახლო წელო!“ – ვამბობ გულში და დედას ვუყურებ, რომელსაც თვალები გახელილი აქვს და ჭერს მიშტერებია. ნეტა რაზე ფიქრობს, ჰა?! ნეტა რას განიცდის?! „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა...“ – ლოცვას ვინწყებ და სამზარეულოში გავდივარ. დაბლა ვვდები, ზურგით კედელს ვეყრდობი და ვტირი, ვლრიალებ... ხმამალა ვლრიალებ...

– უფალო, მომეცი ძალა, რომ გავუძლო ამ ყველაფერს... უფალო, მომეცი ძალა... მომეცი ძალა, უფალოოო! – მილიონჯერ ვიმეორებ და კედელს ძლიერად ვურტყამ მუშტებს...

ფანჯრიდან გადავიხედე. რალაცნა-

ირი სურნელი ტრიალებდა ირგვლივ. სოფელი გამახსენა. ბავშვობის წლები. ალბათ, როგორი ცუდი ბავშვობაც არ უნდა ჰქონდეს ადამიანს, მაინც ენატრება ის დრო, როდესაც დაულალავად დარბოდა ეზოში ტკივილებისა და სევდის გარეშე. ჩემი თუთის ხე და მასზე უმონყალოდ ჩამოკიდებული საქანელა, რომელსაც ნელი სიოც კი აქეთ-იქით არხევდა; მწვანე ბალახი, ზედ პატარა პლედს რომ გავშლიდი და მთელი ღამე ვარსკვლავებს ვუყურებდი. მიხაროდა დედაჩემისა და მამაჩემის ტკბილი ბაასი, ჩახუტება, სიტბო.

დილით დაფეთებულმა გავიღვიძე. სამზრეულოში ჩამძინებია. დედას საწოლთან მივვარდი.

– წყალი მინდა, შვილო, წყალი! – ამბობდა ჩუმად და წრიალებდა. ადგომას ლამობდა. მისმა ტუჩებმა სისველე იგრძნო თუ არა, დაწყნარდა. დამშვიდდა. მისი თვალები იმ ჩამოვარდნილ ვარსკვლავს ჰგავდა, სურვილის ჩაფიქრება ვერავინ რომ ვერ მოასწრო. ვერავინ მოასწრო ბედნიერება ჩაეფიქრებინა. დიდი დრო აღარ ეწერა. ამას ვგრძნობდი და სული მტკიოდა.

– დედი, დედააააა, დეეეეე!.. – მთელი ხმით ვყვიროდი და დედაჩემს მთელი ძალით ისე ვარხევდი, როგორც ცივი სიო არხევდა ჩემი სოფლის სახლში თუთის ხეზე „ჩამომხრჩვალ“ საქანელას. ხელებს ვურტყამდი. წყალს სახეზე ვასხამდი და თვალებს აკანკალებული ხელით ვუხეღი... – დედაააა, გამაგონე ხმა, დეე.. დე, არ დამტოვო რა... დედა!.. – მთელი ხმით ვყვიროდი. – დეეეე!

გაცივდა დედაჩემი. გაცივდა ჩემი დედიკო, ჩემი ლამაზი დედიკო. ახალი წელია. ფანტელები ფანჯრებს ისე ასკდებოდნენ, თითქოსდა შემოლწევა უნდათო.

– დედა, არ წახვიდე. ჩემთან დარჩი დე!..

## ნატო მასწავლებელი

„ძილში კი სიზმრებად მოდიან  
ბავშვები,  
მოდიან ბავშვები და ნიშნებს  
მინერენ“  
ირაკლი კაკაბაძე

აბა, მე რა არ მაქვს ნანახი – მაშინ დავიბადე, საბჭოეთში და იქიდან მოყოლებული, როგორღაც აქამდეც მოვალწიე. მამაჩემი გზის გადაღმა, საპარიკმახეროში მუშაობდა, დედაჩემი – საჯარო სკოლაში, მასწავლებლად. მაშინ სხვა დრო იყო, რალაცნაირი, თითქოს არაფერი ხდებოდა გარშემო კარგი და გასახარი, მაგრამ საღამოობით, როცა ყველანი ნარგიზას „ბუტკასთან“ შევიკრიბებოდით და მის მოხალულ მზესუმზირას სინქრონულად ვაკნატუნებდით, ყველაფერი გვაგინებოდა. ყველა მომენტით ვტკბებოდით და ვიცინოდით ერთმანეთზე, გამვლელეებზე და იმაზეც კი, რაც, ალბათ არავისთვის იყო სასაცილო, ჩვენ კი უბრალოდ ვბჭირდებოდით. მაშინ მართლაც სხვა დრო იყო და ამ სხვა დრომ სადღაც წაიღო ჩვენი სიცილი.

ჩვენი უბნის შუაში დიდი ბაღი, პატარა ასფალტის სტადიონი და სტადიონის გვერდით დაჟანგებულ-გაუბედურებული ნარგიზას „ბუტკა“ იდგა. ამ უბანს გარშემო ოთხი რვასართულიანი კორპუსი ჰქონდა რკალად შემოვლებული. უფროსები ამბობდნენ, ეს ისეთი უბანია, ამნაირი არსად არაა და იმიტომაცაა, ყველას ერთმანეთი ასე რომ გვიყვარსო, – ინონებდნენ ხოლმე თავს. ძნელი იყო შეკამათებოდი, იმდენად ცოცხალი იყო ყველაფერი.

ახლა კი, როცა იმ დროს ვიხსენებ, ვხვდები, ის კარგი დრო კი არ გავიდა, წაგვართვეს, გამოგვგლიჯეს და აღარ დაგვიბრუნეს, ჩვენ კი, ბავშვების მსგავსად, ვერ გავიქეციტ დედიკოებ-

თან დახმარების სათხოვნელად, ვერ შევძელით. პირველად უბანში ხმა რომ გავარდა, პაატა და თენგო ომში დაიღუპნენო, ყველა ფანჯარა ერთდროულად გაიღო. ზოგი ცრემლნარევი თვალებით იყურებოდა დაბლა, ზოგი ტიროდა, ზოგი გაშეშებული იდგა, ზოგის ფანჯრიდან ღრიალი გამოდიოდა და იმ დღეს არა მხოლოდ ბიჭები, უბანიც მოკვდა და დრო, რომელსაც კარგს ვეძახდით, მალევე ამოტრიალდა.

პაატა და თენგო დედაჩემის სადამრიგებლო კლასში სწავლობდნენ. ორივე ერთმანეთზე უარესი იყო სწავლით, დაბალი კლასებიდან მოყოლები, ორივე ერთმანეთზე ცელქი იყო და ორივე ერთმანეთზე უკეთესი სხვების სიყვარულითა და ზრუნვით. ჩვენი უბნიდან ორივე ერთ დღეს რომ გავასვენეთ, იმ საღამოს დედაჩემი ოთახში თავის სავარძელში იჯდა და ტიროდა. ეს არ იყო უბრალო ტირილი და არც არასდროს მენახა დედაჩემი ასეთი მოტირალი. იმ დღეს პირველად ვნახე პაატა და თენგო დადუმებული, გაშეშებული, გაყინული და უმოქმედო. მერე კი, როცა დავბრუნდი, ნელ-ნელა გავაცნობიერე, რომ ჩვენს უბანში ველარასდროს დაუკრავდა გიტარაზე პაატა და ველარ აპყვებოდა თენგო; ველარ ვიხალისებდით მაღაზიიდან გამოსულ თამრიკო დეიდაზე, რომელსაც მუდმივად სხვადასხვა ფეხსაცმელი ეცვა და ვერც ველარასდროს წამოგვკოტრიალდებოდა ერთად გაგრის სანაპიროზე.

აბა, მე რა არ მაქვს ნანახი – საბჭოეთში დავიბადე, თბილისის ყველაზე მაგარ უბანში და იქიდან მოყოლებული, კი ვარ აქ. გავუძელი, შევეჩვიე, ავიტანე... აქ თითქმის ყველა ნაჩუქარ სახლში ცხოვრობდა. მაშინ კარგი იყო – სამსახურიდან გჩუქნიდნენ ბინებს... მერე წლები გავიდა და ნელ-ნელა ყველამ დაიწყო ნაჩუქარი ბინების გაყიდვა. გაჭირვება იყო, უშუქობა, უპურობა, ყველაფერი ცუდი ხდებოდა ჩვენს

უბანში და არა მხოლოდ ჩვენს უბანში, მთლიანად ქვეყანაში. ეს ბინაც მამაჩემს აჩუქეს და, რაც თავი მახსოვს, იქიდან მოყოლებული, ამ ბინაში ვცხოვრობ. ხო არის ხოლმე, ახლობელი ადამიანის დაღუპვის შემდეგ რომ ყიდიან ბინებს, რომ უნდათ გაეცალონ იქაურობას, მე კიდევ ვერ შევძელი და დედ-მამის წასვლის შემდეგაც ვერაფრით შევევლიე მოგონებებს, ტკივილს, სიცილს. ხანდახან, როცა ფანჯრიდან ვიყურები, თავისით მეტირება, ამიცრემლიანდება ხოლმე თვალები. ნარგიზაც წავიდა, მისი „ბუტკის“ ადგილას კი სიცარიელეა და აღარც არავინ სთხოვს ერთმანეთს მზესუმზირას.

უკვე მეოცე წელია, საჯარო სკოლის მასწავლებელი ვარ. ქართულ ენასა და ლიტერატურას ვასწავლი. დედაჩემის გზას გავდივარ, დედაჩემს ვგავარ, განსაკუთრებით ახლა, როცა პატარა გოგონა აღარ ვარ – ნაკვთებით, ღიმილით, სიცილით... მოსწავლეები კი აღარ ჰგვანან ჩვენი დროის მოსწავლეებს. სხვანაირები არიან, განსხვავებულები. უფრო თავისუფლები, ბედნიერები. უბრალოდ, ეს მათ ჯერ არ იციან, შეიძლება ვერც ვერასდროს გაიგონ. როგორ ძალიან მინდა, რომ ვერასდროს გაიგონ, რატომ არიან ბედნიერები. ჩვენც მათნაირები ვიყავით, ვგავდით, მათსავით გვყავდა ერთმანეთი, მაგრამ არ გვაცალეს, ჩვენი და ბედნიერების შუაში ჩადგნენ და შუბლზე იარაღი მოგვიშვირეს. – და არა მარტო მოგვიშვირეს, გვესროლეს კიდევც.

ერთ დღეს გაკვეთილზე ჩემმა ერთ-ერთმა მოსწავლემ პრეზენტაცია გააკეთა აფხაზეთის ომზე. მოიძია სურათები, ისტორიები... გამიკვირდა. არ ველოდი მეშვიდე კლასელისგან. პრეზენტაციის ბოლოს აფხაზეთის ომის კადრები ჩართო და მთელი კლასი დადუმდა. სათითაოდ ვაკვირდებოდი ყველას, მათ სახეებს, თვალებს და ვგრძნობდი

დიდ ტკივილს. ვიდეოში პატარა ბიჭები ლაპარაკობდნენ, ოჯახებს მოკითხვას უთვლიდნენ და ილიმოდნენ. დასრულებამდე ბავშვებს ერთი ნამითაც არ მოუცილებიათ თვალი.

ნიკუშას ბიძა ჰყავდა აფხაზეთში დაღუპული. გაკვეთილის ბოლოს დავტოვე და ლაპარაკისას ატირდა. – რატომ ვერ გვიტანენ ეს რუსები, რა დავუშავეთო, – მკითხა. ძნელი იყო ამ ყველაფრის ახსნა, ძნელი იყო მისთვის ყველაფრის მოყოლა. გაიზრდები და შენ თვითონ გაიგებ-მეთქი – ვუთხარი.

იმ საღამოს ველარ დავიძინე მთელი ღამე ვწრიალებდი სანოლში. რამდენჯერმე ავდექი, ხან ფანჯარასთან მივედი, ხან სანოლზე წამოვჯექი, ვერ ვისვენებდი. ყველა მოგონება ერთმანეთში აირია – თენგო და პაატა, ნუკრი და ელენე, სანდრო და თიკა... ყველა ჩემი ახლობლისა თუ მეგობრის სახე თვალწინ მედგა. ვერაფრით ვახერხებდი თავის დაღწევას. რალაცნაირი განცდა იყო. თან მინდოდა მათთან ერთად ყოფნა, თან გავურბოდი, მეშინოდა. გამთენიამდე ასე ვიყავი, ვერაფრით მოვხუჭე თვალი. ვერაფრით შევძელი ჩაძინება.

ხანდახან მინდა, რომ დავიხუჭო, ათამდე დავითვალო და მერე გაფაციცებით დავუნყო ძებნა თენგოს, პაატას, ნუნუკას და ყველას, ვინც ჩვენს უბანში იყო. ერთხელ პაატამ მითხრა, დიდი რომ გავხდები, ჩემი გიტარით მთელი მსოფლიო უნდა შემოვიარო. ნუნუ მასწავლებელი, რომელიც სკოლაში მუსიკას გვასწავლიდა, ყოველთვის მუსიკის გაკვეთილის მერე ტოვებდა პაატას და მის დაკრულს უსმენდა.

ყველას სხვადასხვა ოცნება გვქონდა – ზოგს რა უნდოდა, ზოგს რა. ხშირად ვისხედით ხოლმე ჩვენ მიერ აშენებულ შტაბში და ვლაპარაკობდით. პაატა ყოველთვის უკრავდა, თენგო მღეროდა, ჩვენ ტაშს ვუკრავდით და ასე გაგვყავდა დღეები. პატარები რომ ვიყავით,

სკოლის მოსწავლეებს ომობანას თამაში გვიყვარდა. მთელ უბანში დავრბოდით და ვყიროდით: ბა,ბა,ბა, ბა... მაშინ არ იცოდა არც პაატამ და არც თენგომ, რომ ომობანა მოკლავდა ორივეს, ოღონდ იმ ომში ჭინჭყლობა არ იყო, რომ მოკვდებოდი, ვერ შეძლებდი თავიდან დაწყებას. იქ სხვა ომი იყო, დიდების ომი.

სკოლაში სხვანაირი ვხდები. თავიდან ძალიან გამიჭირდა. მაშინ რთული პერიოდი იყო, ახლა კი მივეჩვიე. უბრალოდ დრო ძალიან შეიცვალა. ჩვენ ყველაფერი გვექონდა, თავისუფლების გარდა, ახლა კი მათ თავისუფლება აქვთ და ის არა, რაც ჩვენ. არ ვამტყუნებ, ასეთი დროა, წინ ვერ აღუდგები, ლამფისა და სანთლის შუქზე გაზრდილი ადამიანი ბავშვებს იმას ვერ აუხსნი, რაც მათ არასდროს უნახავთ. ერთხელ ბავშვებს ვკითხე: რაზე ოცნებობთ-მეთქი. არავის უთქვამს – როლიკები, ველოსიპედი, ბურთი, კედები, საფეხბურთო მაისური, ბარბის სათამაშო... ისინი სხვაგან არიან უკვე, სხვაგან ცხოვრობენ.

რამდენჯერ დამსიზმრებია ჩემი თავი, ჩემივე კლასში. ჩემ გვერდით ხან თიკა იჯდა, ხან მაიკო, ხან კი პაატა. სიზმარში ყველა ბედნიერია, ყველა ცოცხალი, ყველა იმედიანი. მერე მეღვიძება და ჩუმად ვტირი. ვიცი, ვერავინ გაიგებს, მე ხომ მარტო ვცხოვრობ, მაგრამ მაინც ჩუმად ვტირი. ბავშვობიდან მიეჩვიე, არ მინდოდა, რომ დედას გაეგო ხოლმე ჩემი ტირილი.

ერთი კლასელი მყავდა, ნიკუშა. ორი წლის წინ შემხვდა ქუჩაში, ძლივს ვიცანი. ნიკუშა ყველას უყვარდა კლასში. არა მარტო კლასში, მთელ სკოლაში. თვითონ მიცნო. სკოლიდან რომ გამოვედი, უკნიდან დამიძახა – ნატუკაო. ახლოს რომ მოვიდა, მერე მითხრა – ნიკუშა ვარ, ვერ მიცანიო?! – და ავტირდი. არ ვიცი, სად იყო ამდენი ხანი, ალბათ, თხუთმეტი წელი მაინც არ

მყავდა ნანახი. ბევრი არ გვილაპარაკია, თვითონვე მოერიდა თავისი თავისა და მალე გამეცალა. ნიკუშა ყველას უყვარდა მთელ სკოლაში, აბსოლუტურად ყველას.

ხანდახან მეც მიწერენ ბავშვები სიზმარში ნიშნებს. არეული სიზმრები დიდი ხანია დამჩემდა. ალბათ, მარტოობამ იცის, მე კი სულ მარტო ვარ. პატარა რომ ვიყავი, არდადეგებს ველოდებოდი, მიხაროდა, დედ-მამასთან ერთად რაჭაში მივდიოდი ხოლმე. იქ ბევრი ბავშვი იყვო, დღე და ღამე გარეთ დაგრობოდი. ახლა აღარ მიყვარს არდადეგები. მერე სულ მარტო ვრჩები. რაჭაში დიდი ხანია, გაყიდა სახ-


ლი მამაჩემმა. მაშინ, 90-იანებში. ახლა კი მთელი ზაფხული თბილისში ვარ ხოლმე. ხანდახან, ძალიან რომ მოვიწყენ, უბანში ჩავდივარ და იმ ადგილას ვჯდები, სადაც ადრე ვგროვებოდი ხოლმე ბავშვები. იქ ახლა პატარა სკვერია, ბავშვები ახლაც არიან, თამაშობენ და იცინიან, როგორც მაშინ ჩვენ – ომამდე.

ის ომი რომ არა, შეიძლება, ყველა აქ ყოფილიყო. ახლა აღარავინაა, მხოლოდ მე და შეშლილი თამრიკო, რომელიც ძლივს ჩამოვა ხოლმე ეზოში და იქვე, სადარბაზოსთან მდგარ სკამზე ჩამოჯდება. ახლაც სხვადასხვა ფეხსაცმელი აცვია, არ შეცვლილა. უბრა-

ლოდ, მე აღარ მეცინება.

ცოტა ხნის წინ გავიგე, თურმე კადრების შემცირება დაიწყო. ახალგაზრდებს ეძებენ, უკეთესიო თურმე. შიში დამჩემდა – რომ გამიშვან, მერე რა ვქნა? – ვფიქრობ, ყოველდღე არადა, მთელი გულით ველოდები სექტემბერს, რომ სკოლაში მივიდე. რალაცნაირი დამთხვევაა, რომელ კლასშიც მე ვიყავი, იმ კლასში ვატარებ გაკვეთილებს. ჩემს ადგილას ოთიკო ზის, საყვარელი ბიჭია, კარგად სწავლობს. მე რომ გამიშვან, შეიძლება, ვერ გადავიტანო, მერე რა ვქნა? სად ნავიდე?

სიზმრებს ახლა



უფრო ხშირად ვხედავ. ხან მოსწავლე ვარ, ხანაც მასწავლებელი. ორივე მიხარია. ბავშვობაში ვერ წარმოვიდგენდი, მასწავლებელი რომ გავხდებოდი. არეულმა ცხოვრებამ მიმიყვანა აქამდე. ერთადერთი პლიუსი, რომელსაც ვებღაუჭები, ესაა. მე მასწავლებელი გავხდი და ყოველ დღე ჩემს მოგონებებთან ახლოს ვარ.

წუხელის პაატა და თენგო მესიზმრა. სკოლის ეზოში ბორდიურზე ვისხედით. უკრავდნენ და მღეროდნენ. ყველა იქ იყო, ვინც მაშინ, სინამდვილეში. ისინი კი უკრავდნენ, არ ჩერდებოდნენ. ყველაფერი თითქოს ისე იყო, როგორც მაშინ, ძალიან ბევრი წლის წინ.

დილა იყო, ტელეფონის ზარმა რომ გამაღვიძა:

– ქალბატონო, ნატო, გამარჯობა, მარინა ვარ, დირექტორი.

– დიახ, ქალბატონო მარინა, როგორ ბრძანდებით?

– არა მიშავს, თავად ხო კარგად?

– დიახ, დიახ... მაღლობა, ქალბატონო მარინა.

– მოკლედ ასეთი ამბავია. ალბათ, გაიგეთ, რომ განათლების სამინისტროდან ბრძანება მოვიდა, კადრების გადახალისებასა და სკოლებში მოდერნული ელემენტების შეტანასთან დაკავშირებით.

– დიახ, ქეთინო შემხვდა, ჩვენი მათემატიკის მასწავლებელი და იმან მითხრა.

– სამწუხაროდ, თქვენი შემცირებაც გვინევს. ვიცი, რომ არაერთი წელი ამ სკოლაში ასწავლით და შესაბამისი გამოცდილებაც გაქვთ, უბრალოდ, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, ხო ხვდებით...

– ამით იმის თქმა გინდათ, რომ სექტემბრიდან სკოლაში აღარ ვასწავლი, ქალბატონო მარინა?

– ძალიან ვწუხვარ, ქალბატონო ნატო, გამიგეთ...

ყურმილი ხელიდან გამივარდა და

ავტირდი. ყველა ორგანო ერთიანად ამტკივდა. ყველაფერი წამიერად დაიშლხვრა და განადგურდა.

იქ პაატა და თენგო სწავლობდნენ, კიდევ მე და კიდევ სხვები. აბა, მე რა არ მაქვს ნანახი? საბჭოეთში დავიბადე. ის კლასი ჩემი იყო, მერე სხვების და კიდევ სხვების. მერე ვიდექი იქ ოცი წელი და ბავშვებს წერა-კითხვას ვასწავლიდი. შესვენებაზე ხანდახან ჩუმად ვტიროდი, ჩემთვის, როცა საკუთარი თავი გამოჩნდებოდა ოთიკოს მერხთან. იქ ველარ მიხვალო, მითხრეს და შემეშინდა ცხოვრებისა.

მე ვნახე ომი, დაღუპული ბიჭები, განადგურებული ოჯახები, შიმშილი და გაჭირვება, სიკვდილი და უსიყვარულობა, დაუფასებლობა და უწმინდურობა. სექტემბერში სკოლის ზარი ისევ დარეკავს, მე კი აღარასდროს ვიქნები ჩანთიანი მოსწავლე. ველარასდროს დავჯდები მერხთან და ველარასდროს მოვყვები გაკვეთილს. ველარც ჟურნალით ხელში დამინახავს ვერავინ, მასწავლებლის მაგიდასთან მჯდარს და სკოლის დერეფნებში მოსიარულეს. რაღაც ისეთი ამბავია, რომ გინდა მოყვე და ვერ ყვები, რომ გინდა, დაასრულო და ვერ ასრულებ. მე ხომ საბჭოეთში დავიბადე, სადაც ადამიანები ვერ სრულდებოდნენ, ვერ ბედნიერდებოდნენ, ვერ აღწევდნენ მიზნებს და უბრალოდ, ვერ სუნთქავდნენ.

იმ საუბრის შემდეგ ისევ არ წყდება სიზმრები. არეული სიზმრებია. მე აღარ ვწერ ნიშნებს, მოდიან ბავშვები და პირიქით, ისინი მიწერენ მე. ჩემს ცხოვრებას აფასებენ, ჩემს მოსწავლეობას, მასწავლებლობას. ისევ ჩუმად ვტირი, მე ხომ ასე დავეჩვიე ტირილს ბავშვობიდან. ვიცი, რომ მოსწავლე აღარ ვიქნები, გავითავისე, უცბად გავიზარდე. ჩემი მეზობელი შემხვდა ამასწინათ, ახალგაზრდა გოგოა, ისიც ქართულის მასწავლებელია. მითხრა, ნატო დეიდა, თუ რამე გამოჩნდა ჩვენს სკოლა-

ში, ვეტყვი თქვენზე, რომ საუკეთესო მასწავლებელი ხართო. იმედი მომეცა. ვიცი, რომ ამ დროს პატარა რაღაც ძალიან დიდ იმედს აძლევს ადამიანს. მეც ველოდები, ვზივარ სახლში მართო და ვუცდი. იქნებ მართლა გამოჩნდეს სადმე ადგილი და კვლავ მივუჯდე მასწავლებლის მაგიდას. მე რა არ მაქვს ნანახი, ამასაც გადავიტან. უბრალოდ, მართო ვცხოვრობ და ცოტა მეშინია, არ მინდა, სულ ასე ვიყო. რაც ასაკი მომემატა, უფრო ისეთი გავხდი, სენტიმენტალური.

ჩვენს უბანს ადრე სხვა ფერი ჰქონდა. იმ უბანში ყველაზე კარგი ხალხი

ცხოვრობდა და ყველას ერთმანეთი ისე უყვარდა, როგორც არავის. მეც იქ ვცხოვრობდი, პაატასთან და თენგოსთან ერთად. კიდევ ბევრთან, ახლა ზოგი რომ სხვაგანაა, ზოგი რომ აღარაა და ბევრის ადგილსამყოფელიც რომ არ ვიცი.

მასწავლებლობამ მიშველა, გამაძლებინა, ახლა კი მითხრეს, თუ რამე გამოჩნდება, დაგირეკავთო. მეც ველოდები... მჯერა, რომ დამირეკავენ. ნუხელ სიზმარი ვნახე. მოდიოდნენ ბავშვები და ნიშნებს მიწერდნენ, მე კი იქ ვიჯექი, სადაც ყოველთვის და ზარის დარეკვას ველოდებოდი, რათა დერეფანში გავექცეულიყავი.





## მანანა ყიფიანი



### „ჩუმი სასწაული“ (კიდევ ერთი შეხვედრა ნიკოლოზ ბარათაშვილთან)

ლირიკოსის ყოველი ნაწარმოები – ეს არის საუბარი პიროვნულზე, ანუ საუბარი საკუთარ თავზე და საკუთარ თავთან, უფრო სწორად – საკუთარი სულის მოხილვა; პოეტი საკუთარი სულის ყველაზე სათუთ რხევებს ჯერ თავად უგდებს ყურს და შემდგომ სხვას ასმენინებს და ამ ხმას, მისას, ისეთი ძალა და გამჭოლობა აქვს, რომ უამრავი ადამიანის სულის შერხევა შეუძლია. ყოველი ლექსი პოეტისა – ეს არის მკითხველის სტუმრობა მასთან... ლირიკოსი პოეტი თუკი იგი ჭეშმარიტი პოეტია და ლექსებს არ „აკეთებს“, ყოველთვის გახსნილია მკითხველთან; მკითხველს მისი სულის ყოველი კუთხე-კუნჭულის მოხილვა შეუძლია; პოეტის სულთან თანაზიარობით, მისეული განცდებითა და წარმოდგენებით იტვირთება, მის მიმართ თანაგრძნობით იმსჯვალება და უყვარდება კიდევ. რა ანიჭებს ერთი ადამიანის სულს იმ თვისებას, რომ იმოქმედოს მეორე ადამიანის

სულზე? აქ ზემოქმედების ინსტრუმენტი ნათელია – სიტყვა, კერძოდ, პოეტური სიტყვა. რა არის პოეტური სიტყვა? რა მოვლენაა ეს? ამ მოვლენას ახსნა არა აქვს, გარდა ერთისა – ეს არის ღვთისგან ბოძებული ნიჭი, ანუ ტალანტი, ანუ სასწაული, ხილული სასწაული. ჩვენი დროის ერთ-ერთი ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი ამ ხილული სასწაულის შესახებ წერს: „ლოცვა ეს არის სულის თვითგადახსნა, პოეზიაც არის სულის გაფაქიზება, რომელიც ასევე ძლევს მინიერ შეზღუდულობას. ამიტომ იგი არის ჩუმი სასწაული აღმოცენებული ჭეშმარიტი პოეტისა და ჭეშმარიტი მკითხველის სიღრმეში, ოღონდ ორივე უნდა იყოს ჭეშმარიტი და ეს სასწაული, ანუ წყალობა ღვთისა, ანუ ტალანტი, ანიჭებს პოეტს ძალმოსილებას, რომ „ადამიანურ სიტყვათა წყალი აქციოს ღვინოდ“.

ამიტომ, როდესაც რუსთაველი ამბობს: „შაირობა პირველადვე სიბრძნი-

საა ერთი დარგი, საღმრთო, საღმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი“, სწორედ ადამიანურ სიტყვათა წყლის ღვინოდ გადაქცევის პროცესზე ლაპარაკობს. აქ ისევ ზემოთ ხსენებულ ღვთისმეტყველს დავესესხები: „რადგანაც პოეტი ღვთისგან ბოძებული ნიჭით ქმნის თავის პოეზიას, ამიტომ იგი ყოველთვის დაბლა დგას თავისსავე პოეზიაზე“.

ამდენად, რადგანაც პოეტური ნიჭი ღვთის საჩუქარია, ბოძებული მისი ქმნილებისადმი, ამიტომ ქმნილება ამ ღვთაებრივ ძღვენზე დაბლა დგება. მთავარია, მან, შემოქმედმა, ეს გაიცნობიეროს (რაც ყველა დროისა და ყველა ეპოქის შემოქმედს უჭირდა), წინააღმდეგ შემთხვევაში, მას უთუოდ შეიპყრობს შემოქმედებითი ხიბლი, ანუ თავისი თავით მოხიბლვა; მისი პიროვნული ტალანტის საზომს ემატება კიდევ ცრუ საზომი, შემოქმედებითი ამბიციურობით ნასაზრდოები და ხელოვანი ივინყებს თავისი ტალანტის შემოქმედს – ღმერთს. იგი აღარ არის მადლობელი იმისა, რომ ღმერთმა სწორედ იგი გახადა ღირსი იმ სასწაულის ფლობისა, რასაც პოეტური სიტყვა ჰქვია და მას ყოველთვის ექნება თაყვანისცემის საგანი არა ღმერთი, არამედ საკუთარი თავი, ვნებებითა და ამბიციურობით სავსე... მაგრამ ტალანტი გაცემულია, ღვთაებრივი ძღვენი მიწაზეა და, სადაც ღვთაებრივია, იქვე აჩრდილივით მომდგარია დემონური ძალა, რომელიც ყოველგვარი ღვთაებრივის მისატაცებლადაა გამზადებული. რაც უფრო ნიჭიერია შემოქმედი, ანუ, რაც უფრო მეტი ტალანტი აქვს ღვთისგან ბოძებული, მით უფრო დიდია მის წინააღმდეგ ბრძოლა, რადგან მის არსებაში სწორედ ამ ღვთაებრივს ებრძვიან, რათა მან ეს ღვთისგან ბოძებული ტალანტი ისევ ღმერთს არ დაუბრუნოს, რომ სახარებისეული ერთი ტალანტის მფლობელივით იგი მიწაში ჩაფლას. მიზანი ერთია

– ადამიანის, ამ შემთხვევაში შემოქმედის ღმერთისაგან დაშორება და მისი საბოლოო დაღუპვა. უპირველესი, რითაც დემონური ძალები დიდ შემოქმედს აცდუნებენ, ეს არის გამორჩეულობის განცდა, საკუთარი გენიალურობის შეგრძნება, რათა მან, პოეტმა, დაივინყოს თავისი ტალანტის ჭეშმარიტი შემოქმედი, დაივინყოს ღმერთი, ისე, როგორც ეს ჩაიდინა ღვთისგან უდიდესი ნიჭით დაჯილდოებულმა, ერთ-ერთმა ბრწყინვალე ანგელოზმა – მთიებმა, შემდგომ კი მისგან განდგომილმა ლუციფერმა. ამ გზით იტვირთება დიდი ტალანტის მქონე ხელოვანთა შემოქმედება დემონური მისტიკით, ლუციფერიანული მოტივებით; ცოტა პოეტი თუ აკავებს მისთვის სამტროდ მომართულ უხილავ ძალთა ამ სულიერ ექსპანსიას თავის პოეზიაში. ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია ამ უხილავ ძალთა წინააღმდეგ გახსნილი ბრძოლის ამკარა ნიმუშია. ამ მხრივ იგი საგანგებო ყურადღებას იმსახურებს.

ჩვენთვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს განსახილველი ლექსების ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დალაგებას, რადგან მნიშვნელოვანია პოეტის სულიერი ბიოგრაფია, მასზე კი ყველაზე კარგ ნარმოდგენას მისი ლირიკული ლექსები გვიქმნის, რომელთაც პოეტი, როგორც აღსარებას, ისე ამოთქვამს.

პირველი ლექსი, რომელიც ამ გზაზე გვხვდება, არის „შემოღამება მთაწმინდაზე“. ეს ლექსი 1833-36 წლებში დაიწერა. იგი ამკარად ატარებს ორი თარიღის კვალს. თითქოს ჩანს, 1833 წელს დაწერილ ლექსს როგორ დაუმატა პოეტმა თავისი გვიანდროინდელი განწყობილებანი – 1933 წელს როგორ მიმოდიოდა მთაწმინდის მწუხრში და 1836 წელს როგორ იხსენებს ყოველივე ამას. ჯერ კიდევ ბარათაშვილის სიცოცხლეში ამ მთას „წმინდა“ მასზე წმიდა დავით გარეჯელის ბინადრობის გამო ერქვა. იქ, რა თქმა უნდა, იმ

დროს არ იყო მწერალთა პანთეონი და პოეტსაც იქ მიმოსვლისას არ აღეძვრებოდა იმ ხასიათის განცდები, როგორც გალაკტიონს. ცნობილია, რომ წმინდანების ფეხდანადგამი ადგილები სამუდამოდ ინარჩუნებენ იმ მაღლის მოქმედებას, რა მაღლითაც თავად ეს წმინდანები იყვნენ აღვსილი. ე.ი. სულიწმიდა იქ გამუდმებით მოქმედებს და მოქმედებს იგი თავისი ნაყოფით – სიყვარულით, სიხარულით, მშვიდობით, სულგრძელობით, სიტკბოებით, სახიერებით, სარწმუნოებით, მყუდროებით, მოთმინებით:

*მთაო ცხოველო, ხან მცნარო,  
ხან ცრემლიანო,  
ვინ მოგიხილოს, რომელ მყისვე  
თვისთა ფიქრს შვება  
არა იპოვოს და არ დახსნას  
გულსა ვაება,  
გულ-დახურულთა მეგობარო,  
მთავ ღრუბლიანო!*

ყმანვილ პოეტს გული იქითკენ მიუწევდა, სადაც სულიერ სიმშვიდეს გრძნობდა, სადაც სულ სხვა აღმაფრენას განიცდიდა და ეს ყველაფერი დიდწილად დაკავშირებული იყო მის რელიგიურ განცდებთან. მას ეს თავად შეიძლება არც კი ჰქონდა გაცნობიერებული:

*მახსოვს იგი დრო, საამო დრო,  
როს ნაღვლიანი,  
კლდევ ბუნდოვანო, შენს ბილიკად  
მიმოვიდოდი,  
და წყნარს საღამოს, ვით მეგობარს  
შემოვეტრფოდი,  
რომ ჩემებრ იგიც იყო მწუხარ და  
სევდიანი!*

პოეტი აშკარად გრძნობს სულიერ შვებას; მას თანაუგრძნეს და ამით სიმშვიდე მოჰგვარეს; თითქოს სუნთქვა გაეხსნაო:

*მე შენსა მჭვრეტელს მავინყდების  
სანუთროება,  
გულის-თქმა ჩემი შენს იქითა...  
ეძიებს სადგურს,  
ზენაართ სამყოფთ, რომ დაშთოს აქ  
ამაოება...  
მაგრამ ვერ სცნობენ, გლახ,  
მოკვდავნი განგებას ციურს!*

რა ჰქვია იმ სევდას, რა სევდითაც პოეტი ადის წმინდა მთაზე? ჩვენ შევცვდებით, პასუხი გავცეთ ამ კითხვას.

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში არაერთხელ განისაზღვრა ბარათაშვილის პოეზიის სევდის მოტივების სახეობანი: სამშობლოს დამონებული მდგომარეობით გამონწვეული სევდა, პიროვნული სევდა, მსოფლიო სევდა და ა.შ. ეს ყველა სევდა ნამდვილად სახეზეა პოეტის ლექსებში, უფრო სწორად, გვაქვს სევდათა ნარევი, რომელსაც ერთი საფუძველი, ერთი წყარო, ანუ ერთი დიდი სევდა ასაზრდოებს – ის სევდა, რომელსაც აქარვებს მთაწმინდის „ადგილნი დამაფიქვრელნი“. რა არის ეს სევდა? ეს არის ნიჭიერი ადამიანის ბუნებაში ჯერ კიდევ გაუცნობიერებელი ფორიაქი, სულიერი შფოთი, რომელიც თან ახლავს საკუთარი თავის შეცნობის პროცესს. შეიძლება ითქვას, რომ პოეტის ცხოვრებაში ეს პროცესი დაუსრულებლად გაგრძელდა; „მაგრამ ვერ სცნობენ, გლახ მოკვდავნი განგებას ციურს!“ – თქვა პოეტმა და ამით გაამჟღავნა თავისი დაუძლეველი სურვილი ღვთის განგებულებაში ჩანვდომისა. შესაძლოა, ეს სურვილი აღძრული იყო მისი საკუთარი ხვედრის, ცხოვრებაში დანიშნულების არსის გასარკვევადაც. სწორედ ამ დროს ჩნდებიან ხოლმე ის მისტიკური ძალები, რომლებიც ღვთაებრივი ნიჭის მისატაცებლად არიან მზად, რადგან მათ შურთ ღვთაებრივის ყოველგვარი გამოვლენისა ადამიანში.

მეორე ნაწარმოები, რომელიც ჩვენ

მიერ აღძრულ საკითხს ჰფენს ნათელს, არის ლექსი „ხმა იდუმალი“: „ვისი ხმა არის ეს საკვირველი? რად აქვს გულს ესე ჩუმი ნალველი?“ ხმა, მართლაც, საკვირველია, რადგან ცხადად ისმის, თუმცა მისი ჟღერა სულში ნალველს აჩენს. ამ ხმას პოეტი სიყმანვილეში არ იცნობდა; ის პირველად მხოლოდ მაშინ მოესმა, როდესაც წუთისოფელი შეიცნო, როდესაც უკან ჩამოიტოვა ის ნათელი დრო, რომელიც „რბიოდა“, დრო ყმანვილობისა:

*მას აქეთ ხმა რამ თან სდევს  
ყოველთა  
ჩემთა ზრახვათა და სანადელთა!  
ცხადად თუ სიზმრად, იგი მე მარად  
სულ ერთსა მიწვრთნის გულისა  
ჭირად:  
„ეძიე, ყმაო, შენ მხვედრი შენი,  
ვინძლო იპოვნო შენი საშვენი!  
მაგრამ მე მხვედრსა ჩემსა ვერ  
ვჭპოვებ,  
და მით კაეშანს ვერლა ვიშორებ...“*

ხმა, რომელიც პოეტის ყველა ზრახვასა და სანადელში იჭრება, ერთსა და იმავეს უმეორებს – უნდა იპოვო შენი შესაფერისი ხვედრიო. ამ ხმას პოეტი გულის ჭირად აღიქვამს, რადგან იგი მას გაურკვეველობაში აგდებს, საითკენდაც უბიძგებს; რას ითხოვს ეს ხმა – სხვაზე უკეთესი ხარ და შენი შესაფერისი ხვედრი იპოვებ? პოეტი ცდილობს, გაანალიზოს და გამოიძიოს ამ იდუმალი ხმის არსი:

*ნუთუ ხმა ესე არს ხმა დევნისა  
შეუნყალისა სინდისისა,  
მაგრამ მე ჩემში ვერ ვჭპოვებ ავსა  
მისს საშფოთველოს და  
საქენჯნავსა!*

პოეტმა იცის, რომ არსებობს სინდისის ხმა, შინაგანი სჯული, რომელიც ამხელს ადამიანს და ყოველთვის კონ-

კრეტულ დანაშაულზე, ანუ ცოდვაზე მიუთითებს, მაგრამ მგოსანი თავის არსებაში ასე მძაფრად სამხილებელ „ავს“ ვერ ხედავს. მან იცის, რომ ადამიანი გარემოცულია უხილავი სამყაროს ძალებით, რომლებიც განუწყვეტლივ ზემოქმედებენ მასზე:

*ანგელოზი ხარ, მფარველი ჩემი,  
ან თუ ეშმაკი, მაცთური ჩემი,  
ვინცა ხარ, მარქვი, რას მომისწავებ,  
სიცოცხლეს ჩამსა რას  
განუმზადებ?  
როს ვცნა მე შენი საიდუმლობა,  
რომ მხვედეს ამ სოფლად ჩემი  
ნილობა?*

ლექსში პოეტი თითქოს არ მიჰყვება ამ უცხო ხმას, იგი განსჯის კიდეც თავის მდგომარეობას, ამ ეტაპზე იგი ჯერ კიდეც ფხიზლადაა, მაგრამ ის ფაქტი, რომ მასთან დიალოგს მართავს, უკვე იმის მანიშნებელია, რომ ეს საუბარი გაგრძელდება და გაგრძელდა კიდეც.

ლექსში „ჩემს ვარსკვლავს“ პოეტს უკვე სულ სხვა დამოკიდებულება აქვს ამ იდუმალი ხმისადმი, რომელიც ახლა ბედის ვარსკვლავის სახით მოეგონა და, რომელიც უკვე თავის განწყობილებას აშკარად და დაუფარავად კარნახობს. ბარათაშვილს თითქოს გაცნობიერებული აქვს თავისი დამოკიდებული მდგომარეობა ამ რალაც ძალისადმი, რომელსაც ფაქტობრივად ემუდარება, რომ სულ მცირე შეება მიანიჭოს:

*რად მრისხანებ, ჩემი ბედის  
ვარსკვლავო?  
მაინც გეტრფი, თუმცა ხშირად  
მკლავო;  
შეეთვისა სული შენსა  
მოღრუბლვას,  
შეეჩვია გული სევდითა კრთოლვას,  
ნუ გგონია, ბედსა მით დამიმწარებ,  
რომ უეცრად ბუქით ნისლს  
მოიფარებ;*

შენ არ იცი, რა სიამეს მომაგებ,  
როს მიბჭუტვით ნისლით  
გამომინათებ.  
რა სახითაც გინდა შენ მე მეჩვენო,  
მაინც გიცნობ, მშვენიერის ცის  
მთენო:  
ნათელი ხარ შენ ნათელის სულისა,  
მალხინებელ დაბინდულის გულისა!  
მოციმციმდი, მოდი, გამომედარე;  
კვლავ ციური ცეცხლი გარმოისარე,  
ნაპერნკალნი ეშხისა მომაყარე.

ხოლო მე უნდა მას მოვასხა  
შარავანდედი;  
ჟამი ჩემია და ჟამისა მე ვარ იმედი!  
მაგრამ ვინ იცის, იქნება, რომ  
ბედსაც მოვსწყინდე,  
და სხვა მან ჩემის სახელითა  
დაავიგვიგინოს!..  
არა, არა მნამს, რომე ბედმა მე  
მიორგულოს:  
მე მან გამზარდა და თავის  
განვრთნილს რაღა მიხერხოს!

ეს იდუმალი ხმა, რომელსაც პოეტი ადრე უნდობლად ეკიდებოდა, ახლა ეჭვსაც არ იწვევს მასში – პოეტი მას უკვე ენდობა; იგი ახლა უკვე „სულის ნათელი“ და დაბინდული გულის „მალხინებელი“ შეიქნა, მერე რა, თუ ეს გული მისგანვე არის დაბინდული; ეს ლექსი პირველი ნიშანია იმისა, რომ პოეტმა იდუმალი ხმის ზრახვები საკუთარ ზრახვებად მიიღო. რა შეიძლება შთაეგონებინა პოეტისათვის ამ იდუმალ ხმას, რომელსაც მოგვიანებით მან პირდაპირ „სული ბოროტი“ უწოდა? – საკუთარი ტალანტის შეცნობა და სხვათაგანაც ამის აღიარება, საკუთარ თავზე გამორჩეული წარმოდგენა, რწმენა იმისა, რომ ღვთის ნებით იყო და არასოდეს გაიწირებოდა, რომ იგი უფრო მეტს იმსახურებდა, ვიდრე ჰქონდა, უზრდიდა სურვილებს და თანდათან სიბრალულით განაწყობდა საკუთარ თავისადმი, თუმცა ლექსში „ნაპოლეონ“ ჯერ კიდევ თავის თავში დარწმუნებული პოეტი გვესაუბრება, მას ჯერ კიდევ სჯერა, რომ ბედის რჩეულია და წინ გამარჯვება ელის. ამ ლექსში პოეტი ნაპოლეონის პიროვნებისადმი თავისი დამოკიდებულების ჩვენებით საკუთარ არსებაშიც გვახედებს და თავის ზრახვებსაც გვიხსნის:

მაგრამ მე გვამში სული ველარ  
მომთავსებია!  
მითხზავს გვირგვინსა დიდებისას  
მე თვითონ ბედი,

ცალკე მსჯელობის საგანია ბედის საკითხი. ქრისტიანული მსოფლმხედველობის მიხედვით, ბედი არ არსებობს, არსებობს ღვთის განგებულება, ადამიანის თავისუფალი ნება და ორი გზა – ვინრო და ფართე. ვინრო გზაზე ადამიანი თავისი ნებით უნდა შედგეს, ოღონდ თავისი ძალით ვერ გაივლის, ღვთის შემწეობის გარეშე ამ გზის გავლა წარმოუდგენელია; არსებობს ამ გზაზე სიარულის წესებიც, რომელსაც ადამიანი უნდა ფლობდეს და თუ ამ გზაზე სიარულს რაიმე უშლის ხელს, ეს არის საკუთარი თავით მოხიბლვა, თავმონონება, საკუთარი შესაძლებლობების გადაჭარბებულად შეფასება, სიამაყე, პატივმოყვარეობა და ამპარტავნება. ყველა ამ თვისებით ცდილობს დემონური ძალა, დატვირთოს ყოველი ადამიანი, განსაკუთრებით კი შემოქმედი, უთხზავს ზღაპრებს ბედის შესახებ, რათა ადამიანმა თავისი მომავალი თავისივე ნებით კი არ გამოჭედოს, არამედ რაღაც „სხვაზე“ ჩამოკიდოს, ამ შემთხვევაში – ბედზე, რომლის გაცრუების შემთხვევაშიც ადამიანს სხვა არა დარჩენია, გარდა სასონარკვეთისა...

და აი, 1839 წელს იწერება ლექსი – „სული ობოლი“. ამ ლექსის განწყობილება ყველასათვის ცნობილია. აქ სასონარკვეთა ფეხმოუცვლელად დგას: „მაგრამ ერთხელ დაობლებული სული მარად ითმენს უნუგეშობას კრული!“ იწყება სულიერი დეპრესია:

არღარა აქვს მას ნდობა ამა  
სოფლის;  
ემინიან, იკრძალვის, არღა იცის,  
ვის აუნყოს დაფარული მან  
გრძნობა,  
ეფიქრება ხელმეორედ მას ნდობა!

ასე და ამგვარად, შემოქმედი კარ-  
გავს არსსა და აზრს ცხოვრებისას,  
მაგრამ რაღაც უხილავი ძალით კვლავ  
ხდება სასიცოცხლო ძალების აღდგენა,  
კვლავ იღვიძებს იმედი, სასოება და კვ-  
ლავ მიპყრობილია მზერა ღმრთისაკენ.  
აი, აქ უკვე დადგება 1840 წელს დაწე-  
რილი ლექსი „ჩემი ლოცვა“:

ღმერთო მამაო, მომიხილე ძე  
შეცთომილი  
და განმასვენე ვნებათაგან  
ბოროტ-ღელვითი!  
ნუთუ მამასა არღა ჰქონდეს  
გულისტკივილი,  
ოდეს იხილოს განსაცდელში  
შემცოდე შვილი?  
ჰოი სახიერო, რად წარვიკვეთ მე  
სასოებას;  
პირველ უმანკომ თვით ადამმაც  
სცოდა შენს მცნებას,  
უმსხვერპლა წადილს სამოთხისა  
მშვენიერება,  
გარნა იხილა სასუფეველის მან  
ნეტარება!  
ცხოვრების წყაროვ, მასვ ნმიდათა  
წყალთაგან შენთა,  
დამინთქე მათში სალმობანი  
გულისა სენთა!  
არა დაჰქროლონ ნავსა ჩემსა ქართა  
ვნებისა,  
არამედ მოეც მას სადგური  
მყუდროებისა!  
გულთა-მხილავო, ცხად არს შენდა  
გულისა სიღრმე:  
შენ უწინარეს ჩემსა უწყი, რაც  
ვიზრახო მე,  
და – ჩემთა ბაგეთ რაღა დაუშთ  
შენდა სათქმელად?

მაშა დუმილიც მიმითვალე შენდამი  
ლოცვად!

პოეტმა იცის, რომ სწორედ ვნება-  
თაგან განსვენება სჭირდება და, რომ  
ამ ვნებებს ბოროტი სული აღელვებს,  
რომ სასო არ უნდა წარიკვეთოს, რად-  
გან ღმერთი მოწყალეა და, მეფსალმუ-  
ნის სიტყვებით რომ ვთქვათ: „მართალ-  
ნი უყვარს და ცოდვილთა სწყალობს“,  
პოეტმა იცის, რომ მხოლოდ ღმერთია  
ცხოვრების წყარო, რომ მხოლოდ მი-  
სი წმინდა წყლები განუბანს გულს და  
განწმენდს სალმობათაგან და რას ით-  
ხოვს, უპირველეს ყოვლისა? – ვნება-  
თაგან დახსნასა და მყუდროებას – „რა-  
თა მყუდროებასა შინა დაწყნარებული  
ცხოვრება გვაქვნიდეს“. პოეტმა იცის,  
რომ მხოლოდ სულიწმინდის მოხვეჭით  
მოიპოვებს სიმშვიდეს, მან იცის სუ-  
ლიწმინდის ნიჭის მოქმედების ძალა,  
როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სწორედ  
ერთ-ერთი ნაყოფი სულიწმინდისა ეს  
არის მყუდროება. პოეტმა იცის, რომ  
მისი გული გადაშლილია ღვთისათვის,  
რომ ღმერთმა ყოველი უწყის, რომ მან  
ლოცვაში მხოლოდ ცოდვების მიტევება  
უნდა ითხოვოს და აკი ითხოვს კიდევ.  
ამის შემდგომ იწყება დროებითი გამო-  
ნათებანი პოეტის სულიერ ცხოვრებაში  
– 40-41 წლები, მაგრამ კვლავ მოდგება  
სასონარკვეთის აჩრდილი, კვლავ სევ-  
და, კვლავ უიმედობა:

ვერღა აღმიგო სიყვარულმა კვალად  
ტაძარი!..  
ვერსად აღვანთე დაშთომილი მისი  
ლამპარი!  
ესრეთ დამიხშო უკულმართმან  
ნუგეშის კარი,  
და დავალ ობლად, ისევ მწირი,  
მიუსაფარი!

ამ ლექსს მოჰყვება შემდგომ მწარე  
ამონაკვნესი – „კვალად მომნახა ჩემმა  
უწინდელმა მოწყენილობამ...“ და ჩა-

მოდგა კიდევ ლექსი – „მერანი“.

რა სევდაა პოეტის სევდა? რა შიშია პოეტის შიში? ესაა სევდა ღვთისგან დაშორებული სულისა, ესაა გაუცნობიერებელი შიში ღვთისგან მიტოვებულობისა, რომელსაც ლირიკოსი პოეტი არ ფარავს; „ვემსგავსე მათ, რომელნი შთავლენან მღვიმესა“, – ამბობს დავით მეფსალმუნე, როდესაც გრძნობს, როგორ განეშორება ღმერთს, რადგან მყის ბოროტი ძალები ეუფლებიან მას. პოეტის ფორიაქი და სულის ამონაკვეთი გამოძახილია იმ დაუნდობელი ბრძოლისა, რომელსაც მას დემონური ძალები უმართავენ. ბარათაშვილის „მერანი“ კი ამ ძალებთან გახსნილი, აშკარა ბრძოლაა, მაგრამ ბრძოლაა საკუთარი ადამიანური ძალებით, რაც მხოლოდ დამარცხების სანინდარია; ადამიანს მხოლოდ ღვთის დახმარებით შეუძლია მოიხვეჭოს გამარჯვება, სხვა მხრივ კი ყველაფერი ტყუილი ქადილია. პოეტი მხოლოდ საკუთარი ძალებით უტევს კაცობრიობის მტერს, რაც მას კადნიერ გამონვევაში ეთვლება.

ჩვენთვის ეს ლექსი, როგორც დიალოგი, ისე ხშიანობს – დიალოგი პოეტსა და დემონურ ძალას შორის. ოღონდ ჩვენ მხოლოდ „აქეთ“ მდგომის ლაპარაკი გვესმის, „იქით“ მდგომისა კი არა! პოეტისთვის ამაზრზენია თავად ბოროტი სულის სიახლოვე, მითუმეტეს, მისი მორჩილება და უმხედრდება. ის კი აშინებს და ეუბნება, რომ დასჯის; პოეტი ყველაფერზე თანახმაა, ოღონდ ერთხელ მაინც აუმხედრდეს მას და მისი მონური შიშისაგან თავი დააღწიოს, მაგრამ ეს შეუძლებელია. უფრო დანვრილებით კი ეს დიალოგი ასე წარმოგვიდგენია:

ამბოხი დაიწყო:

*გაკვეთე ქარი, გააპე წყალი, გარდა  
იარე კლდენი და ღრენი,*

*გასნი, გაკურცხლე და შემომოკლე  
მოუთმენელსა სავალნი დღენი!*

*ნუ შეეფარვი, ჩემო მფრინავო, ნუცა*

*სიცხესა, ნუცა ავდარსა,  
ნუ შემობრალე დაქანცულობით  
თავგანწირულსა შენსა მხედარსა!*

ბოროტი სული კი თითქოს ეუბნება: „საით მიჰქრისხარ? გასცდები შენს მამულს, მოაკლდები შენს მეგობრებს, ვერც შენს მშობლებს იხილავ და ვერც შენს ტკბილმოუბარ სატრფოს! სადაც გაგიტენდება, იქ დაგილამდება, იქ იქნება შენი მინა-წყალი“ და ა.შ. და რას პასუხობს პოეტი? – „მერე რა?“ ანუ – „რაა, მოვმორდე ჩემსა მამულსა, მოვაკლდე სწორთა და მეგობარსა, /ნუ-ლა ვიხილავ ჩემთა მშობელთა და ჩემსა სატრფოს ტკბილმოუბარსა, /სად დამილამდეს, იქ გამითენდეს, იქ იყოს ჩემი მინა-სამშობლო, /მხოლოდ ვარსკვლავთა თანამავალთა ვამცნო გულისა მე საიდუმლო!“

ამ პასუხის შემდეგ პოეტმა თითქოს წინააღმდეგობის ახალი ტალღა დაძრაო: „კვენესა გულისა, ტრფობის ნაშთი მივცე ზღვის ღელვას, /და შენს მშვენიერს, აღტაცებულს, გიჟურსა ლტოლვას! /გასნი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი, /და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!“

მუქარა უფრო საზარელ სახეს იღებს. ბოროტი სული უკვე სიკვდილზე ალაპარაკდა: „არ დაიმარხები შენს მამულში. შენი წინაპრების საფლავებს შორის. არ დაგიტირებს გულის სატრფო და აღარ დაგეცემა მისი მწუხარე ცრემლი. შავი ყორანი გაგიტხრის საფლავს“ და ა.შ... პოეტი ისევ პასუხობს – „მერე რა?“ ანუ „ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში ჩემსა წინაპართ საფლავებს შორის, /ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა, ნულა დამეცეს ცრემლი მწუხარის, /შავი ყორანი გამითხრის საფლავს მდელითა შორის ტიალის მინდვრის, /და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა ზარით. ღრიალით მინას მომყრის!“

ბოლოს უკვე შეუფარავი მუქარა ისმის ბოროტი სულისა, მაგრამ პასუ-

ხი აქაც მზად არის: „დაე, მოვკვდე მე უპატრონო მისგან, ოხერი! /ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა მოსისხლე მტერი! /გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი, /და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!“ თითქოს „შეუკვეთაო“ პოეტმა ბოროტ სულს საკუთარი სიკვდილი და მანაც სიტყვა-სიტყვით შეუსრულა დანაპირები. ლექსი „მერანი“ პოეტისათვის საკუთარი ადამიანური ძალებით ბოროტ სულთან შეჭიდების პირველი და უკანასკნელი ცდაა.


ქრონოლოგიურად „მერანს“ მოსდევს „სულო ბოროტო“ (1843 წ.), რომელშიც უკვე აღარ არის ის შემართება, ის თავგანწირვა, რაც „მერანშია“, არამედ მოჩანს მოტეხილი და უსასოო სული, თუმცა კი განვედ ჩემგან ბოროტო სულოო – ამბობს პოეტი. „მერანში“ თუ ბოროტი სული „კულისებში“ იყო, ამ ლექსში უკვე „ავანსცენაზე“ გამოდის. რაც მთავარია, თავად პოეტი დარწმუნდა, რომ ის იდუმალი ხმა, ის მოციმცმე ბედის ვარსკვლავი, ყველაფერი, საცდური იყო ბოროტი სულისაგან მოვლენილი. ეს ლექსი ქრესტომათიული ლექსია იმის გასაცნობად, თუ რა ხერხებითა და საშუალებებით აცდუნებს ბოროტი სული ადამიანს – რომ იგი ყოველთვის ადამიანის წინამძღვრობას ცდილობს, მის სულში შფოთი შეაქვს, სიმშვიდეს უკარავს, სიყმანვილეს იმით უნამლავს, რომ ცრუ თავისუფლებას ჰპირდება, არწმუნებს,

რომ ჯოჯოხეთი არ არსებობს, რომ იგი, პირველ რიგში, წრფელ ზრახვებს ესხმის თავს და რომ იგი სიცრუის მამაა, და საბრალოა ის ადამიანი, რომელსაც მისი მსახვრალი ხელი მოხვდება: „წყეულიმც იყოს დღე, იგი როს შენთა აღთქმათა ბრმად მივანდობდი, ვუმსხვერპლიდი ჩემს გულისთქმათა!“ – ამბობს პოეტი და ამით ფარდას ხდის ბოროტი სულის მთელ მზაკვრობას და მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საბოლოო სიტყვა მაინც მას ეკუთვნის: „განვედ ჩემგან, ჰოი მაცდურო, სულო ბოროტო!“ საეკლესიო ლოცვათა არსენალში არის ასეთი ლოცვა, რომელშიც ადამიანი პირდაპირ მიმართავს ბოროტ სულს: „წარვედ ჩემგან მართლუკუნ სატანა... რაი არს შენი და ჩვენი უცხოო ღვთისაგან, ლტოლვილო ცათაგან და მონაო ბოროტო და განდგომილო! არა გაქვს შენ ფლობაი ჩვენი, ქრისტესა ძესა ღვთისასა აქვს ფლობაი ჩვენი...“ ეს ლოცვა კლასიკური ნიმუშია ადამიანის ბოროტ სულთან დაუზიანებელი ურთიერთობისა; ამ ლოცვაშიც საოცრად პირუთენელია ადამიანი ბოროტის მიმართ, სიმართლეს პირში ახლის, ოღონდ იქადნის წმიდა სამებით, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლითა და წმიდა მთავარანგელოზი მიქაელით.

ამ ფონზე ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია ნათელი ნიმუშია ღვთაებრივი ნიჭიერების სულიერ ავაზაკებთან მარტოსული ბრძოლისა.



## შირლი ჯექსონი



### ჯალოქარი

მატარებელი ისეთი ცარიელი იყო, რომ ბიჭუნას ცალკე დასაჯდომი მიესაკუთრებინა. დედამისი რიგებს შორის, გასასვლელის გასწვრივ იჯდა, ბიჭუნას ჩვილ დასთან ერთად, რომელსაც ერთ ხელში საჩხრიალო სათამაშო, ხოლო მეორეში ტოსტის ნაჭერი ეჭირა. ის ისე იყო მიბმული სკამზე, რომ შეეძლო, თავისუფლად წამოსკუპებულიყო და გარშემო მიმოეხედა. როგორც კი გვერდით გადასრიალდებოდა, ტყავის საბმელი იქამდე იჭერდა, სანამ დედამისი შემობრუნდებოდა, დაინახავდა და საბმელს კვლავ მაგრად მოუჭერდა. პატარა ბიჭუნა ფანჯრიდან იყურებოდა და ორცხობილას ახრამუნებდა. დედამისი მშვიდად კითხულობდა და პატარა ბიჭუნას შეკითხვებს ისე პასუხობდა, რომ წიგნიდან თავს არ სწევდა.

– ჩვენ მდინარეზე ვართ, – თქვა ბიჭუნამ. – ეს მდინარეა და ჩვენ მასზე ვართ.

– კარგი, – თქვა დედამისმა.

– ჩვენ ხიდზე ვართ მდინარის ზემოდან, – თავისთვის ჩაილაპარაკა ბიჭუნამ.

მხოლოდ რამდენიმე ადამიანი იჯდა

აქა-იქ, მატარებლის ბოლოში. თუ რომელიმე მათგანი რიგებს შორის გასასვლელში ჩამოვიდოდა, პატარა ბიჭუნა გარშემო მიმოიხედავდა და მაშინვე გამარჯობას ეუბნებოდა უცნობებს. უცნობებიც ჩვეულებრივ ეუბნებოდნენ: – გამარჯობა! – და ზოგჯერ ეკითხებოდნენ, როგორ მოსწონდა მატარებლით მგზავრობა, ზოგჯერ კი ეუბნებოდნენ, რომ ძალიან საყვარელი ან უკვე დიდი ბიჭი იყო. ეს კომენტარები ბიჭუნას აღიზიანებდა და ამ დროს მაშინვე ისევ ფანჯრისკენ ბრუნდებოდა.

– იქ ძროხაა, – ამოიხვნეშებდა ხოლმე. – კიდევ შორია?

– მალე მივალთ, – ყოველ ჯერზე ამას იმეორებდა დედა.

ერთხელ ჩვილი, რომელიც გართული იყო საჩხრიალო სათამაშოთი და თავისი ტოსტით, რომელსაც დედიკო არ აკლებდა და დასრულებისთანავე ახალს აძლევდა, სავარძლიდან გადმოვარდა და თავი დაახეთქა. ტირილი დაიწყო და რამდენიმე წუთის განმავლობაში დედამისის სკამის გარშემო ხმაური და მოძრაობა არ შემწყდარა. ბიჭუნა თავისი სკამიდან ჩამოცურდა

და მაშინვე დაიკოსთან გაიქცა. ეფერებოდა და ევედრებოდა, აღარ ეტირა. როგორც იქნა, გოგონამ სიცილი დაიწყო და თავის ტოსტს დაუბრუნდა. ბიჭიც დაბრუნდა ფანჯარასთან.

– ჯადოქარი დავინახე, – უთხრა დედას ერთი წუთის შემდეგ. – გარეთ ბებერი, უშნო, დიდი, ბებერი, ცუდი, ბებერი ჯადოქარი დავინახე.

– კარგი, – თქვა დედამ.

– ბებერი, უშნო, დიდი ჯადოქარი დავინახე და მას ვუთხარი, წასულიყო და ის წავიდა, – აგრძელებდა ბიჭი თავისთვის, – ის მოვიდა და მითხრა: „მე შენ შეგჭამ!“ – და მე ვუთხარი: „არა, არ შემჭამ!“ და გავაგდე. საზიზლარი, ცუდი, ბებერი ჯადოქარი.

მატარებლის კარი გაიღო და კაცი ამოვიდა. ბიჭმა მისკენ გაიხედა და საუბარი შეწყვიტა. ასაკოვანი კაცი იყო სასიამოვნო სახითა და თეთრი თმით. მის ლურჯ პიჯაკს მხოლოდ უმნიშვნელოდ შეხებოდა ის უნესრიგობა, რაც მატარებლით მგზავრობას სდევს თან. მას სიგარა ეჭირა და, როდესაც ბიჭმა უთხრა: „გამარჯობა!“ – ის მას მიუბრუნდა და უთხრა: – გამარჯობა, შვილო! – ის ბიჭის სკამის გვერდით გაჩერდა, დაიხარა, დახედა ბიჭუნას, რომელსაც მის დასანახავად კისერი წაეგრძელებინა და ჰკითხა: – ფანჯრიდან რას უყურებ?

– ჯადოქრებს, – დაუყოვნებლად უპასუხა ბიჭუნამ. – საზიზლარ, ცუდ, ბებერ ჯადოქრებს.

– გასაგებია, – თქვა კაცმა. – ბევრი ნახე?

– მამაჩემი სიგარას ეწევა, – თქვა ბიჭუნამ.

– ყველა კაცი ეწევა სიგარას, – თქვა კაცმა. – ერთ დღეს შენც მოწევი სიგარას.

– მე უკვე კაცი ვარ, – თქვა ბიჭუნამ.

– რამდენი წლის ხარ? – ჰკითხა კაცმა.

ამ მარადიული შეკითხვის გაგონება-

ზე ბიჭუნამ კაცს ეჭვის თვალთ ახედა და უთხრა: – ოცდაექვსის, რვაას ოცდარვის და ორმოცდაოთხმოცის.

ბიჭუნას დედამ თავი ასწია, – ოთხისაა. – თქვა და ალერსიანად გაუღიმა ბიჭუნას.

– მართლა ასეა? – თავაზიანად ჰკითხა კაცმა. – ოცდაექვსის? – თან ბიჭუნას დედას გახედა და თავი დაუქნია. – ეს დედაშენია?

ბიჭუნა წინ გადაიხარა, დედას შეხედა და თქვა:

– კი, ისაა.

– რა გქვია? – ჰკითხა კაცმა.

ბიჭუნამ კვლავ ეჭვით ახედა კაცს და უპასუხა:

– ბატონი იესო.

– ჯონი ჰქვია, – თქვა ბიჭუნას დედამ და წარბშეჭმუნხილმა შეხედა ბიჭს.

– ეს ჩემი დაიკოა, აი, იქ რომ ზის, – უთხრა ბიჭუნამ კაცს. – ის თორმეტნახევრისაა.

– გიყვარს შენი დაიკო? – ჰკითხა კაცმა. ბიჭუნა მიაშტერდა. კაცი უფრო მიუახლოვდა მის სკამს, გვერდით მიუჯდა და თქვა, – მისმინე, გინდა ჩემს პატარა დაიკოზე მოგიყვე?

დედა, რომელმაც თავიდან ალღევებით შეხედა ბიჭის გვერდით ჩამოფდარ უცნობ კაცს, კვლავ მიუბრუნდა თავის წიგნს და მშვიდად განაგრძო კითხვა.

– მომიყევი შენს პატარა დაიკოზე, – უთხრა ბიჭუნამ. – ისიც ჯადოქარი იყო?

– შესაძლოა, – თქვა კაცმა.

პატარა ბიჭუნა აღტაცებით შესცქეროდა კაცს და იცინოდა. კაცი მისკენ გადაიხარა, სიგარა მძიმედ მოქაჩა, ნაფაზი დაარტყა და დაიწყო:

– ერთ დროს პატარა დაიკო მყავდა, შენ რომ გყავს ისეთი, – ბიჭი კაცს უყურებდა და ყველა სიტყვაზე თავს უქნევდა. – ჩემი პატარა დაიკო, – გააგრძელა კაცმა. – ისეთი ლამაზი და მშვენიერი იყო, რომ მე ის უზომოდ

მიყვარდა და მსოფლიოში ყველაფერს მერჩივნა. ჰოდა, მოგიყვე, რა გავაკეთე? – ბიჭუნამ კიდევ უფრო ძლიერად დაუქნია თავი, დედამ წიგნიდან თავი ასწია და გაიღიმა. – მე მას სათამაშო ცხენი, თოჯინა და მილიონი ლოლიპოპი ვუყიდე, – გააგრძელა კაცმა. – შემდეგ ხელები კისერზე მოვუჭირე და ვუჭერდი და ვუჭერდი, სანამ არ მოკვდა.

ბიჭუნამ მიძიმედ ამოიხვნეშა. დედას სახე მოეღრიცა და ღიმილი წაეშალა. პირი გააღო და, სანამ რამის თქმას მოასწრებდა, კვლად დახურა, რადგან კაცმა განაგრძო: – შემდეგ თავი მოვაჭერი და მისი თავი ხელში დავიჭირე.

– ის ნაკუნ-ნაკუნ დაჭერი? – სუნთქვაშეკრული ეკითხებოდა ბიჭუნა.

– მე მას თავი, ხელები, ტერფები, თმა და ცხვირი მოვაჭერი, – თქვა კაცმა. – მე მას ჯოხი ვურტყი და მოვკალი.

– ერთი წუთით, – თქვა დედამ, მაგრამ ამ დროს მისი გოგონა ისეე გადაგორდა სავარძლიდან და, სანამ დედამ ის კვლავ სკამს მიაბა, კაცმა განაგრძო: – და შემდეგ მისი თავი ავიღე და თმა სათითაოდ ამოვაცალე.

– შენს პატარა დაიკოს? – ენთუზიზმით ჩაეკითხა ბიჭუნა.

– ჩემს პატარა დაიკოს, – თავდაჯერებულად უპასუხა კაცმა. – მისი თავი დათვის გალიაში შევავდე და დათვმა მთლიანად გადასანსლა.

– მთლიანად გადასანსლა? – ჰკითხა ბიჭუნამ.

დედამ წიგნი დადო, რიგებს შორის გაიარა და კაცის გვერდით დადგა. – რას აკეთებ? – კაცმა თავაზიანად ახედა: – გაეთრიე აქედან!

– ხომ არ შეგაშინეთ? – ჰკითხა კაცმა. ბიჭუნას დახედა, იდაყვი გაჰკრა და ორივემ სიცილი დაიწყეს.

– ამ კაცმა დავისი პატარა დაიკო დაანაკუნა, – უთხრა ბიჭუნამ დედას.

– ახლავე კონდუქტორს დავუძახებ, – უთხრა დედამ კაცს.

– კონდუქტორი დედაჩემს შესან-

სლავს, – თქვა ბიჭუნამ. – ჩვენ კი მის თავს დავჩენავთ.

– და პატარა დაიკოს თავსაც დავჩენავთ, – თქვა კაცმა. ის ადგა, ბიჭის დედა გვერდით გაიწია, რომ გზა დაეთმო და იქაურობის გაცლაში ხელი არ შეეშალა, თან მიაძახა: – აღარასდროს დაგინახო ამ მატარებელში!

– დედაჩემი შეგსანსლავს, – უთხრა კაცს ბიჭუნამ.

კაცი იცინოდა. ბიჭუნაც იცინოდა.

– უკაცრავად, – უთხრა კაცმა ბიჭუნას დედას, გვერდით ჩაუარა და მატარებლიდან ჩავიდა. როცა კარები დაიხურა, ბიჭუნამ თქვა: – კიდევ რამდენ ხანს უნდა ვიყოთ ამ ძველ მატარებელში?

– მალე მივალთ, – თქვა დედამ. იდგა და ბიჭს უყურებდა. რალაცის თქმა სურდა, მაგრამ მხოლოდ ეს თქვა: – თუ წყნარად იჯდები და კარგად მოიქცევი, კიდევ მიიღებ ლოლიპოპს.

ბიჭი სკამიდან ჩამოცოცდა და დედას გაჰყვა. დედამ კიდევ ერთი ლოლიპოპი მისცა და შეახსენა: – ამ დროს რა უნდა თქვა?

– გმადლობ, – თქვა ბიჭუნამ. – იმ კაცმა მართლა დაანაკუნა თავისი დაიკო?

– ის უბრალოდ ხუმრობდა, – თქვა დედამ. – უბრალოდ ხუმრობდა.

– ალბათ, – თქვა ბიჭუნამ. თავისი ლოლიპოპით დაუბრუნდა სკამს, მოკალათდა და ფანჯრიდან ყურება განაგრძო. – შეიძლება, ჯადოქარი იყო.

## შესაძლო ბოროტება

მის ადელა სტრეინჯვორტი კობტად მიაბიჯებდა მეინ სტრიტზე, სასურსათო მაღაზიისკენ. ლამის კოკისპირული წვიმის შემდეგ ამ დილას მზე ანათებდა, ჰაერი სუფთა იყო და მის სტრეინჯვორტის პატარა ქალაქშიც ყველაფერი სუფთა და ნათელი იყო. მის

სტრეინჯვორტმა ღრმად ჩაისუნთქა და გაიფიქრა, რომ ვერაფერი შეედრებოდა ზაფხულის დღის არომატს.

რა თქმა უნდა, ქალაქში ყველას იცნობდა. როდესაც ქალაქში სეირნობისას ტურისტები მის ულამაზეს ვარდების ბაღთან ჩერდებოდნენ, მის სტრეინჯვორტს მათთვის ყველაზე მეტად იმის თქმა უყვარდა, რომ მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ერთ დღეზე მეტიც არ გაუტარებია სხვა ქალაქში. – მე სამოცდათერთმეტი წლის ვარ, – ეუბნებოდა ტურისტებს. ამ დროს მის პატარა, ლამაზ ქვედა ტურთან ღიმილის ნაჩვრეტი გამოისახებოდა ხოლმე. მის სტრეინჯვორტს ზოგჯერ ის ფიქრიც იპყრობდა, რომ ეს ქალაქი მას ეკუთვნოდა. – ფლეზენტ სტრიტზე პირველი სახლი ბაბუაჩემმა ააშენა, – ამბობდა ხოლმე და ამ დროს ლურჯი თვალები განსაკუთრებით უფართოვდებოდა. – აი, სწორედ ეს სახლი. ას წელზე მეტია, რაც ჩემს ოჯახს ამ ქალაქში უცხოვრია. ეს ვარდები ბებიაჩემმა დარგო, მათზე დედაჩემი ზრუნავდა. სწორედ ისე, როგორც მე.

მართალია, ტურისტები ხშირად სთხოვდნენ, მაგრამ მის სტრეინჯვორტი არასდროს არავის ჩუქნიდა თავის ვარდებს. ეს ვარდები ფლეზენტ სტრიტს ეკუთვნოდა და მის სტრეინჯვორტს იმაზე ფიქრიც კი აძრწუნებდა, რომ ვინმეს ისინი უცხო ქალაქში, უცხო ქუჩებში უნდა წაეღო...

ზაფხულის დილას, მეინსტრიტზე გავლისას, მის სტრეინჯვორტს უწევდა ყოველ წუთს გაჩერებულიყო და ვინმესთვის მშვიდობიანი დილა ესურვებინა ან ვინმეს ჯანმრთელობის მდგომარეობა მოეკითხა. როდესაც სურსათის მაღაზიაში შევიდა, დახლებთან და თაროებთან შეკრებილი უამრავი ადამიანი შებრუნდა მისკენ, რომ ხელი დაეჭინათ, მისალმებოდნენ და მშვიდობიანი დილა ესურვებინათ მისთვის.

– თქვენც მშვიდობიანი დილას გი-

სურვებთ, ბატონო ლუის, – თქვა მის სტრეინჯვორტმა.

– დილა მშვიდობისა, – თქვა ბატონმა ლუისმა და ზრდილობიანად დაუმატა. – მშვენიერი დღეა.

– დიახ, მშვენიერი დილაა, – თქვა მის სტრეინჯვორტმა. – ხბოს ნეკნები მომეცით, ბატონო ლუის. ხბოს მჭლე ხორცი. ეს მარწყვი არტურ პარკერის ბალიდანაა? წელს ადრეულად დამნიფებულა.

– დღეს დილით მოიტანა არტურმა, – თქვა ბატონმა ლუისმა.

– ყუთი დამჭირდება. – თქვა მის სტრეინჯვორტმა. ბატონი ლუისი აღელვებული ჩანდა. მის სტრეინჯვორტმა იფიქრა, შემდეგ ცოტა იყოყმანა და ბოლოს დაასკვნა, რომ ბატონი ლუისი მარწყვის გამო ნამდვილად არ იღელვებდა ასე. საკმაოდ დაღლილიც ჩანდა. – და კიდევ კატის საჭმელი და, ვფიქრობ, პომიდორიც.

ბატონმა ლუისმა დახლებზე ხმის ამოუღებლად მოუყარა თავი მის სტრეინჯვორტის შეკვეთას და ელოდებოდა. მის სტრეინჯვორტმა მას ცნობისმოყვარე მზერით შეხედა და თქვა: – დღეს სამშაბათია, ბატონო ლუის. დაგავინყდათ ჩემთვის შეგეხსენებინათ.

– მართლა? მაპატიეთ.

– ნარმოიდგინეთ, თქვენ დაგავინყდათ ჩემთვის შეგეხსენებინათ, რომ სამშაბათობით ყოველთვის ჩემს საყვარელ ჩაის ვყიდულობ, – თავაზიანად თქვა მის სტრეინჯვორტმა. – 250 გრამი ჩაი, თუ შეიძლება, ბატონო ლუის.

– მეტს ხომ არაფერს ინებებთ? – ჰკითხა ბატონმა ლუისმა.

– დიახ, ბატონო ლუის, გმადლობთ. მშვენიერი დილაა, არა?

– ნამდვილად, – თქვა ბატონმა ლუისმა.

მის სტრეინჯვორტი ცოტათი ჩაინია, რომ გზა მისის ჰარპერისთვის დაეთმო. – დილა მშვიდობისა, ადელა, – თქვა მისის ჰარპერმა. – დილა მშვიდო-

ბისა, მართა, – უპასუხა მის სტრეინჯვორტმაც.

– შაქრის ფხვნილი გამითავდა, – აუხსნა მისის ჰარპერმა. ხელი ცოტათი უკანკალებდა, როცა უბის წიგნაკს ხსნიდა. მის სტრეინჯვორტმა გახედა და ჩაფიქრდა, ნეტავ სათანადოდ თუ უვლიდა თავს მისის ჰარპერი. აღარ არის ისეთი ახალგაზრდა, როგორც ადრე. კარგი მატონიზირებელი სასმელი ნამდვილად არ აწყენდა.

მაღაზიიდან სურსათის შეკვრით გამოსული მის სტრეინჯვორტი მოაბიჯებდა ნათელი დღის შუქზე და ნუთით შეჩერდა, რომ კრეინების ბავშვისთვის დაეხედა და გაეღიმა. სითბოთი უცქერდა ჩვილისთვის საგულდაგულოდ მოქარგულ ქუდს, ეტლის მაქმანებიან გადასაფარებელს და ფიქრობდა, რომ დონ და ჰელენ კრეინები ყველაზე გადარეული ახალგაზრდა მშობლები იყვნენ, ვინც კი ოდესმე ენახა.

– ეს პატარა გოგონა რომ გაიზრდება, აუცილებლად მდიდრულად იცხოვრებს მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში, – უთხრა მან ჰელენ კრეინს. ჰელენმა გაიცინა. – ჩვენც სწორედ ასე გვინდა ვაგრძნობინოთ მას თავი, პრინცესასავით, – უპასუხა ჰელენმა.

– პრინცესები ზოგჯერ დიდი ხათაბალები არიან, – მშრალად თქვა მის სტრეინჯვორტმა. – რამდენი წლისაა მისი უდიდებულესობა?

– შემდეგ სამშაბათს ექვსი თვის იქნება, – თქვა ჰელენმა და აღტაცებით დახედა თავის შვილს. – თუმცა ბოლო დროს მასზე ვნერვიულობ. ხომ არ ფიქრობთ, რომ უფრო მეტად მოძრავი უნდა იყოს? მაგალითად, უკვე ხომ უნდა ცდილობდეს წამოჯდომას?

– უმნიშვნელო და წარმოსახვითია თქვენი ნერვიულობა, – მხიარულად აღნიშნა მის სტრეინჯვორტმა.

– ის უბრალოდ ნელი მეჩვენება, – თქვა ჰელენ კრეინმა.

– სისულელეა. ყველა ბავშვი სხვა-

დასხვანაირია. ზოგი უფრო სწრაფად ვითარდება, ზოგიც უფრო ნელა.

– სწორედ ამას ამბობს დედაჩემიც, – გაეცინა ჰელენ კრეინს და ამჯერად ცოტაოდენი სირცხვილის გრძნობით დახედა პატარას.

– ალბათ, ახალგაზრდა დონი კიდევ იმაზე ნერვიულობს, რომ მისი ქალიშვილი უკვე ექვსი თვისაა და ჯერ კიდევ არ უსწავლია ცეკვა, ხომ?

– არა, ეს ყველაფერი მასთან არ მიხსენებია. ალბათ, ის ისეთი ძვირფასია, რომ ყველაფერზე ვნერვიულობ, რაც მას ეხება.

– ჰოდა, ახლავე მოუბოდიშე პატარას, – თქვა მის სტრეინჯვორტმა. შემდეგ თავისთვის ჩაიცინა, თავი დაუქნია ჰელენს და გზა განაგრძო მზიანი ქუჩისკენ. ჯერ ბილი მურთან შეჩერდა, ჰკითხა, თუ რატომ არ იყო მამამისის ახალი ბრძღვიალა მანქანით გამოსული. შემდეგ რამდენიმე ნუთით ბიბლიოთეკარ მის ჩანდლერს გაუბა საუბარი ახალი ნოველების შეკვეთასა და მათი მისაკუთრებისთვის თანხის გადახდაზე. მის ჩანდლერი ძალიან გონებაგაფანტული ჩანდა. როგორც ჩანს, ის სულ სხვა რამეებზე ფიქრით იყო გართული. მის სტრეინჯვორტმა ისიც შეამჩნია, რომ მის ჩანდლერს საკუთარი ვარცხნილობა დიდად არ ადარდებდა ამ დილას. მის სტრეინჯვორტმა მიძიმედ ამოიხვნეშა. სძულდა უწესრიგობა.

მის სტრეინჯვორტი ფიქრობდა, რომ ბოლო დროს ბევრი ადამიანი ჩანდა შეწუხებული. ჯერ კიდევ გუშინ სტიუარტების თხუთმეტი წლის ქალიშვილი ლინდა ტირილით გამოვარდა თავისი ეზოდან და სკოლამდე ასე ტირილით მივიდა, სულ არ ადარდებდა, ვინმეს რომ დაენახა. ქალაქში ხალხი ფიქრობდა, რომ ჰარისების ბიჭთან მოუვიდა ჩხუბი, თუმცა გაზიანი სასმელების მაღაზიში ერთად გამოჩნდნენ, როგორც ყოველთვის, სკოლის შემდეგ. ორივეს პირქუში, დაღვრემილი და ცივი სახე ჰქონდა.

თავის სახლს ძალიან ცოტა მანძილი-  
ლა ამორებდა, როცა საკუთარი ვარდებ-  
ის სურნელი იგრძნო და ნაბიჯს აუჩ-  
ქარა. ვარდების სურნელი სახლს ნიშ-  
ნავდა, სახლი კი ნიშნავდა მის სტრეინ-  
ჯვორტის სახლს ფლეზენტ სტრიტზე.  
სახლთან მისული მის სტრეინჯვორტი  
ცოტა ხანს ჭიშკართან შეჩერდა და,  
როგორც ყოველთვის სჩვეოდა, სია-  
მოვნებით გასცქეროდა თავის სახლს.  
სახლს, რომლის გაზონსაც შემოხვეოდა  
წითელი, ვარდისფერი და თეთრი ვარ-  
დები. ვერანდას კი ჰიბრიდული ჯიშის  
წვრილღეროიანი ვარდები შემოხვეო-  
და ლიანებივით. უცქერდა მის სტრე-  
ინჯვორტი დაუჯერებლად აკურატულ,  
მონესრიგებულ სახლს, მის მშვენიერე-  
ბას, მის სისუფთავესა და სითეთრეს...  
მის სტრეინჯვორტი კიბეებზე ავიდა,  
წინა კარი გასაღებით დაკეტა და სამ-  
ზარეულოში შევიდა ყველა პროდუქტის  
თავის ადგილას დასადებად. საკუთარ  
თავთან ჰქონდა დისკუსია, დაელია თუ  
არა ჩაი, მაგრამ იფიქრა, რომ თითქმის  
შუადღე იყო და მას აუცილებლად მო-  
შვივდებოდა და სწორედ მისი ნაყიდი პა-  
ტარა ხბოს ნეკნები მოუნდებოდა, თუ  
ახლა ჩაის დალევდა. ამის მაგივრად ის  
თავის ნათელ, ლამაზ სასტუმრო ოთახ-  
ში გავიდა... მის სტრეინჯვორტმა წი-  
თელი ვარდების ქოთანს ფანჯარასთან  
დაბალ მაგიდაზე დადგა. ოთახი ვარ-  
დის სურნელით გაიჟღინთა.

მის სტრეინჯვორტი კუთხეში ვინ-  
რო მერხს მიუახლოვდა და გასაღებით  
გააღო. წინასწარ არასოდეს იცოდა,  
როდის მოისურვებდა წერილების და-  
წერას, ამიტომ ფურცლებს ყოველთვის  
ამ მერხში ინახავდა და საკეტიტ კეტავ-  
და. მის სტრეინჯვორტის კრემისფერი  
საკანცელარიო ყუთი მძიმე იყო. ზემო-  
თა კუთხეში „სტრეინჯვორტის სახლი“  
ჰქონდა ამოტვიფრული, თუმცა, როცა  
მის სტრეინჯვორტს წერილის დაწე-  
რა მოუნდებოდა, ყოველთვის ფერად  
ფურცლებს იყენებდა – ვარდისფერს,

მწვანეს, ლურჯსა და ყვითელს. ქალაქ-  
ში ყველა ყიდულობდა ასეთ ფერად  
ფურცლებს უცნაური, არაოფიციალუ-  
რი წერილების ან საყიდლების სიისათ-  
ვის. ასეთი ფურცლების შესანახად ყვე-  
ლა ფურცლების შესაფერის კონვერტს  
იყენებდა მათზე ამონერილი რეცეპტე-  
ბის საგულდაგულოდ შესანახად, მათში  
უცნაური რამეების ჩასადებად ან სკო-  
ლაში წასაღები ლანჩის ყუთში ორცხო-  
ბილების შესანახადაც კი.

მართალია, მის სტრეინჯვორტი  
მერხში ბუმბულებიან მოოქროვილ სა-  
მელნე კალამს ინახავდა, წერილების  
დასაწერად ყოველთვის ფერმკრთალ,  
კარგად გათლილ ფანქარს იყენებდა,  
შემდეგ კი წერილებს ბავშვურ ბეჭედს  
ასვამდა. მიუხედავად იმისა, რომ ტექ-  
სტზე მთელი გზა ფიქრობდა, წუთით  
დაფიქრდა, სიტყვები კვლავ დააღა-  
გა და ვარდისფერ ფურცელზე დაწე-  
რა: „ოდესმე გინახავთ იდიოტი ბავშვი?  
ზოგ ადამიანს საერთოდ არ უნდა  
ჰყავდეს შვილები, ასე არაა?“

წერილით კმაყოფილი დარჩა. უყ-  
ვარდა, როცა ყველაფერს სწორად აკე-  
თებდა.

კიდევ ერთი წუთით დაფიქრების  
შემდეგ გადაწყვიტა, რომ კიდევ ერთი  
წერილის დაწერა სურდა, შესაძლოა,  
ამჯერად ქალბატონი ჰარპერისთვის,  
რომ ეს უკანასკნელი მის სტრეინ-  
ჯვორტის წერილების სხვა ადრესატებს  
არ ჩამორჩენოდა. ამჯერად მან მწვა-  
ნე ფურცელი აირჩია და წერას შეუდ-  
გა: „იცო, რაზე იცინოდა ყველა, როცა  
ხიდის კლუბიდან გამოხვედი ხუთმა-  
ბათს? თუ ცოლმა ყველაზე ბოლოს უნ-  
და გაიგოს სიმართლე?“

მის სტრეინჯვორტს არასდროს აინ-  
ტერესებდა ფაქტები. მისი წერილები,  
როგორც წესი, ეჭვებს ეყრდნობოდა.  
მაგალითად, ბატონი ლუისი ვერას-  
დროს წარმოიდგენდა, რომ მისი შვი-  
ლიშვილი დიდი რაოდენობით იპარავდა  
ფულს მაღაზიიდან, რომ არა მის სტრე-

ინჯვორტის წერილები. ბიბლიოთეკარი მის ჩანდლერი და ლინდა სტუარტის მშობლები ყოველგვარი ეჭვებისგან თავისუფლები გააგრძელებდნენ ცხოვრებას და ვერასდროს გაიგებდნენ, რომ მათ ახლოს შესაძლო ბოროტება დაძრწოდა, მის სტრეინჯვორტის წერილებს რომ არ აეხილა მათთვის თვალები. მის სტრეინჯვორტს ძალიან გაუკვირდებოდა ლინდა სტუარტსა და ჰარისების ბიჭს შორის რამე რომ მომხდარიყო, მაგრამ ვინაიდან ეშმაკს არ ეძინა და სამყაროში დაძრწოდა, ეს სწორედ მის სტრეინჯვორტის ვალი იყო, თავისი ქალაქი გამოეფხიზლებინა. მაგალითად, ქალბატონი ჩანდლერისთვის უკეთესი იყო ფიქრებსა და ეჭვებში ყოფილიყო იმის თაობაზე, თუ როგორ ან რით გარდაიცვალა ბატონი შილის პირველი მეუღლე, ვიდრე ამის შესახებ არაფერი სცოდნოდა. გარშემო იმდენი ბოროტი და ცოდვილი იყო, მხოლოდ მის სტრეინჯვორტი იყო უცოდველი მთელ ქალაქში. გარდა ამ ყველაფრისა, მის სტრეინჯვორტს უბრალოდ ძალიან უყვარდა წერილების წერა.

ერთი წუთის შემდეგ მან წერილს ადრესატის სახელი – „დონ კრეინი“ დაანერა და ვარდისფერ ფურცელზე დაწერილ წერილს ვარდისფერი კონვერტი შეუხამა. მეორე წერილი, რომელიც მწვანე ფურცელზე დაწერა, მწვანე კონვერტში ჩადო, „მის ჰარპერს“ დაანერა. შემდეგ ახალი იდეა მოუვიდა. ლურჯი ფურცელი აიღო და დაწერა: „ექიმებს ვერაფერს გაუგებ. გახსოვდეს, რომ ისინიც ისეთივე ადამიანები არიან, როგორებიც ჩვენ და ყველა დანარჩენით მხოლოდ ფული აინტერესებთ. დავუშვათ, შემთხვევით დანა გაუსრიალდათ ხელიდან. ასეთ შემთხვევაში ექიმი ბერნსი მიიღებდა თავის გასამრჯელოს და დამატებით თანხას თქვენი ძმისშვილისგან?“

ლურჯი წერილი და ასეთივე ფერის კონვერტის ადრესატი ქალბატონი

ფოსტერი იყო, რომელიც შემდეგ თვეში ოპერაციის გაკეთებას აპირებდა და, რომელსაც ძმისშვილი უფინანსებდა. კიდევ ერთი წერილის დაწერას აპირებდა სკოლის სამეურვეო საბჭოს დირექტორისთვის. აპირებდა ეკითხა, საიდან ჰქონდა მისი ქიმიის მასწავლებლის – ბილი მურის მამას ახალი კაბრიოლეტის ფული, მაგრამ მიხვდა, რომ ერთდროულად ამდენი წერილის დაწერით დაიღლებოდა. დღეისთვის ეს სამი წერილიც საკმარისი იყო.

ბოლო წელს მის სტრეინჯვორტი ორ ან სამ წერილს თუ წერდა დღეში, ზოგჯერ კი ერთი თვის განმავლობაში მხოლოდ ერთი წერილი შეიძლება დაეწერა. წერილებზე პასუხი არასდროს მოსდიოდა. რა თქმა უნდა, ის ხომ თავის სახელს არასდროს აწერდა. ქალაქი, სადაც ცხოვრობდა, სუფთა და განწმენდილი უნდა ყოფილიყო, ვინაიდან გარშემო ყველა ავხორცი, ბოროტი და დეგრატირებული იყო და თვალყურის დევნება სჭირდებოდა. მსოფლიო ასეთი უზარმაზარი იყო და მხოლოდ მის სტრეინჯვორტი იყო დარჩენილი, ვისთანაც ეშმაკს ჯერ კიდევ არ მიეკითხა. მის სტრეინჯვორტმა ღრმად ამოისუნთქა, მერხი კვლავ გასაღებით ჩაკეტა და თავისი წერილები დიდ შავ ტყავის უბის ნიგნაკში ჩაალაგა, რათა სალამოს გასეირნების დროს ფოსტით გაეგზავნა ადრესატებისთვის.

მშვენივრად შეწვა ხბოს ნეკნები, წვრილ ნაჭრებად დაჭრა პომიდორი, გაიმზადა ჩაი და მაგიდას მიუჯდა. იჯდა ფანჯარაში შემოჭრილ მზის თბილ სხივებში, გაჰყურებდა მის ბაღში გაშენებულ ვარდებს, ხელში კი მოვერცხლილი ფაიფურის გამჭვირვალე ფინჯანი ეჭირა. მის სტრეინჯვორტი კმაყოფილი იყო. დღეს სხვა არაფრის გაკეთებას აღარ აპირებდა.

ცოტა ხნით თვლემის შემდეგ თავის ბაღშიც წაიშუშავა სიცხისგან თავის გასართობად. შემდეგ ვახშამს შეუდგა.

ჭურჭლის გარეცხვის და სამზარეულოში ყველაფრისთვის თავისი ადგილის მიჩენის შემდეგ, ტრადიციულად, სალამოს სეირნობას შეუდგა, ილღიაში კი თავისი პატარა საფულე ამოიჩარა.

მხოლოდ ერთი ადგილი იყო ქალაქში, საიდანაც მის სტრეინჯვორტი წერილებს აგზავნიდა – ფოსტის ახალი ოფისი, წითელი აგურით ნაშენი და ვერცხლისფერი ასოებით მოკაშკაშე. მიუხედავად იმისა, რომ მას არასდროს არ აწუხებდა რაიმე განსაკუთრებული ფიქრი, წერილების საიდუმლოდ გაგზავნაში მისთვის დიდი აზრი იდო. რა თქმა უნდა, ჭკვიანური არ იქნებოდა, ისეთ დროს წასულიყო ფოსტაში, რომ ვინმეს დაენახა. ამიტომ ნაბიჯს აუჩქარა. სიბნელეც ნელ-ნელა ჩამოწვა, ჩამოეფინა ხეებს და ადამიანთა სახეებს. მის სტრეინჯვორტი კი, მიუხედავად სიბნელისა, არავის აერეოდა სხვაში. მისი ამოცნობა ყოველთვის ადვილი იყო, მისი წმინდანივით სიარულის მანერის და შრიალა ქვედაბოლოების წყალობით.

ფოსტათან ყოველთვის უამრავი ახალგაზრდა ირეოდა. ბავშვების უმრავლესობა მის სტრეინჯვორტის დანახვისთანავე

გაჩერდა, მისკენ შებრუნდნენ და თავმდაბლად მიესალმნენ. მის სტრეინჯვორტიც მიესალმა მათ და სიარული განაგრძო. საფოსტო ყუთი ფოსტის ოფისის კართან იდგა. მის სტრეინჯვორტი კართან იდგა და საფულეს ხსნიდა წერილების ამოსაღებად, როცა ლინდა სტუარტის ხმა გაიგო. საბრალო ლინდა კვლავ ტიროდა. მის სტრეინჯვორტი დიდი ინტერესით უსმენდა. ბოლოს და ბოლოს ეს მისი ქალაქი, მისი ხალხი იყო. თუ ვინმე გასაჭირში იყო ეს, პირველ რიგში, მას უნდა სცოდნოდა.

– ამის თქმა არ შემიძლია, დეივ, – ამბობდა ლინდა. ესე იგი ჰარისების ბიჭს





ესაუბრებოდა, როგორც მის სტრეინჯვორტმა დაასკვნა. – უბრალოდ, არ შემოძლია. ძალიან საზიზღრობაა.

– მაგრამ მამაშენი რატომ აღარ მადლევს შენთან მოსვლის უფლებას? კი მაგრამ, რა დავაშავე?

– ამის თქმა არ შემოძლია. ვერაფრით ვერ შევძლებ, გითხრა. როგორც ჩანს, ძალიან ბინძური, ბინძური გონება გაქვს.

მის სტრეინჯვორტმა ამოისუნთქა და გაბრუნდა. რამდენი ბოროტება იყო ადამიანთა შორის. ასეთი პატარა და ლამაზი ქალაქი და მაინც ამდენი ეშმაკი იყო ჩაბუდებული ადამიანებში.

თავისი წერილები საფოსტო ყუთში შეაწყურა. ორი მათგანი მასში ჩავარდა. მესამე წერილი კუთხეს აეკრო, შემდეგ კი ძირს მის სტრეინჯვორტის ფეხთან დაეცა. მან ეს ვერ შეამჩნია. დაღლილად შემობრუნდა და სახლის გზას გაუდგა. მას თავის მშვიდ საძინებელში მიეჩქარებოდა და ვერ გაიგონა, როგორ დაედევნა ჰარისების ბიჭი, რომ მისთვის ეთქვა, რაღაც დაგივარდათო.

– მოხუცი სტრეინჯვორტი ყრუვდება, – თქვა ჰარისების ბიჭმა და ხელში მის სტრეინჯვორტის წერილი ეჭირა.

– ეს დონ კრეინისთვისაა და ხომ არ მიმეტანა მისთვის, – ჩაიცინა ჰარისების ბიჭმა. – შეიძლება, ჩეკია ან რამე სხვა. ძალიან გაუხარდებოდა, ეს წერილი დღესვე რომ მიეღო და არა ხვალ.

– ჩააგდე საფოსტო ყუთში, შენ რატომ უნდა შეინუხო თავი სხვების გამო. – თქვა ლინდამ.

– მაინც ნაფულე, – თქვა ჰარისების ბიჭმა. – იქნებ მათთვის კარგი ამბავია. იქნებ, დღესვე სჭირდებათ რამე.

ლინდა და ჰარისების ბიჭი გზას მოუყვებოდნენ, თან მის სტრეინჯვორტის ვარდისფერი კონვერტი მიჰქონდათ.

მეორე დილას მის სტრეინჯვორტმა განსაკუთრებული სიხარულით გაიღვიძა, წამით დაფიქრდა, რატომ გრძნობდა ასეთ ძლიერ სიხარულს, მაგრამ შემდეგ გაახსენდა, რომ დღეს სამი ადამიანი გახსნიდა მის წერილს. შესაძლოა, თავიდან მძიმე ყოფილიყო ამ წერილების წაკითხვა, მაგრამ ბოროტება ადვილად ვერ განიდევნებოდა, განწმენდილ სულს კი არაფერი სჯობდა. სამზარეულოში ჩამოსვლისას ფიქრობდა, რომ პატარა ვაფლები არაჩვეულებრივი იქნებოდა საუზმისთვის ასეთ მშვენიერ მზიან დილას. შემოსასვლელ კართან წერილი შენიშნა და მის ასაღებად დაიხარა. დილის გაზეთი და ძალიან ნაცნობი მწვანე კონვერტი იყო. წუთით გაუნძრევლად იდგა და მწვანე კონვერტს აჩერდებოდა. ძალიან ჰგავდა მის ერთ-ერთ წერილს. „ჩემი ერთ-ერთი წერილი უკან დამიბრუნეს? არა, შეუძლებელია, ვერავინ გამოგზავნიდა უკან, რადგან ვერავინ გაიგებდა, სად უნდა გამოეგზავნა. აქ როგორ მოხვდა?!“

მის სტრეინჯვორტი ფლეზენტ სტრეიტის მის სტრეინჯვორტი იყო და ხელები საერთოდ არ უკანკალებდა, როცა მწვანე კონვერტიდან მწვანე წერილს იღებდა, შემდეგ კი ჩუმი ტირილი აუვარდა

„გარშემო მიმოიხედე. ერთ დროს ეს შენი ვარდები იყო“.

ინგლისურიდან თარგმნა

**მარიამ მერკვილაძემ**



## ელზა მორანტე

ელზა მორანტე (რომი, 1912 წ. 18 აგვისტო – 1985 წ. 25 ნოემბერი) – მწერალი, ესეისტი, პოეტი, მთარგმნელი. პრემია „სტრეგას“ პირველი მფლობელი რომანისთვის „არტუროს კუნძული“ (1957), ნორვეგიის წიგნის კლუბისა და ნობელის კომიტეტის მიერ მწერლების გამოკითხვით შედგენილ „ყველა დროის ას საუკეთესო წიგნში“ შესული რომანის, „ისტორიის“ ავტორი.

1936 წელს მას ალბერტო მორავიას აცნობენ, რომელთანაც 1941 წელს ქორწინდება. ამ პერიოდშივე ქვეყნდება მისი პირველი წიგნი „საიდუმლო თამაში“, რომელშიც უურნალებში დაბეჭდილი მოთხრობების მცირე ნაწილია გაერთიანებული. შემდეგ წელს გამოდის ზღაპრების წიგნი „ნაწნავებიანი კატერის ულამაზესი თავგადასავალი“, რომელიც მწერლის მიერვეა ილუსტრირებული.

50-იანი წლების დასაწყისში ელზა მორანტე იტალიის ტელევიზიასთან თანამშრომლობს, მოგზაურობს, წერს მოთხრობას „ანდალუზიური თავშალი“ და მუშაობს მეორე რომანზე, სახელწოდებით „არტუროს კუნძული“, რომელიც 1957 წელს „სტრეგას“ იმსახურებს. 1959 წელს ამერიკელ მხატვარ ბილ მოროუს გაიცნობს, რომელთანაც სასიყვარულო ურთიერთობას ამყარებს. 1962 წელს მეუღლეს საბოლოოდ შორდება და მალევე ბილ მოროუს ტრაგიკულ სიკვდილსაც იგებს.

მწერლისთვის შემდეგი წლები სიმშვიდით არ გამოირჩევა, მასზე ძალიან მოქმედებს საყვარელი ადამიანის სიკვდილით გამოწვეული სევდაცა და სიბერის შიშიც; ძალიან განიცდის ზოგადსაკაცობრიო პრობლემებსაც, რომლებზეც წერს მესამე ცნობილ რომანს, სახელწოდებით „ისტორია“ (1974).

1976 წელს იწყებს უკანასკნელ რომანს „არაკოელი“, რომელსაც, ფიზიკური ტრავმის გამო, მოგვიანებით, 1982 წელს გამოსცემს. ოპერაციის შემდეგ მწერალი ფეხით სიარულის უნარს კარგავს და სიცოცხლის უკანასკნელ წლებს საწოლში ატარებს. 1983 წლის აპრილში, გაზის ინტოქსიკაციით თვითმკვლელობას ცდილობს, მაგრამ მოსამსახურე ქალის ჩარევის შედეგად სავალალო მიზანს ვერ აღწევს. ხელახალი ოპერაციის შემდეგ საავადმყოფოში რჩება, სადაც ინფარქტით, 1985 წლის 25 ნოემბერს გარდაიცვალა.

## ღარიბული ეკლესია

სოფლის მაღალ, მოშიშველებულ ადგილას ადრე ეკლესია იყო. სალოცავი ერთ უბრალო ოთახს მოიცავდა მხოლოდ და საკურთხეველთან მშრომელი კაცის ხელით გამოთლილი ხის ქანდაკება იდგა. ეს უბრალო ქანდაკება, რომელიც ნეტარ ღვთისმშობელსა და ბავშვს ასახავდა, მორწმუნეებს ძალიან მოსწონდათ და რწმენის გაღრმავებაში ეხმარებოდათ. მიუხედავად სოფლის სიღატაკისა, საკურთხეველთან სანთლები მუდამ ენთო და ხალხი ღმერთსა

და ღვთისმშობელს სუფთა გულით უგალობდა. სანთლებთან ერთად, მინდვრის ყვავილების თაიგულიც იდო, აი, ისეთი, მთაზე რომ იზრდება და ყიდვა არ სჭირდება. ყოველ დილას მათ მოხუცი გლახა ცვლიდა, რომელიც მერე ეკლესიის ზღურბლთან იკუნტებოდა და მონყალებას ითხოვდა. მოხუცი ისეთი უბრალო და გულუბრყვილო იყო, რომ ხალხს სულელად მიაჩნდა, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავდა. მის ცისფერ, თითქმის დაბრმავებულ თვალებში სიმშვიდე და კმაყოფილება მაინც ჩანდა. მოხუცი საკურთხეველთან მიდიოდა, აცახცახებული ხელებით დაკრეფილ ყვავილებს დებდა და მოკრძალებით ისახავდა პირჯვარს.

ერთხელ, ერთ მდიდარ კაცს, რომელიც უთვალავი ნახირისა და ფარის პატრონი იყო, შვილი გაუხდა ავად. ქალაქიდან ცნობილი ექიმები კი მოიყვანეს, მაგრამ ამაოდ, ბიჭს ვერაფერი უშველეს. დრო გადიოდა და ბავშვის მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა. მისი გადარჩენის იმედიც აღარ რჩებოდა, მაგრამ დედამ ერთ ღამეს უცნაური სიზმარი ნახა: ნათელით მოცული, მომღიმარი ღვთისმშობელი გამოეცხადა. ქალი, როგორც კი გამოიღვიძა, სიზ-



მარზე დაფიქრდა და, აზრს რომ ჩან-  
ვდა, სული გაუთბა. მიუხედავად ბევრი  
მონინაალმდეგისა, შვილის სანოლს ხე-  
ლი მოჰკიდა და ეკლესიისკენ მიმავალ  
გზას ლოცვა-ლოცვით აუყვა. სალო-  
ცავში რომ შევიდა, პატარამ, რომელიც  
აქამდე უმოძრაოდ იწვა, თვალები ნელ-  
ნელა გაახილა და ირგვლივ მიმოიხედა.  
იმ წუთებში საკურთხეველს სარკმლი-  
დან შემოსული მზის სხივები ანათებდა  
და ეკლესია ოქროსფრად ბრწყინავდა.  
ეს ოქროსფერი თითქოს უმანკო სულს  
ამხიარულებსო, პატარამ გაიღიმა და  
მის ლოყებს ვარდისფერიც მოედო. დე-  
და მუხლებზე დაეცა და უფალს მთელი  
გულით გადაუხადა მადლობა. ბავშვს  
მოდუნებულ კიდურებში ძალა დაუბ-  
რუნდა, სიცოცხლით აივსო, სანოლზე  
წამოჯდა და წამოიძახა: „დილა მშვი-  
დობისა, დედა! რატომ ტირი?“

ამ სასწაულს ყველა შეესწრო და  
ხმაც უცებ გავარდა შორს. საიდან  
არ მოვიდა ხალხი, შორეული ქალაქე-  
ბიდანაც კი. ეკლესიაში ტევა არ იყო,  
ღვთისმშობელს ცოდვების შენდობასა  
და შეწყალებას სთხოვდნენ. შემონი-  
რულობებმაც იმატა და ეს ძველი, უბ-  
რალო ეკლესია ოქროთი და ძვირფასი  
ქვებით აივსო. საკურთხეველთან ლარ-  
ნაკებში ყოველდღე ულამაზესი ყვავი-  
ლები იდებოდა, რომელთა შორის მათ-  
ხოვრის უბრალო თაიგული მოკრძალებ-  
ულად ჩანდა.

ერთ დილას, ეკლესიის მსახურმა,  
გაუნათლებელმა და უხეშმა კაცმა, სა-  
კურთხეველთან ყვავილებით ხელში  
მისული მოხუცი გლახა რომ დაინა-  
ხა, გაბრაზდა და უმსგავსი სიტყვებით  
გააგდო გარეთ: „ღვთისმშობელს შენი  
ყვავილები არ სჭირდება, სულელო!  
ვერ ხედავ, რომ სულ მდიდარი ადამიან-  
ები მოდიან აქ საჩუქრებით? იქნებ და  
მათი მოტანილის მოპარვა გინდა?! ახ-  
ლავე წადი აქედან!“

მოხუც მათხოვარს მსახურის ძალი-  
ან შეეშინდა და სალოცავი დატოვა. იმ

დღის შემდეგ საკურთხეველთან აღარ  
მისულა და გულიც სევდით აევსო, თვა-  
ლებში სიცოცხლე ჩაუქრა; ღვთისმშობ-  
ლის საყვედურს შინაგანად კი გრძნობ-  
და, რომელიც ეკლესიაში დაბრუნებას  
სთხოვდა, მაგრამ მსახურის შიშით იქ  
შესვლას მაინც ვერ ბედავდა.

ერთხელაც ღვთისმშობლის სადი-  
დებლად სალოცავს უამრავი ადამიანი  
მოაწყდა. ყველას გრძელი სანთლები  
და ოქრო-ვერცხლით მოჭედილ-მოქარ-  
გული საჩუქრები ეჭირა. და აი, მლოც-  
ველების წინაშე კიდევ ერთი სასწაუ-  
ლი მოხდა: საკურთხეველთან ძვირფას  
ლარნაკებში ჩანცობილმა ყვავილებმა  
თავები ერთდროულად ისე დახარეს,  
თითქოს მოულოდნელად დაჭკნენო.  
ხალხი გაოცდა, მაგრამ მათმა გაოცე-  
ბამ კიდევ უფრო იმატა, ეს ყველაფერი  
მეორე და მესამე დღესაც რომ განმე-  
ორდა. ყველამ იფიქრა, ღვთისმშობელს  
ჩვენი ამდენი შემონირულობა აღარ სი-  
ამოვნებსო, მაგრამ, რატომ, ვერავინ  
ხვდებოდა. საგონებელში ჩაცვივდნენ  
და აღარ იცოდნენ, რა ექნათ. საკურ-  
თხეველთან დადებული ყვავილები  
დაღლილებივით ხრიდნენ თავებს და  
ინყენდნენ. მოხუცი მათხოვარი ეკლე-  
სიის ზღურბლთან ჯდომას არ წყვეტ-  
და, მაგრამ მსახურის შიშით საკურთხე-  
ველთან მისვლას ვერ ბედავდა. დრო  
გადიოდა და მისი გული უფრო და უფ-  
რო სევდიანდებოდა, თუმცა რწმენის  
ძალა მაინც ემატებოდა.

ერთ დილას ვერ მოითმინა და შიში  
დაამარცხა. მსახური ეკლესიიდან რომ  
გადიოდა, საკურთხეველს მიუახლოვ-  
და და წინასწარ მომზადებული პატარა  
თაიგული ქანდაკების წინ დადო. მსა-  
ხურმა მოიხედა და ეს ყველაფერი რომ  
დაინახა, მუქარის ნიშნად ხელი ზევით  
ასწია, მაგრამ მოულოდნელობისგან  
გაშეშდა: მათხოვრის თაიგულის დადე-  
ბისთანავე სხვა ყვავილები გამოცოც-  
ხლდნენ, თავები ასწიეს და მხიარულად  
შეიფერნენ. მიუხედავად გაუნათლებ-

ლობისა, ეკლესიის მსახურმა ეს რაღაცის ნიშნად მიიღო, მიუხედავად დაეცა და ღვთისმშობელს პატიება სთხოვა.

ამბავი ხალხში უცებ გავრცელდა. მათხოვრის პატივსაცემად ყველა მდიდრული საჩუქრით მოვიდა, მაგრამ მძიმე ყოფით მისუსტებული მოხუცი სკამზე ჩამოჯდა და, როცა ორლანი საგალობელს უკრავდა, თავი სამუდამოდ ჩაქინდრა.

ცხედარი ეკლესიის ეზოში დაასაფლავეს. როგორც კი მისი საფლავი მიწით დაიფარა, ზედ მაშინვე ვარდის ულამაზესი მცენარე აღმოცენდა.

მოხუცი საბოლოოდ ყველამ წმინდანად მიიჩნია და ღვთისმშობლის შუამავლად ჩათვალა. მისი სახელი არავინ იცოდა, არც სიცოცხლეში და არც სიკვდილის შემდეგ, ამიტომ ხალხმა უბრალოდ, წმინდა მათხოვარი შეარქვა. ღვთისმშობელი თხოვნას სწორედ მას უსრულებდა, ვისაც რწმენა გულში ნამდვილად ჰქონდა.

## წმინდა კიხე

კარგა ხანია, რაც სწავლა დავამთავრე. კაცი ვარ უკვე. სკოლის ამხანაგების უმრავლეს ნაწილზე არაფერი მსმენია. ზოგის შესახებ შეხვედრის ადგილებიდან და პრესაში გამოქვეყნებული სტატიებით თუ ვიგებ და ესეც ბევრია, თორემ ძირითადად არაფერი ვიცი. ისე, გავიგე, ზოგი დაქორწინებულა, ზოგი ადვოკატი გამხდარა, ზოგი გარდაცვლილა კიდეც. ვფიქრობ, რამდენიმესთვის ახალგაზრდულ ასაკში სიკვდილი მართლაც რომ გამოსავალი იყო, ერთადერთი გამოსავალი. ჩემი ამხანაგის, ფილიპო მორონის გარდაცვალების შესახებ რომ გავიგე, არც გამკვირვებია, მაგრამ კი გავიფიქრე, ნეტა, სამოთხეში წავიდა თუ ჯოჯოხეთში-მეთქი?

ტიფით გარდაცვლილა იმ პერიოდში, უნივერსიტეტში შესასვლელად რომ

ემზადებოდა. მასთან დაკავშირებით რამდენიმე ეპიზოდი მახსოვს...

გამხდარი ბიჭი იყო, სერიოზული, სახელმწიფო მუშაკის ერთადერთი შვილი, დედით ობოლი. მისი მამა, პატარა, ჩქარი კაცი, ქუდს მაშინაც იხდიდა, როცა ჩვენ, სკოლის მოსწავლეებს გვესალმებოდა. კარგად ჩანდა, რომ მამა-შვილს ერთმანეთის მიმართ ნდობა და ურთიერთგაგება აკავშირებდა. ბიჭი ჩვენს კლასში ყველაზე კარგად სწავლობდა, მიუხედავად იმისა, რომ ნიჭით ბევრს ვერ სჯობდა. ეტყობოდა, მამამისის პატივსაცემად რომ სწავლობდა, რომლისგანაც დიდ ხელშეწყობას ხედავდა და საბოლოოდ, მის გვერდით ამოდგომასაც გეგმავდა. მორცხვობისა და სუსტი კუნთების გამო ამხანაგები მას დავცინოდით, აბუჩად ვიგდებდით, თუმცა თავისი მოკრძალებული ხასითით ჩვენს ყურადღებას ნაკლებად იქცევდა და ხშირად არც ვუყურებდით, თანაც სულ წიგნებში იყო თავჩარგული. ჩვენთან ურთიერთობას არ ცდილობდა, რადგან, ვფიქრობ, კლასში ყველა შეძლებული ოჯახიდან რომ ვიყავით, მას დიდ კომპლექსს უქმნიდა. ფილიპო თავს ჩვენთან შედარებით დაბალ საფეხურზე გრძნობდა, რაც ასევე კარგად ჩანდა მის ქმედებებში, ახლომხედველ თვალებსა და უნდობელ, მაგრამ ამავე დროს, თავაზიან ლიმილში. მისი გულუბრიყვილო ქცევა და სუფთა სული ჩვენს ბოროტებას რაღაცნაირად აქარწყლებდა, აქრობდა.

მთავარი მიზეზი, რის გამოც მასზე კეთილი განზრახვით იცინოდნენ, გოგოებთან სასიყვარულო თავგადასავლების არქონა იყო. ჩვენი ჯგუფი 16-დან 18 წლამდე ასაკის ბიჭებისგან შედგებოდა და სასიყვარულო ისტორიებით თავის მონონება მეტ-ნაკლებად ყველას შეგვეძლო, მაგრამ ვიცოდით, ვხვდებოდით, რომ ფილიპო ტუჩებით ქალის ლოყაზეც კი არ იყო შეხებული და მეტიც, ხუმრობითაც არ იყო ვინ-

მესთან დალაპარაკებული, როგორც ჩვენ ვაკეთებდით ხოლმე სკოლის გასასვლელში; პირიქით, თუ რომელიმე მათგანი რამეს ჰკითხავდა, ნითლდებოდა, იბნეოდა და უპასუხოდ შორდებოდა. ჩვენ მას სიცილს ვაყრიდით, ის კი სწავლული კაცივით გზას აგრძელებდა, მიდიოდა და ხელით წიგნების მსხვილი შეკვრა მიჰქონდა, რომლიდანაც ცალ მხარეზე ღვედი ეკიდებოდა.

ერთ დღეს ისეთი რამ გავიგეთ, რომ ყველა გაოცებული დავრჩით:

მე და ჩემი განუყრელი მეგობარი სან ჯოვანის ქუჩებში ვსეირნობდით. „წმინდა კიბესთან“ რომ მოვხვდით, რომელზეც მლოცველები ჩოქვითა და შიშველი ფეხებით ადიოდნენ, პირველი საფეხურის ძირას ჩვენი ყურადღება გაცვეთილმა, ახალგაზრდისთვის შესაფერისმა ფეხსაცმელმა მიიპყრო.

– აი, მორონის ფეხსაცმელი! – წამოვიძახე სიცილით.

ჩვენ ისინი კარგად ვიცოდით. ფილიპო მორონის უჩვეულოდ პატარა ხელები და ფეხები ხშირად გასართობს წარმოადგენდა კლასში. ფეხსაცმელი მას მხოლოდ ერთი გააჩნდა, თეთრი, საზაფხულო, მაგრამ მერე შავად ცუდად შეღებილი. თასმები თეთრად ჰქონდა დარჩენილი. ქვედა მხარეს, შავი რალაც უცნაურ ფერში იყო გადასული. სწორედ, ამიტომ არ გაგვჭირვებია მისი ფეხსაცმლის ამოცნობაც.

– შეხედე! – მაშინვე გამარჯვებული სახით დავამატე.

– შეხედე, ზევით მორონია! – წამოიძახა მეგობარმაც.

ავიხედეთ და ამხანაგის პატარა, ფეხშიშველა, დაჩოქილი ფიგურა დავინახეთ. თითქმის კიბის თავზე იყო უკვე მისული, იქ, საიდანაც მლოცველებს შეიძლებოდა მრავალფეროვანი სანახაობისთვის გადმოეცლოთ თვალი. ძალიან გაგვიკვირდა, ასეთი რამ რომ ვნახეთ. გაოცებულნი ჯერ გავჩერდით, მერე კი ერთმანეთთან შეთანხმებით

ფეხსაცმელი ავიღეთ და კიბის მოსაზღვრე კედლის უკან დავიმალეთ. დიდი ხნის ლოდინის შემდეგ ფილიპოც ჩამოვიდა. თავი შორს დატოვებული კიბის წვერისკენ მიაბრუნა, პირჯვარი გადაინერა და შავი კრიალოსანი ჯიბეში ჩაიღო. ფეხსაცმლის ძებნას რომ მოჰყვა, ჩვენ კედლის უკან სიცილით კინალამ დავიხოცეთ. სახეზე გაფითრებული ფილიპო გამალებით ეძებდა და ვერ პოულობდა. ბოლოს, სამალავიდან გამოვხვდით და ერთხმად შევძახეთ:

– ჩვენთვისაც ილოცე?

საწყალი, როგორც ქურდს შეისწრებენ პარვისას, ისე განითლდა, თან დარცხვენითად გაილიმა.

– მაღლის მისაღებად ვილოცე, – თქვა.

რადგანაც ჩვენ, ორივე რელიგიისადმი პატივისცემით ვიყავით აღზრდილი, მის რწმენაზე აღარ გვიცინია, მაგრამ რომ ვკითხეთ, საქმე რა მაღლს ეხებათქო, პასუხის გაცემა აღარ მოინდომა. ისე ნითლდებოდა და ფითრდებოდა, რომ კინალამ შეგვაშინა.

გამოცდები ახლოვდებოდა და ოჯახის წევრებმა, ჩემს ცოდნას რომ არ ენდობოდნენ, ფილიპო მორონისთან ერთად სწავლა მირჩიეს, რომლის ნიჭიერების სახელი ოჯახიდან ოჯახში გადადიოდა. მის მოკრძალებულ სახლში ყოველ შუადღეს მიწევდა მისვლა. მამამისი იმ დროს მუშაობდა და შინ მხოლოდ მაშინ ბრუნდებოდა, როცა მე სახლში მივდიოდი და ნახვისას ერთი კარგად წამარტყამდა ხოლმე კეფაში ხელს დასამშვიდობებლად. კარს მოსამსახურე გოგო მიღებდა, რომელიც, ჩვენთან შედარებით, ცოტა ახალგაზრდა იყო.

გოგო მაღალი იყო, მოშვებული აღნაგობით მსხვილ ფეხებზე; მუქი ქერა თმები კეფასთან მსუბუქად ჰქონდა შეკრული. ძველებულ, მადონას ნახატს ჩამოჰგავდა, განსაკუთრებით, თვალების ფორმით; ცისფერი, გაშტერე-

ბული თვალეები იმხელა ჰქონდა, რომ მთელი შუბლის სიდიდე ეკავა. პატარა, ბავშვური ხმითა და ქცევებით გოგომ პირველივე მისვლისთანავე გამაკვირვა. ფილიპოს ისე ეპყრობოდა, თითქოს თვითონ ყოფილიყო მისი პატრონი და არა მოსამსახურე, ანუ ფილიპო კი არ აძალევედა მას დავალებებს, გოგო ეძახდა სამზარეულოში რალაც საქმის გასაკეთებლად, როგორც იყო, მაგალითად: კარადის განევა, ტომრებიდან ნახშირის გადმოყრა... ახლო ოთახიდან მესმოდა, როგორ საყვედურობდა:

– მიდი, სათვალისანო ბეცო, გააკეთე! რა პატარა მკლავები გაქვს, ობობა მგონიხარ!

ზოგჯერ პროფესორსაც ეძახდა, მაგრამ დასაცინად, რა თქმა უნდა.

ერთხელაც, საუბედუროდ, მელანინ დაიქცა და გოგომ ისეთი მრისხანე თვალეებით შეხედა ფილიპოს, რომ საცოდავი ნერვიულობისგან განითლდა და სულ ტუჩებმა უწყო ცახცახი. მერე, ყველაფრის განმენდაზე მე ვიზრუნებო, სწრაფად უთხრა და ლაქების წმენდას გაზეთებითა და ნაჭრებით ისე შეუდგა, თითქოს თვითონ ყოფილიყო მოსამსახურე.

მე მას საყვედური ვუთხარი, ასე მორჩილად რომ იქცეოდა:

– რატომ არ დასვამ თავის ადგილას?! როგორ აძლევ ნებას იმ ვულგარულ მოსამსახურეს, მსგავსი რამეები გითხრას?!

– არ არის ვულგარული!.. – მიპასუხა და განითლდა.

ისე შეშინებული და განანწყენებული სახე შეექნა, რომ მაშინვე მივხვდი, შეყვარებული იყო.

მაღე ეს ფაქტიც მოხდა: ერთ დღეს მოსამსახურე გოგო ყურებზე ორი დიდი ბრჭყვიალა, ძველებური სტილის საყურეებით გამოჩნდა.

– ელეგანტური საყურეებია! – მოვუნონე.

მან კი, კმაყოფილმა, თავი დახარა, არაფერი მითხრა. მოგვიანებით, გასასვლელში ხმა გავიგონე, კარში ვილაცამ გასაღები გაუყარა. ფილიპოს მამა იყო. გოგომ გაიგონა თუ არა, საყურე მაშინვე მოიძრო და წინსაფრის ჯიბეში ჩაიდო.

– რატომ იძრობ? – ვკითხე გაოცებულმა.

მან გაიცინა. ფილიპომ კი თვალეებით მანიშნა, რომ გავჩუმებულიყავი; მოგვიანებით ყველაფერს აგისხნო, – ჩამჩურჩულა.

აშკარა იყო, ჩემთან გულის გადაშლა გადაენწყვიტა. მართლაც, როგორც კი მარტო დავრჩით, ამიხსნა, ის საყურე დედაჩემის დატოვებული ერთადერთი სამკაულია; უჯრიდან მალულად ამოვიღე და გოგოს ვაჩუქე, ამიტომ ავედი მაშინ „წმინდა კიბეზე“, ვლოცულობდი, უარი რომ არ მიმელო. ძალიან მიყვარს და სხვანაირად ამის თქმას ვერ ვახერხებო. კარგად ჩანდა, ფილიპოს გოგოზე ლაპარაკი თავბრუს რომ ახვევდა. მთელი მონდომებით მთხოვა, ეს საიდუმლო არავისთვის მეთქვა.

– დაიფიცე, ჩემო ძმაო, დაიფიცე! – მითხრა.

მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ, მასში რალაცნაირი ცვლილება შევნიშნე. მე ყველაზე ადრე მივხვდი ამას, ფერმკრთალი და უხორცო მეჩვენა. კარგად ჩანდა, რომ მხოლოდ სწავლა არ იყო ამის მიზეზი. ისე ძლიერ ნერვიულობდა, რომ ხშირად, უბრალო რალაცის თქმაზეც ტუჩები უცახცახებდა, გეგონებოდათ, ტირისო. სწავლისთვის თავს ძალას ატანდა და ისე აკეთებდა ყველაფერს, თითქოს მაღალი მთის გადალახვა ესაჭიროებო. რამეს რომ ვკითხავდი, ახალი გამოღვიძებულივით მპასუხობდა, დაბნეული და ფიქრებში ჩაფლული იყო. მაშინვე მივხვდი, რომ სიყვარულისთვის იტანჯებოდა. ვკითხე რალაც, მაგრამ იმის მაგივრად, რომ ჩემთვის გული გადაეხსნა, როგორც მა-

შინ, ტანჯვის მიზეზის გამხელა აღარ მოინდომა. არც დამიგვიანებია მომხდარის გაგება.

ერთ დღეს ფილიპოს სახლს რომ მივუახლოვდი, დავინახე, ის გოგო ვილაც ჩაფსკვნილ ბიჭს ელაპარაკებოდა. ბიჭს მსხვილი კეფა, ყელი და შიშველი მკლავები უჩანდა; თვრამეტ წელზე მეტი არ ეტყობოდა და ბავშვურთან ერთად სერიოზული იერიც დაჰკრავდა; ქერა, ხშირი თმა და ცისფერი თვალები ჰქონდა; მუქი ფერი კი, რა თქმა უნდა, მზეზე ყოფნით იქნებოდა გამონწვეული. მასთან დამშვიდობებისას, გოგო ფეხის წვერებზე აინია, თავი ცალ მხარეზე გადახარა, მისი თმის ერთ კულულს თითით შეეხო, ზედ დაიხვია და ღიმილით აკოცა.

ამასობაში მე დავაკაკუნე. ფილიპომ კარი რომ გააღო, სამივე დავგინახა. გოგო, თითქოს არაფერი ხდებო, ყოველგვარი მორიდების გარეშე, თავანული შევიდა სახლში. ჩემი მეგობარი სახეზე ანითლდა და სიტყვაც არ უთქვამს, მაგრამ, როცა ჩვეული გაკვეთილი დავინწყეთ, მოულოდნელად კი გასკდა. ენის ბორძიკით მითხრა, შენ, ბევრი რამე იცი უკვე და ახლა ყველაფერი ბოლომდე უნდა გაიგო. მოკლედ, გადწყვეტილი ჰქონდა, ის ახალგაზრდა თავიდან მოეშორება: გოგოს სახლამდე ყოველ საღამოს მიაცილებდა, ამასობაში ბიჭს თავს მეგობრად მოაჩვენებდა, ერთ ჭიქა ღვინოსაც შესთავაზებდა, რომელშიც მანამდე მომაკვდინებელ შხამს ჩაყრიდა.

ფილიპომ, როგორ ჩემს ერთადერთ მეგობარს, თუ გინდა საქმეში მონაწილეობის მიღებაო, მკითხა. ეტყობოდა, ეს ყველაფერი კარგა ხნის დაგეგმილი ჰქონდა. მე გულში კი გამეცინა, მაგრამ დავმალე, მას არ ვაგრძობინე.

– მოკვლა? – ვუთხარი. – გაგიყდი? რაში გჭირდება? დაგაპატიმრებენ და მთელი ცხოვრება ციხეში მოგინევს ყოფნა. ის გოგო ამისთვის მაინც არ შე-

გიყვარებს. ლალატისთვის ვინმეს მოკვლა მაგარია, ხომ იცი?! თუ კაცი ხარ, წადი და მასთან იჩხუბე. გოგო გამარჯვებულს აირჩევს ბოლოს. ნამდვილი მამაკაცი ქალის გრძნობებს ასე მოიპოვებს და არა, მოკვლით. – ამ სიტყვებით შევუცვალე ის ნერვიული ეიფორია.

– ვიცი ადგილი, სადაც მუშაობს. მშენებლობაზეა, – მითხრა.

– ჰოდა, წადი! – ვუბიძგე, თან შევთავაზე, იქამდე მეც წაგყვები-მეთქი. შევამჩნიე, ჩემს სიტყვებზე, მისი ყურები და ცხვირის ნესტოები მაღლა როგორ აინია, როგორც კურდღლები აკეთებენ ხოლმე მათ გალიასთან მიახლოებისას.

– წავედით! – სიბრაზით წამოიძახა მან და გზას გავუდექით.

ისე მიაბიჯებდა, როგორც ნავი აღელვებულ ზღვაში. მე, მომავალი ცუდი ამბის მოლოდინში, მშენებლობიდან ორასი მეტრის დაშორებით მაინც შევჩერდი და დავიშალე.

– ცხვირს მიუნაყავს... – ვიფიქრე. – შეიძლება არა, მაგრამ სიბრაზე ზოგჯერ საოცრებებსაც ახდენს, მასავით ბელურებშიც კი.

ბოლოს გამოჩნდა.

– სათვალეები კიდევ უკეთია. – გავიფიქრე. – ეს ნიშნავს, რომ არ უჩხუბია.

არც სხვა მხრივ ეტყობოდა ჩხუბის კვალი, არც ჭრილობა, არც დახეული ტანსაცმელი, არც ჩაშავებული ადგილები. რომ მომიახლოვდა, მოკლედ გამიღიმა მხოლოდ, სუსტად, გაკვრით.

– როგორ არის საქმე? – ვკითხე. – არ გინახავს?

– კი, ვნახე. – მიპასუხა ენის ბორძიკით, უგულოდ.

– აბა, არ გიჩხუბიათ?

– არა.

– დაელაპარაკე მაინც?

– არა.

ამ დროს ტირილი აუვარდა. კარგა ხანი არ მყავდა ნანახი, ჩემი მეგობარი



ასე ატირებული, ალბათ, ბავშვობიდან და მის დასამშვიდებლად, აღარ ვიცოდი, რა მექნა. მეორეს მხრივ, მივხვდი, რომ მისი ტირილი სიყვარულის გამო არ უნდა ყოფილიყო გამოწვეული ან თუნდაც ტკივილისა და ზიზლის, არამედ მხოლოდ დამცირების.

ახლა ვფიქრობ, როგორ შემომხედა ტირილის დაწყებისას და ვხვდები, რომ ახალგაზრდა ასაკში სიკვდილი მისთვის მართლა საჭირო იყო.

## სალონური თამაში

ჩინოვნიკის ქვრივის, ქალბატონი კატარელას შეხვედრის სალონში თერთმეტი სტუმარი იმყოფებოდა. მოკოლადიანი ორცხოვნილებით სავსე ლანგარი უკვე ჩამოეტარებინათ და „ჩიტი აფრინდა, აფრინდა“-ც ეთამაშათ. გრამოფონი ახლა „როზა, შენ მაღაგადან ხარ“-ს უკრავდა. ქალბატონები, რადგანაც შვიდი მამაკაცისთვის მხოლოდ ოთხნი იყვნენ და ვერ დაწყვილდებოდნენ, ცეკვაზე უარს ამბობდნენ. მაშინ სალონის პატრონი თავისი ქალიშვილების ხელის მთხოვნელების ამბების მოყოლას შეუდგა და ყველამ ისეთი სახე მიიღო, კბილის ექიმთან მომლოდინე პაციენტებს რომ სჩვევიათ ხოლმე. იქ იყო ექიმი-ჰიპნოზისტიც – მაღალი, შავულვაშიანი მამაკაცი, რომელმაც ჰიპნოზირებით თამაში შესთავაზა საზოგადოებას და თუ ვინმე იქნებოდა მსურველი, ექსპერიმენტსაც მაშინვე ჩაუტარებდა. თავად უკვე შერჩეული ჰყავდა საამისო პიროვნება – ეს იყო ქალბატონი მორინი.

ბატონი და ქალბატონი მორინები დაბალი ტანის ცოლ-ქმარი იყვნენ. ცოტა მაღალი რომ გამოჩენილიყო, ქმარი ნელში გამართული დადიოდა და საყელოს ზევით ინევდა. ქალბატონს კაბის შუაგულზე, ზუსტად მკერდით

ამობურცულ ნაწილზე, ვარდი ჰქონდა ამოქარგული. ეს დაბალი და ფართო თეძოიანი ქალი დახვეულწვეტებიან ფეხსაცმელებს იცვამდა.

ბატონმა მორინმა ცოლს ღიმილით უბიძგა, შემოთავაზებულ თამაშში მონაწილეობა მიიღო და ისიც შუა ოთახში მორიდებით, დარცხვენით გავიდა. ექიმთან ახლოს სკამი იდგა, მის ირგვლივ კი მაყურებლები იყვნენ შემოკრებილი. ექიმმა ქალბატონი მორინი სკამზე დასვა და თავიდან ყოველგვარი ფიქრისა თუ გრძნობის განდევნისკენ მიუთითა; ასევე ურჩია, მთელი არსებით მას მინდობოდა და თითის შეხებით დაძინებისკენ მოუწოდებდა. ქალბატონის ჭორფლიან სახეზე დიდი ცისფერი თვალები მოულოდნელად ჩაქრნა და ზედ რაღაც თეთრი ცვარივით გადაეფარა. ექიმის გარდა, ისინი ვერავის ხედავდნენ უკვე.

– მე ვარ ერთი დიდი მთა. ამოდი! – ძლიერი, ავტორიტარული ხმით თქვა ექიმმა.

ქალი სკამიდან წამოიწია და ჯერ ერთი ფეხი ასწია, მერე – მეორე.

– რას ხედავ? – თითქმის საიდუმლოდ ჰკითხა კაცმა.

– ლამაზ თოვლს... შორეულ სამყაროს... სამოთხეს... – უცნაური ამოსუნთქვით უპასუხა ქალმა. თან იცინოდა და მეჩხერ კბილებს აჩენდა.

– მე კოკისპირული წვიმა ვარ, – თქვა ექიმმა და მხურვალე გამოხედვით ქალბატონი მორინისკენ დაიხარა.

ქალი თავს დასაძინებლად მომზადებული ბავშვივით აქეთ-იქით აგდებდა, თან მკლავებს აქნევდა.

– ღმერთო ჩემო! – ჩაილაპარაკა დაბალი ხმით, მკრთალი ტუჩების მოძრაობით.

– გესმის? – იმეორებდა ექიმი. – ხედავ, როგორ უბერავს? ქარიშხალია!

ქალი წამოიწია, ქარს თითქოს სახეს უშვერსო და ნესტოები დაბერა. მერე თვალები მოიწვრილა და მორცხვად,

ნაზად გაიღიმა. მოულოდნელად თავი უკან გადააგდო, თვალები გაახილა და ყურებზე ხელისგულები აიფარა.

– რა ქარია! – ჩაილაპარაკა და სიცილი დაიწყო.

ერთი ბავშვური გაცინება იყო, შიშით სავსე. ექიმიც იცინოდა, მაგრამ ხმადაბლა. ჩახშული ღრენასავით ისმოდა მისი ხმა.

– ქარი! – კარნახობდა ქალს.

– ქარი! – იმეორებდა, როგორც მოსწავლე გაკვეთილის სწავლისას.

ამ წარმოდგენას ყველა ესწრებოდა და სუნთქვაშეკრული თვალს ადევნებდა, მაგრამ ბატონ მორინი, რომელმაც ცოლს დასაწყისში გაბედული ნაბიჯი გადაადგმევინა, მოულოდნელად ნერვიულობამ შეიპყრო. ისე აღელდა, რომ თავს კონტროლი ვეღარ გაუწია, ხან იცინოდა და ხან ახველებდა.

– მე არ მინდა, დიდხანს რომ გაგრძლედეს ეს ყველაფერი. არ მინდა, რომ... – ჩიოდა ხმადაბლა, მაგრამ „ქარიშხალში“ მყოფთ მისი არ ესმოდათ და არც მიუქცევიათ ყურადღება.

– ჩემო ბატონებო! – წამოიძახა მორინმა. – ოჯახის მამა ვარ და არ

მინდა...

იმ წუთებში ქალბატონი მორინი უაზროდ, სუნთქვაგახშირებული, ქარში მორბენალი ცხენივით იცინოდა.

– არ მინდა! – ისევ იყვირა ქმარმა. – გამოიღვიძე! დაბრუნდი!

გაბრაზებულმა ექიმმა, გაჩერდით, ანიშნა, მაგრამ მორინმა მას მუშტი მოუღერა.

– მე მისი ქმარი ვარ, გაათავისფუღეთ ახლავე! – წამოიძახა აღელვებულმა. ძლივს სუნთქავდა. – რას აკეთებთ?! მე მისი პატრონი ვარ! – იყვირა ისევ და უხეში მოძრაობით ცოლის მკალვს ხელი სტაცა.

– იდიოტო! – ჩასჩურჩულა ექიმმა და სახელოში მოქაჩა. – ქალბატონის დაშავება გინდა?

– ჩემი ცოლია! – გმინავდა ქმარი.

ქალბატონი მორინი კი გათიშული, მოსამართი თოჯინასავით, გასაღების გადატრიალებას და მომართვას რომ ელოდება, ხან ერთის მკლავებში ინაცვლებდა, ხან მეორისა.

იტალიურიდან თარგმნა

**მაია ტურაბელიძე**



## დავით ანდრიაძე



### ალექსანდრე ბაჟბეუკ-მელიქოვი – ნატურიდან ზენატურამდე

ალექსანდრე ბაჟბეუკ-მელიქოვი XX საუკუნის ქართული სახვითი ხელოვნების, კერძოდ, ფერწერის თბილისური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელია.

ფერწერის თბილისური სკოლა ის ფენომენია, რომელიც ჯერ კიდევ საჭიროებს შესწავლასა და პოპულარიზაციას. ის ჩვენი სახვითი ხელოვნების მძლავრი ნაკადია - ქალაქურ კოლორიტზე, ყოფასა და მულტიკულტურულ გარემოზე დაფუძნებული. მას იმდენი საერთო შინაგანი იმპულსი აქვს, რომ საფუძველს იძლევა, ვილაპარაკოთ, როგორც საუკუნენახევრიანი უწყვეტი მემკვიდრეობითი ტრადიციის მოვლენაზე.

ალექსანდრე ბაჟბეუკ-მელიქოვმა, ძირძველმა თბილისელმა, ეთნიკურად სომხური წარმომავლობის კაცმა, მთელი ცხოვრება მშობლიურ ქალაქში გაატარა. დაიბადა თბილისში 1891 წელს და აქვე აღესრულა 1966 წელს.

1906-10 წლებში სწავლობდა თბილისის სამხატვრო სასწავლებელში, 1910-12 წლებში პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში. ასწავლიდა თბილისის სახელოვნებო სასწავლებელსა (1922-29 წწ.) და თბილისის სამხატვრო აკადემიაში (1929-38 წწ.).

ევროპული კლასიკური ხელოვნების სიმაღლეებს ნაზიარევმა ოსტატმა ქართულ ფერწერაში კოლორიზმის განსაკუთრებული გრძნობა და პოეტური იდეალები შემოიტანა. მისი მონაფეები იყვნენ გამორჩეული შემოქმედნი: ავთო ვარაზი, ალბერტ დილბარიანი, ზურაბ ნიჟარაძე.

ალექსანდრე ბაჟბეუკ-მელიქოვს გარდაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე მიანიჭეს საქართველოს დამსახურებული მხატვრის საპატიო წოდება. დაკრძალულია საბურთალოს სასაფლაოზე.

ესპანეთის მეფე კარლოს II-ს ველასკესის „მინების“ წინაშე განმარტობულ ლუკა ჯანდანოსთვის უკითხავს, რაზე ჩაფიქრებულხარო და პასუხად მიუღია – ეს სურათი ფერწერის თეოლოგიააო... თეოლოგიისა რა მოგახსენოთ და, ბაჟბეუკისეული სურათიც ფერწერის უნივერსალურ ფორმულათა ანასხლეტია; „ყოფიერების ფორმულა“ – ასე უწოდა სურათს მამა პაველ ფლორენსკიმ.

ალექსანდრე ბაჟბეუკ-მელიქოვი სურათის მაესტროა, დაზგური სურათის დიდი მაესტრო!

დასავლეთევროპული კამერული რეტროსპექტივიზმის ტფილელი მეტრი თითქოსდა საკუთარ თავს დუელში იწვევსო. „ავტორს მუდმივად უნდა ედოს ხუნდები და მით უფრო, უნდა გვეჩვენებოდეს თავისუფლად“ – პიერ კორნელი წერდა ამას.

ბაჟბეუკის მთელი მაესტრია იმაშია, რომ მისი სურათები, კომპოზიციური თუ ქრომატული ხუნდების კვალობაზე, მით უფრო ავლენენ თავისუფლებას, რომელსაც შებორკილი თავისუფლებაც შეიძლება ვუნოდოთ. ბაჟბეუკისეული ალა პრიმა მაცდურია, მისი სპონტანურობის მიღმა დიდი შინაგანი წესრიგი იგულისხმება. მომწესხველი ფერწერული არტიკულაცია, მარგინალური და თანაც კონტროლირებადი მონასმები „საამო არის საცქერლად“. სურათის „ახლო ხატიცა“ და „შორი ხატიც“ უნისონში არიან, თითქოსდა, ბაჟბეუკისეული სახიერებაც „უსახურშია“ ჩასახული. აკრძალული ხერხების ინდექსში ეძებს ოსტატი ფერწეულად ზუსტი და ესთეტიკურად გამართლებული ინტონირებისა თუ ფრაზირების საბაბს; ბაჟბეუკი არსობრივ, ესენციალურ მშვენიერებას მიელტვის, მშვენი-

ერებას მის ცოცხალ ქმნადობაში, პროცესში, მდინარებაში... რალაც საკრამენტული თრთოლვა იგრძნობა მის ყოველ მონასმში, თრთოლვა და მონინება ორგანული სამყაროსადმი, ბუნებისადმი... ბუნების ძალისადმი... ხელშესახებად გვიხატავს ხელშეუხებელ სფეროს და მისი სურათებიც შიშველი არსებობისადმი ოპოზიციის ძალით იმოსებიან მშვენიერებით, მშვენიერნი ხდებიან...

დიახაც, ბაჟბეუკისათვის ხდომილებაა მშვენიერება და არა წინასწარ დადგენილი მოცემულობა.

ესთეტიკურად ფორმირებადი გონი ქმნის მისი ფერწერული ხატების ქარიზმატულ იერს და ეს გონი ირჩევს, რა ღირს განხორციელებად და რა არა, რა ღირს დასახატად და რა არა...

რამდენი საგანია ამქვეყნად, რომლებსაც მე არ ვჭირდებიო, – უთქვამს ცნობილ ლექსმცოდნეს, მიხაილ გასპაროვს. მე რომ არ მჭირდება კი არა, იმ საგნებს რომ არ ვჭირდებიო... ბაჟბეუკმაც იცის, რომელ საგანს სჭირდება მხატვარი და რომელს არა და, საერთოდ, ეტყობა, დიდი მხატვარი ისაა, ვინც იმაზე კი არ ფიქრობს, რა დახატოს, არამედ იმაზე, თუ რა არ დახატოს...

გარკვეულწილად ეს უკვე ფორმალიზაციის პროცესია, თანაც, ფორმალიზაციისა, სილამაზისა, როგორც ტელოსის განხორციელებას რომ ითვალისწინებს.

ბაჟბეუკი ხელს კი არ ჰკრავს მახინჯსა თუ უგვანს, არამედ იმ კონდიციამდე ამუშავებს, ხვენს თუ რენს, სანამ მშვენიერების ძვირფას შენადნობს არ მიიღებს. ეს სილამაზის სტილიზაცია კი არა, მშვენიერების ონტოლოგიზაციაა; თუნდაც, ფორმალური ონტოლოგიზაცია. ფორმა კი, ელინების კვალობაზე, იმისთვისაა საჭირო, რომ მითის მსხვერპლი არ გავხდეთ.

მითის ლუკმად არც ბაჟბეუკი იქცა; არც მითის, და მით უფრო, არც ზღაპ-

რისა თუ ლეგენდის...

ბაჟბუეკის ოპუსებს განონასწორებულ გონება მართავს; რალაც სერიოზული, ჭკუადაძვდარი, გნებავთ, ახალევეროპული, განმანათლებლური კულტურა. კულტურა და, რაც მთავარია, გემოვნება და მშვენიერების ფორმალიზაციის კანონიც გემოვნებით „დაჭერილი“ ნონასწორობის მომენტი. აი, შემზარავის ანდა „ესპერპენტულის“ გოიასეული გამოხედვა კი ბაჟბუეკს არა სჩვევია. ეგებ, არც მიუწვდება აქამდე თვალის, იქნებ, ფრთებიც ემოკლებოდეს?!

მთავარი ისაა, რომ ბაჟბუეკი მუდამ გამთლიანებულ, ინტეგრირებულ ფერწერულ ხატს ესწრაფვის. მისი სურათების გამჭოლი იდეა მარადიული ცხოვრების (და არა უსაგნო მარადისობის) იდეაა და ამ გაგებით ასუფთავებს (და არა განწმენდს) მხატვარი ამ ცხოვრებას ბიოლოგიურად ცოცხალი ფერმენტებისგან. ამიტომაც მალღდება მისი ნატურა ზენატურამდე.

უფრო ზუსტად, ესაა შეცილება ნატურისა ზენატურასთან, მათი გაუთავებელი პოლემიკა; ეს მთელისა და ნაწილის საბედისწერო ფლირტსაც ჩამოჰგავს. ნაწილისადმი, როგორც სურათის „ეროგენული ზონისადმი“ გამოდევნება მთელის განირვასაც მოასწავებს ხოლმე.

ბაჟბუეკი გრძნობს (და განიცდის) ფორმის ონტოლოგიური სისავსით მოხელთების მთელ ამ დრამას და მომჭირნედ განკარგავს თავის არსენალს; ჩვეული „სიძუნწით“ აბანდებს ფრაგმენტულს – ინტეგრალურ ხატში, ისე, რომ სურათის პოეტური ინტეგრალის ნაშთიც შემოიტოვოს და ეს ნაშთიცაა ნიშანი ბაჟბუეკის ქარიზმისა.



ბაჟბუეკის ყველა ოპუსს თავისი ბიოგრაფია აქვს, ჩასახვისა და დაბადების ისტორია...

მისი ყველა სურათი ორგანიზმია, ყო-

ველ მათგანს თავისი ფლირტული თუ ეროტიკული თავგადასავალი მოეპოვება, სიყვარულის გამხელილი თუ გაუმხელილი ავანტიურა; მხატვარი არც ერთი წამით არა ყოფილა გულგრილი ინტიმური მონასმისადმი. არადა, ბუდუარულ მხატვრობაშიც რომ არა ყოფილა შემჩნეული?! ამასაც მოხერხება უნდა... და გემოვნება...

ბაჟბუეკის ფერწერული ინვენციები იმთავითვე მოსწყდა შკოლარული ნორმატიულობის ფარგლებს. არასოდეს დახტის თემიდან თემამდე.

ბუნდოვანება თუ კოლორიტის საეჭვო მიჩქმალვა ნეოფითი ბაჟბუეკისთვისაც ფერმწერის უკადრისი შესტია. ეშმაკურად გათვლილ ეფექტებსაც თავიდანვე გაუბრის. მას ფუნჯი შეთამაშებული აქვს, ოღონდ ესაა თამაში მარგალიტებით, თამაში ვნებიანი და აზარტული, თამაში, რომელიც ვერასოდეს ჰგუობდა მექანიკურ pointillage-ს. ბაჟბუეკი გარდასულ აჩრდილთა უმტკიცობას ამყარებსო თითქოს ტილოზე... არასოდეს ხატავს ზეპირად... და არც გაზეპირებულად... ნატურის (თუ პლენერის) თანმიმდევრული ტექნიკა აქცია მან თავისი რომანტიკული ემოციების ფერწერულ გამომხატველად. ისიც იცოდა, როდის „მიეტოვებინა“ ეს ნატურა, რათა დაბრუნებოდა... თითქოსდა, ისიც თავის ფერწერადა ოლივიეს ეძებდა.

აი, ხილული სამყაროს მიტოვება კი შუქ-ჰაეროვანი ელემენტების პირველადობამ შეაძლებინა.

სხეულები თავისსავე სომატოკაში – ხორციელებში ქრებიან და გამჭვირვალე ბლონდებით შემოსილნი, დამატყვევებელი ხიბლით ელამუნებიან მაყურებლის თვალს. ბაჟბუეკმა იცის, ევროპული ფერწერის რომელი ყვაილიდან დამტვეროს ესა თუ ის მოტივი, თანაც ისე, რომ ეს მტვერი იქვე გააქროს, ოღონდ, დატოვოს კვალი – დამტვერვის ნაკვალევი. ბაჟბუეკი თავის ფერწერულ ინვენციებსაც მკვრივად და

ტაქტილურად ხატავს და ეს (გა)მოგონილი სამყაროც ისეთივე რეალური და ხელშესახებია, როგორც ნატურული თუ პროტოტიპული ობიექტები.

ბაჟბუეკს ჰაერივით სჭირდება ნატურა, სწყურია მოდელი, როგორც გარდასახვის ობიექტი, როგორც რემოდელირების საგანი. იგი სანიმუშო ფიზიონომისტია და იშვიათი „ფენომენოლოგი“. არასოდეს ითვალისწინებს მოდელის პრივატულ მოლოდინებს, სამაგიეროდ, თავისი ინტიმური სურვილების სარკედ აქცევს „მშვენიერი სქესის“ არსებებს. ბაჟბუეკი არასოდეს იტყუებს თავს გაუცნაურებული ფოკუსით, ანტიმიმეტური გამოცანებით. მისეული პორტრეტული მიმეზისი მოდელის ცოცხალი ფლუიდების მოხელთებით გვატყვევებს. წარმოსახვა და გრძნობადი რეცეპცია მის პორტრეტულ ტექნეში სინქრონულად „მუშაობენ“. „აქ და ახლა“ ყოფნა-არყოფნის ზღვარზე იწერება ლავინიასა თუ ზულეიკას ციკლები. ეს დასავლურ-აღმოსავლური იკონიკური „დივნები“. ბაჟბუეკი ახერხებს, მოდელის იმანენტურ რელსებს ისე დაუსხლტეს, რომ ინტენციონალური ობიექტის თვისებაც შეუნარჩუნოს და ესთეტიკურად სასურველ ნატურადაც გაგვაცნოს და ამის საწინდარი კვლავაც ფერწერული და პლასტიკური დახასიათების სიზუსტეა. ბაჟბუეკი მოდელის მიმიკური და სხეულებრივი მოძრაობის ნიშნებსაც ერთგვარი „ქმედითი ანალიზის“ პრინციპით გადმოგვცემს. ობიექტის მოსალოდნელი ამოძრავების ვირტუალური ენტელექტით სავსე პორტრეტები ხან ზედმინევენით ნიუანსირებული ობერტონებითაა აღსავსე, ხანაც კონტრასტულად მჟღერი მეცო-ფორტეებითაა ზეანეული.

ქალთა ბაჟბუეკისეული ხატებანი მათი თვითრეფლექსიისა და იდენტობის ნიმუშებიცაა. ვინ იტყვის, რომ ჩვენი მანეტრო (ტიციანივით!) სულიერ სიყვარულს შიშველი ქალის სახით ხატავს,

ხორციელს კი – შემოსილი სახით?! ამგვარი ნეოპლატონური დიქტომიური ეროსი, მედიევალური ეთიკითა და ესთეტიკით ნაანდერძევი და ორსავე ჰიპოსტასში სიყვარულის რენესანსული წარმოდგენების პოლემიკად წარმოდგენილი, ბაჟბუეკისეული ნარატივისათვის დამამძიმებელი სემანტიკური საყურე იქნებოდა! არნოდდ ჰაუზერი ქილიკობდა, ბუშემ ძუძუებისა და ჭიპების გამოსახვა ამ ეპოქის ფრანგული ფერწერის „ნაციონალურ სტილად“ აქციაო. ამ მხრივ ბაჟბუეკიც მაცდუნებელი მხატვარი გამოდგა. არადა, თავად ბოლომდე შეინარჩუნა გალანტური არისტოკრატიზმი და ვულგარულობისაგან განრიდებული ესთეტიზმი. ბაჟბუეკი რომანტიკული სილამაზის ადეპტია; მის მიერ დანახული ლავინია (1958 წ.) დელაკრუასეულ ალჟირელ ქალებს ჩამოჰგავს. აი, 1961 წელს დაწერილი ლავინიას მდებარეული მზერა ჩამავალი მზის შორეთისკენაა მიმართული. სხვათა შორის, ერთ სეანსში დახატული პორტრეტიც ავთო ვარაზისა ალჟირელის ჰაბიტუსს წააგავს. სილამაზის დემოკრატიზაცია ბაჟბუეკისათვის გაუგებარია, დემოკრატიზაცია და სოციალიზაცია.

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ვლადიმირ ლებედევივით დაეხატა ნიუ და დაერქმია „მოლარე“ („кашира“); არადა, 1935 წელს ასეთი სოცრეალისტური რევერანსი სულაც არ აღიქმებოდა პაროდიად!

ბაჟბუეკი, თავის წილ, არსებობის სანქციას ანიჭებს წელსქვემო სხეულს. ფეხმორთხმული „ლავინია ვარდისფერში“ ამგვარი სანქციის ერთგვარი მანიფესტაციაა! ერთი შეხედვითვე თვალშისაცემია ქალიშვილის ვინრო წელი და თითები, წიგნს რომ აწვალენ. თითქოსდა ამ ყესტით უხერხული ტანისამოსით შებოჭილი მოძრაობისაგან გათავისუფლებას ლამობენო. და ყველაფერი ეს როგორი ბუნებრივობითაა

მოტანილი?! მერე და მერე, ტანისამოსიდან ამონათებული სხეულის კონტურები ხორციელი წადილის აღსარებად იკითხება.

„ლიდა ანეული ხელებით“ – 1944 წელს დახატული შედეგური, მისატოვებლად განწირული ქალის საბედისწერო სილამაზის განსახიერებაა. სილამაზის ფერწერული დესკრიფცია ბაჟბეუკთან ფარულ ნარატიულ დილემას გადააწყდება ხოლმე. ამ ოპუსში გამოხატული ლიბიდოზური ინტენციაც მიუწვდომელი და იდუმალი მაგნეტიზმი ფანატიკოსი ფერმწერის ვნებიდან უფრო მოედინება, იმ მაცდუნებელი თვალისა, ყველა ქალს რომ აშიშვლებს წარმოსახვით. ამ წარმოსახვის ძალა მარტოოდენ სხეულებრივი ფორმების სრულყოფილებით არ აიხსნება. ესაა დაუოკებელი ძალაცა და ნებაც, დაეუფლოს სილამაზეს. არადა, ტოტალიტარულ სამყაროში ამგვარი დაუფლების სანქციას „ზემოდან“ გაცემენ! მხატვრის (ვ)ნება კი „ქვემოთ“ არის მიმართული.

ერთი ფრანგი ავტორი – სახელად დელფინა დე ჟირარდენი გაზეთში – „La Presse“, 1936-დან 48 წლამდე წამდაუნუმ ახსენებს „უნებლიე“ სილამაზესა და სილამაზეს „ხელთქმნილს“, ანუ საზოგადოების მიერ კონსტიტუირებულ სილამაზეს, ხელოვნურ სილამაზეს და ამ ხელოვნურ სილამაზეს ამჯობინებდნენ ბუნებრივს. მადამ ჟირარდენი ერთგან იძულებულია, აღიაროს, სახეზეა (კალკისათვის უკაცრავად!) პროგრესიო სილამაზის სფეროში. უნინ საეჭვო რეპუტაციის სიტყვა – „კოკეტობა“ რეაბილიტირებულია; ვაჰა! ამიერიდან ითვლება, რომ კეკლუცობის უნარი აძლიერებს ქალურ მომხიბლაობას. მკაცრი ზნის პურიტან ლამაზმანებსაც კი მომაჯადოებლად აქცევს და ტუალეტის უნატიფესი არომატიც ამ ქალებისა სხვანაირად იფრქვევა.

1928 წლით დათარიღებული, ცეც-

ხლში დანთქმას სასწაულებრივად გადარჩენილი „ტუალეტის წინ“ ერთგვარი მოდერნული ტრანსკრიფციაა სილამაზის კოსმეტიკური იდეალისა. ფონტენბლოს სკოლის ძუძუაბზეკილი ქალების ეს „ორეული“ რაღაც ოლფაქტორული ნოველის პერსონაჟად გვეფეთება, ოლონდ, მისი პარფიუმერული ნარატივი სულაც არ გულისხმობს ფერწერულ კოსმეტიკას. ამ ბრწყინვალე ოპუსში უკვე გამოკრთის ბაჟბეუკის არტისტული ხედვის ერთი სახასიათო მომენტი: მხატვრის პერსონაჟების კოკეტური სილამაზე, როგორც მათი „როლური საქციელის“ მოდუსი, არასოდეს ეთანადება მისი, როგორც ფერმწერის კეკლუცობას. ეს ბაჟბეუკის ქალები გვანონებენ თავს და არა თავად ბაჟბეუკი, ბაჟბეუკი, როგორც კოლორისტი.

რატომ? ფერმწერია და იმიტომ... მხატვარია და იმიტომ... ოსტატია და იმიტომ... მაესტროა! ოლონდ არასოდეს გვახვევს თავს საკუთარ მაესტროას, არ ძალადობს მაყურებელზე და მუდამ ახერხებს თავისი პერსონაჟებისაგან დისტანცირებას. არავითარი ხაზი! არავითარი გარეგანი აბრისი! არავითარი სტილიზაცია! მხოლოდ შინაგანი ნახატი! ტერფსიხორას მაღლი არ აძლევს ბაჟბეუკს ნებას, ფიგურათა დაშაქრული მანჭვა-გრეხვით მოისყიდოს მეშჩანური პუბლიკა!

„1935 წელს დაწერილ „ყირიმელ თათართა ცეკვაშიც“ როგორი ორგანულია მროკავ სხეულთა როკაილური მოძრაობანი. ლერწამივით გარდატეხილ ფიგურაციათა ლამისაა სინესთეზიური პლასტიკა! (ცნობისათვის: ორი წლის მერე დახატავს გუდიაშვილი „ცეკვა ციბრუტს“). ბაჟბეუკის იდეალია ქალი, რომელზეც ულამაზესი სურათები შეიძლება დაინეროს და არა ქალი, ვისზედაც მხოლოდ ავადმყოფობის ისტორია შეიძლება შეივსოს. ბაჟბეუკი ხატავს სილამაზეს, არა როგორც „ესთეტიკურ ღირსშესანიშნაობას“, არა-

მედ სილამაზეს, როგორც ტელოსს; სილამაზეს, როგორც მიზანს; სილამაზეს, რომელსაც უნდა მიაღწიო; სილამაზეს, რომელიც სანუკვარი ქალივით უნდა მოიპოვო... მოპოვებული სილამაზე – აი, ბაჟბეუკის იდეალი!

1941 წელს დაწერილი სურათიდან – „ქალთა ჯგუფი სარკესთან“ 1965 წელს შესრულებულ ტილომდე – „მაგიდასთან, ძაღლთან ერთად“ მთელი ესთეზიოლოგიური ნარატივია. მათ შორის „გასეირნება“ 1957-ში დაწერილი; „ჩემი სახელოსნოდან“ ავტოციტირებული ქალის ფიგურით.

ასეთი „ცამბრურე“-არკბუტანივით მოქნილი და აპლომბური ტანადობა ხომ პინმინდად ბაჟბეუკისეულია?!

ალექსანდრ დიუმა თავის მემუარებში („Mes memoires“) ასე აღწერს ქალს, 1820 წელს რომ ყოფილა შეყვარებული: „მკვრივი მკერდი, მკვეთრი ჩანაზნექი წელსა და თეძოებს შორის და ელვარე თვალები“.

ბაჟბეუკისეული მდედრის მკვრივი ბიუსტიც დაუფინყარია და მისი წელის პლასტიკაც. როგორი განცდაა და შეგრძნება ქალისა, შეგრძნება კი არა, გრძნეულება! ანდა როგორი ცოდნა, როგორი „დოქსა“ (და პარა-დოქსა) ქალისა და მისი ტანისეული კონსტიტუციისა! ბაჟბეუკი არა მხოლოდ ფუნქციონალურად, არამედ ფენომენოლოგიურად ეხება ქალის სხეულის უხილავ სიმებს, ისე, რომ არ გაექცეს ქალური ანატომიის ისეთი თვისება, როგორიც ფერტილურობაა (ფერწერული ტილოს აბრევიატურა არ გეგონოთ!); ქალის აღნაგობა საკუთრივ ბავშვის გაჩენისთვის – მშობიარობისთვისაა გათვალისწინებული; ბაჟბეუკი ქალის მკერდსაც ოდენ ესთეტიკურად როდი აღიქვამს?!

როგორ მოგწონსო „ლიდას პორტრეტი“? – ეკითხება ავთო ვარაზს – მე ის შიშველი მკერდით დავხატეო და აცახცახებული ხმით დაამატებს: ამ ძუძუებით ხომ ჩემი ზულეიკაა ნაკვებიო.

ბაჟბეუკი „დავინწყებული ყოფიერების“ გამხსენებელი მხატვარია; ამგვარი ყოფიერების სავანე ბავშვია, ბავშვი და მოზარდი. უბინობაში ბინის ჩასახვის პროვოცირებაცაა ზულეიკასა და მანიურკას პორტრეტები.

გრიშაშვილი ერთ თავის ლექსში მარიჯანს უწინასწარმეტყველებდა: „შენ გაირყვებიო“.

ვერ გაირყვება ზულეიკა...

სამაგიეროდ, მანიურკა „გაირყვება“... ვიოლაც „გაირყვება“... ბაჟბეუკის თვალსა და ხელს შუა ვინ აღარ გაირყვებოდა?! დასაკარგად განწირული უბინობის მოთვალთვალე მხატვარია დიდი ბაჟბეუკი. რაღაც წმინდა, აუმიღვრეველი, შეუღასავი მდგომარეობის ვუაიერისტი, ფარული მოძალადე! ასეთ სტაზისში დაისახავს მამა ბაჟბეუკი „ზულეიკას თეთრებში“. ნებიერად განოლილი „ზულეიკა წითელ შარვალში“ გურამ რჩეულიშვილის „ბათარეკა ჭინჭარაულის“ მზიასავით მცონარე ქალწულია; ტფილისივით მარადი სარძლო... ამასობაში ბაჟბეუკი ხეთათმანივით იცვლის მიტოვებულ მოდელებს, იცვლის და ისევ იბრუნებს... 1960 წელს კიდევ ერთ „მიტოვებულს“ დაწერს, ამჯერად პიკასოსეული ალუზიით (იქნებ, პლერომით)?!



არანაირ ანმყოს არ ძალუძს, სამარადჟამოდ გვე(პირ)ფეროს. ასეთი „აბსოლუტური“ ხატი მყიფეა და გამოცარიელებული მანეკენის ტოლფასია. მკაცრ სინამდვილესთან ერთი მიკარება და ეგრევე იმსხვრევა.

სინამდვილე კი რა არის? თუნდაც ის, რომ ადამიანი მოწყენილი არსებაა ანდა, არსება, რომელსაც შეუძლია მოწყენა, არსება, რომლის აქ-ყოფნა, Dasein – პრინციპულად გულისხმობს და ითვალისწინებს მოწყენილობას. მთავარია, თავად ხელოვნება არ იყოს მოსაწყენი; არც ხელოვნება და არც ხელოვ-



ნების ჟანრი... ყველა ჟანრი კარგია, გარდა მოსაწყენისაო...

ბაჟბეუკი არასოდეს გწყინდება. არადა, მისი ექსისტენციური და სოციალური ყოფიერებაც მოსაწყენი იქნებოდა!

ბაჟბეუკისეული თბილისური ნარატივის „მონყენილობითი“ კონტექსტი, 1917 წელს დახატული ოპუსიდან მოკიდებული, რადიკალურად იცვლება, გადასხვაფერდება და ერთ საცნაურ კონტრასტად ყალიბდება. კონტრასტად – ქალაქის მდორე რიტმსა და კალენდარული დღის მშვიდ, აულელვებელ ქრონოტოპს შორის და სახელდობრ ეს კონტრასტი იძლევა ექსისტენციურ გზავნილს – „ეს მოსაწყენია!“ აი, უსახური და ამონიმური აქ-ყოფნის დრამა! არადა, სხვაგან ყოფნა რომ უფრო აუტანელი იქნებოდა?! ამ კონტექსტსში მე კი არ ვარ მონყენილი ანდა შენ, არა! მონყენილია ყველაფერი! მონყენილობა სუფევს აქ და ახლა კი არა, ყველგან

და ყოველთვის (და ყველასათვის) მონყენილობა სუფევს; მონყენილობა, სადაც ინდივიდუალობისა და პერსონიფიკაციის ნატამალი აღარაა. ბაჟბეუკი ისევ რომანტიკოსად (თუ ნეორომანტიკოსად) იქცევა; სიღრმისეულ მონყენილობას ისევე აღიქვამს, როგორც საკუთარ თავში დაბრუნებას (თუ ჩაბრუნებას). მონყენილობა თან-

დათან მომაჯადოებელ ძალას იკრებს მხატვარში და ასეთივე მომაჯადოებელი აურით ავსებს მის სურათებს. მხატვარი ნებაყოფლობით ხდება მონყენილობის მძევალი, მონყენილობით თვითდატყვევებული არტისტი ამ ონტოლოგიურ უნარს ძალად, ვალენტობად რომ აქცევს, ძალად და არა ძალადობად. ამ ძალით ახერხებს მონყენილობა მშვენიერ წამად აქციოს, მერე თავად შთანთქმას, გააქროს და ისევ მოგვივლინოს. უფრო ზუსტად, მოგვივლინოს მიმქრალი სახით, მიმქრალი აურით, მიმქრალი სურნელებით.

ბაჟბეუკის სურათებში ყველა კოლორისტული ცდა საიმისოდაა მომხრობილი, რომ ერთ ექსტატიკურ გაელვებაში მიინავლოს და მერე ისევ ააღდეს ერთი ძვირფასი მონასმის აკორდიკით. ამასობაში სურათის ტემპორალური ჰორიზონტი მით უფრო ივსება პასეისტური სიცარიელით და ეს სიცარიელეა სიგნა-



ლი იმ შემკრთალი (თუ შემფოთებული) ყოფიერებისა, სამყარო-ში დაბრუნებისკენ რო მოგვიხმობს ანკი რად მინდა ახლა ჰაიდგეგერით კეკლუცობა?!

„სამყარო-ში“ კი არა, „შინ დაბრუნება“ არა სჯობს?!

და რა ელოდა ბაჟბეუკს შინ? – ერთი ოთახი; დროდადრო მოლაყლაყებული თეჯირით გადატიხრული ოთახი, ერთი ძველისძველი კომოდი... ხო, მართლა, ზანდუკი, სადაც ლეფრანკის ფერებს თავლის სანთელში ურთავდა, რომ არ გამხმარიყო; აი, ახდის ბაჟბეუკი სკივრს სახურავს ამ თავის ალადინის ჯადოსნური ლამპას და სახე უხურს: ო, ეს კინოვარია, არასოდეს ჩაჟამდება, არასოდეს ჩაქრება, მუდმივად გაანათებს, – ეტყვის 29 წელს ნაზელი ტერიანს. დამთავრებული სურათების გვერდით აქ ნუგბარის სამალავიც ჰქონია (დიღბოსგან გამიგია, ალბერტ დიღბარიანისგან, შინაურებს უმაღლავდა); კიდევ ჩრჩილით ამოკენკილი ფარდაგი და მთელი მისი სიმდიდრე – სურათები! აი, ის სურათები, „ჩემი სახელოსნოდან“ რომ იმზირებიან! მათ შორის – „მიტოვებული ლიდაც“. ცალკე ინტერიერი ამ „სახელოსნოს“ ბინადარს არასოდეს დაუხატავს და არც საგნები (თუ ნივთები), ამ ბინას (თუ თავშესაფარს), რომ ავსებდნენ; არასოდეს უცდია, თუნდაც, სეზანივით, ხელახლა შეეგროვებინა ნივთები და მათთვის თავდაპირველი ფორმა დაებრუნებინა; დაებრუნებინა, როგორც რილკე იტყოდა, მათი „ყოფიერების ალუბოცველი საგნობრიობით“.

ბაჟბეუკმა იცოდა ჟანრის საზღვრები და იცოდა კულტურის საზღვრები; კულტურის საზღვრები და საზღვართა კულტურა; საზღვრების კულტურა – დამაჯერებელი და ღრმა სტილის აუცილებელი პირობააო, – იტყვის მ. ბახტინი და დაამატებს: ესთეტიკური კულტურა საზღვართა კულტურაა და ამდენადვე გულისხმობს სიღრმისეუ-

ლი ნდობის თბილ ატმოსფეროს. ასეთ ატმოსფეროს სთავაზობდა მანესტროს თბილისი, თბილისი და თბილისური სკოლის ესთეტიკური ეთოსი; ასეთი ატმოსფეროთია გაჯერებული ბაჟბეუკის სურათები. ესაა არა სურათები ქალაქის ცხოვრებიდან, არამედ ქალაქის ცხოვრება, როგორც სურათი; სურათი, რომელსაც მხატვარი გარედანაც უყურებს. ეს გარემყოფობა (ბახტინისეულად – *внеаходимость*) აძლევს ბაჟბეუკს, თბილისი დაინახოს, როგორც სამყარო და სამყაროც დაინახოს, როგორც თბილისი; დაინახოს, როგორც „სხვა“ და არა „უცხო“... ესაა არა ეგზოტიკა, არამედ ეგზოტოპია; ეგზოტოპია, როგორც პოზიცია, რომელსაც თავიდან ბოლომდე ენდობა ბაჟბეუკი და ეს ნდობაც განაზღვრავს მის ობუქებში დასადგურებული ატმოსფეროს ღირებულებრივ სიმკვრივეს და კოლორისტული სიმკვრივე და ნაჯერობაც მისი ფერწერისა საკუთრივ ამ აქსიოლოგიურ შკალაზე აიზომება. მარტოოდენ „შიგნიდან“ განცდილი ცხოვრება ბაჟბეუკისთვის ეგოისტურია, ეგოისტური და ამდენადვე, ღირებულებრივ ხანიერებას მოკლებული.

ბაჟბეუკი არასოდეს მიმართავს ტრანსგრედიენტულ მომენტთა ნეგატივებს. ხედვის, ტენხესა თუ ესთეტიკური შეფასების გადაჭარბება არა სჩვევია. ამიტომაც არ იყენებს კომიკურის ფიგურებს. მისმა მოდელმა თუ პერსონაჟებმა სიცილი არ იციან!

მის სამყაროში ვერც იკონიკური ხატის რომანტიკულ-ოქსიმორონულ კონსტრუქციას იპოვით: ოპოზიციას შინაგანსა და გარეგანს, სოციალურ იმიჯსა და ექსისტენციას, შინაარსის უსასრულობასა და განსხეულების სასრულობას შორის. ამიტომაცაა მისი მონოგენური სტილი გარეგანი სამყაროს ანდა, უკეთ, სამყაროს გარეგ(ა)ნობის მთლიანი და დასრულებული სურათის რეპრეზენტაცია.

ბაჟბუეკისეულ ფრივოლურ სცენებშიც კი, „აკრობატი“ იქნება, „სახტუნაო“ თუ „საქანელა“, რაღაც საბედისწერო თამაშებს რომ წააგავს და ტრანსცენდენტური ბუფონადის ნიშნებსაც ატარებს, ამ „დასრულებული სურათოვნებისადმი“ ინტენცია იგულისხმება. ნარატივის ლოკალურობასა და არტიფაქტის გენეზისს შორის არსებული ცეზურა მით უფრო აღრმავებს უფსკრულს ყბადაღებულ „შინაარსსა და ფორმას“ შორის. ასეთი ორმაგი „თამაშების“ მიღმა ფერწერული არტიკულაციის უხილავი კომბინატორიკა და ოსტატურად შენიღბული ტექნოლოგიური კულბიტები იგულისხმება. ყოველი ასეთი „სცენა“ პირობით პეიზაჟურ ფონზე ვითარდება – ბუნება დამცხრალისა თუ დაოკებულის შიფრია, რომლის კონტექსტშიც მით უფრო საგრძნობი ხდება საგნებში ჩატოვებული არაიდენტურობის კვალი. უნივერსალური იდენტობის ხუნდებში მოქცეული ბუნება, როგორც დღისა და ღამის გამასწორებელი ბუნიობის ხსოვნა, ბაჟბუეკს სჭირდება, როგორც კონვენცია, როგორც ესთეტიკური პირობა, თუნდაც, დაპირება იმ მშვენიერებისა, რომელიც არასოდეს (აღ)სრულდება.

ლავინიას ახარებს ბაჟბუეკი, აი, ჩემი „აკრობატკა“ დამთავრებულია. რა ვქნა, გავაგრძელო – სარისკოა, და იმის თქმაც, რომ ყველაფერი გაკეთებულია, ესეც არასწორი იქნებოდა. როგორც ნესი, სამიოდ კვირით ზანდუეკში გადავმალავ, მერე – ლაკი და ამის მერე გამოჩნდება, რა შეიძლება დავამატო და რა გადავწერო. ეს სურათი, მართლაცდა, ერთგვარი ქერია ბაჟბუეკისეული ვიტალურობისა და კონსონანსისა. ამას თავად მხატვარიც აღიარებს. ცოცხალი ორგანიზმის უკიდურეს თრთოლვას მიაღწევს ამ სურათში ბაჟბუეკი. იმგვარ ფერწერულ ვიბრაციას, სადაც ნორმირებული ჰარმონიის პროკრუსტეს სარეცელი სავსებით უქმდება.

„აკრობატკას“ ორ ვარიანტს შეასრულებს მხატვარი. ზედიზედ ხატავს ჯერ 1964, მერმე 1965 წელს, ბოლო ვარიანტის „ნარმატებას“ მხატვარი თავის ავადმყოფობას უმაღლის და უმთავრესი კიდეც ისაა, რომ, ჩემთვის უკვე სულერთია, რას იტყვის მაცურებელიო. კომუნიკაციის ეტიკეტი დაძლეულია, ფორმისა და შინაარსის დიალექტიკაში ფორმა გადაწონის. გათავისუფლებული ფორმა და ემანსიპირებული ექსპრესია. ფიზიკურად დაუძლეურებული მხატვარი მით უფრო ზუსტად შეიგრძნობს ფერისა და ფორმის გეშტალტურ სინთეზს. ამ სურათით შეეხება ბაჟბუეკი ერთ ესთეტიკურ მაქსიმას – ტაქტილურად შეიგრძნობს ერთ თეორიულ ინტენციას: ფერწერაში ფორმად გვევლინება არა მხოლოდ სახილველი, არამედ განსახილველი. ასე შედის ფორმა კრიტიკასთან ალიანსში, ფორმა გადალახავს წარმოდგენას ნაწარმოების, როგორც რაღაც უშუალოს შესახებ, ფორმა, დიახაც, გაშუალებაა. გაშუალება, როგორც ობიექტური თვითრეფლექსია, ცოცხალი და მფეთქავი ფიქრი ნაწარმოებისა თავისი ნაწარმოებითობისა გამო.

მიმეზისური მომენტები ბაჟბუეკის ბოლო ოპუსებში საბოლოოდაა გაუქმებული. ობიექტისადმი მეშჩანურად შებორკილი ინტენციაც დაძლეულია. ამასობაში მხატვარი პრივატული განცდების ფამილარობასაც საბოლოოდ გადალახავს და ინტენციონალურ შრეებსაც ისე ალაგებს, რომ ფერწერულ ქსოვილში არსად ტოვებს ნაკერის ძაფს და კიდეც: თამამად მიმართავს დამატებით – განმეორებით რეფლექსიას, ისე, რომ ამ დამატებითობით მიჰყავთ ნაწარმოები ესთეტიკურ პერფექციამდე! პერფექციამდეცა და პერფექციამდეც და ეს ბოლო აკორდი ფერწერული ტექსტის უფასო მატერიალური დანამატი კი არა, ონტოლოგიურად სავსე და ღირებულებრივი ფაქტორია, ფაქტურის

დანაწონი კი არა, ესთეტიკურად აუცილებელი ესენციალური ფაქტია, საკონტროლო გასროლაა...

„უსнуть - предупредить смерть“ – ეს მანდელშტამია, ოსიპ მანდელშტამი...

1963-66 წლებში, ვიდრე სიკვდილამდე, ბაჟბეუკი ძილის მოტივს ამუშავებს. როგორც ახლა ვიტყვით – ძილის ნარატივს. ესაა სიკვდილის წინათგრძნობა, სიკვდილის ექსისტენციური თემატიზება, თუნდაც „სიკვდილში წინასწარი შერბენა“.

63 წელს იწერება „ქალიშვილი გაშიშვლებული მკერდით“, ორი წლის მერე ძილ-ბურანში ჩაძირული ეს პერსონაჟი წამიერად გაახელს თვალს „აკრობატკაში“ და ერთგვარი „ბენუარის ლოჟიდან“ მოგვევლინება.

იმავე წელს იწერება „მძინარე“ და „სახურავზე“.

64-ში მძინარე ნიუ ტფილისური ეზოს „ონტოლოგიურად უზრუნველყოფილ“ ატმოსფეროში მოლივლივე ზმანებად გვესახება. ამ ფერწერულ ონტოტიქსტებში სიცოცხლე სიკვდილზეა მიწვეული; მიძინებული სიცოცხლე სიკვდილის ნებაზეა მიშვებული, ძილი, როგორც სიკვდილის რეპეტიცია, ბაჟბეუკს თავის ამბივალენტურ სტიქიაში ჩაითრევს. ექსისტენციურად დაყურსულ ამ ოპუსებში მხატვარი თითქოსდა გაორებულ შეგრძნებათა მორევში მიცურავსო. სიკვდილის სასთუმალზე მიძინებული სიცოცხლე ისევ მშვენიერებად წარმოგვიდგება, ოღონდ ეროსისა და თანატოსის საიდუმლო წილობის შედეგად მოპოვებულ მშვენიერებად და სტაზისისა და ექსტაზისის მონაცვლეობაშიც თანატოლოგიური ესთეზისი გამოსჭვივის.

64 წელსვე იწერება „მოცეკვავე თეთრებში“. თეთრის უმდიდრეს ვალიორებში სიკვდილი როკავს, „სიკვდილი, როგორც სიცოცხლის ყველაზე მდიდრული ფორმა“ (ჟორჟ ბატაი); სიცოც-

ხლე აქ სიკვდილით შესაძლებელ „სხვა“ სიცოცხლეთა სპირიტულ ნათებად შემოტრიალდება. სიკვდილი სამყაროს სიყმანვილეა, ოღონდ ჩვენ ეს არ ვიცითო, – იტყვის იგივე ბატაი. არც ვიცით და არც გვინდა, ვიცოდეთო. არც ბაჟბეუკმა იცის... მისი გული კი ჩემულობს, ახალგაზრდა ვარო, მაგრამ გონებას რომ უკვე აღარ უწუნავს ნახევრად შიშველი ყმანვილქალის ნარნარი თამაში?! არადა, ეს სიკვდილია, სიკვდილი და მხოლოდ სიკვდილი, განუწყვეტლივ რომ განაახლებს ხოლმე სიცოცხლეს. ამ სურათში რაღაც არნახული სისადავეა; დამაბრმავებელი სისადავე. სითეთრეა მოსალოდნელი არყოფნის „წმინდა სინყვდიადის“ მომასწავებელი. ბაჟბეუკისეული სიცოცხლე „მდგომარეობიდან გამოსვლის“ ძიება იყო მუდამ, ექს-სტაზისის ძიება, აქ კი წონასწორობის დაცვაა, სიკვდილის დაუცველობისგან დაცვა. დაუძღურებულმა ორგანიზმებმა ახლებს უნდა დაუთმონ ადგილი და ასე ჩაერთონ ახალ ძალებთან ცეკვაშიო, – ესეც ბატაია და ბაჟბეუკიც ასევე ებმება ცეკვაში. ესაა მისი სიკვდილის ცეკვა, ცეკვა, როგორც სიკვდილის მზარდი რეცეფცია. როდესაც სულ უფრო და უფრო მცირდება სიცოცხლის უსაფრთხოება. აი, გამანადგურებელი დახვეწილობის მწვერვალიო, – აღმოხდება ბატაის.

და ბაჟბეუკის ამ უკვდავი შედეგიდანაც ეს გამანადგურებელი ნატიფობა გამოსჭვივის. „ქურთების ცეკვა“ ისევ ექსტაზიდთან დაბრუნების მცდელობაა, დაქანცული მათეატროს ბოლო მცდელობა. მისი „Non-finito“-ც მრავლისმთქმელია. ამ „დაუსრულებელ“ ოპუსში ერთი პრინციპული არტისტიკული პარადოქსია მონიშნული: ყოველი ნაბიჯი, მხატვრული ნაწარმოების სრულყოფილებისაკენ გადადგმული – ესაა ნაბიჯი თვითგაუცხოებისაკენ და ბაჟბეუკიც ამ თვითკმარი გაუცხოებით ამთავრებს ცხოვრებას, ცხოვრებას ხელოვნებაში... სხვა ცხოვრება მან არ იცოდა! ან სჭირდებოდა კი?!